ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   შაბათი, 14 მარტი   1998 №37 (572)   ფასი 50 თეთრი


## 16 ტური

გუშინ:
ლოკომოტივი 0:1 ტორპედო

დღეს:
თსუ - კოლხეთი
გურია - მერანი
მეტალურგი - დინამო
სამგურალი - დილა
მორკინალი - მარგვეთი
მაღაროელი - ოდიში
სიონი - ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 2 | 1 | 40:6 | 33 |
| ბათუმი | 15 | 9 | 5 | 1 | 30:10 | 32 |
| ოდიში | 15 | 10 | 1 | 4 | 23:21 | 31 |
| ტორპედო | 16 | 7 | 6 | 3 | 25:16 | 27 |
| თსუ | 15 | 7 | 4 | 4 | 21:11 | 25 |
| კოლხეთი | 15 | 7 | 3 | 5 | 31:16 | 24 |
| მორკინალი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:13 | 21 |
| ლოკომოტივი | 16 | 5 | 5 | 6 | 17:24 | 20 |
| მერანი | 15 | 7 | 3 | 5 | 21:17 | 19 |
| დილა | 15 | 6 | 1 | 8 | 15:23 | 19 |
| მეტალურგი | 15 | 5 | 0 | 10 | 15:29 | 15 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 17:32 | 14 |
| გურია | 15 | 3 | 4 | 8 | 18:30 | 13 |
| სიონი | 15 | 4 | 5 | 6 | 24:19 | 12 |
| მალაროელი | 15 | 3 | 2 | 10 | 12:33 | 11 |
| მარგვეთი | 15 | 1 | 3 | 11 | 12:38 | 6 |



გუშინ ვაკეში: „ლოკომოტივი" — „ტორპედო". შეყრილაძე (მარჯვნივ) დაცვაში უშეცდომო იყო

# ახალი პრეზიდენტის ახალი იდეები

## საქართველოს ჩემპიონობა ძნელი და საპატიო იქნება

გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გაიმართა ფედერაციის პრეზიდიუმის პირველი სხდომა არჩევნების შემდეგ, ესე იგი პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობით, სადაც ბევრი საყურადსაღებო საკითხი განიხილეს.

წლეულს, 14 აპრილს, სრულდება ჭადრაკის სასახლის 25-ე წლისთავი. გადაწყდა, იუბილე აღინიშნოს შემოდგომაზე, თბილისობის დღეებში. ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილის წინადადებით მანამდე, აპრილში, გაიმართოს ევრეთ წოდებული თაობათა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის მისაღებადაც მოიწვევენ სახელოვან მოჭადრაკეებს — ნონა გაფრინდაშვილს, ბუხუტი გურგენიძეს, მაია ჩიბურდანიძეს, ნანა ალექსანდრიას, თამაზ გიორგაძეს, ნანა იოსელიანს, ნინო გურიელს, ზურაბ სტურუას და სხვებს. ამ ტურნირში ბევრი ახალგაზრდა მოჭადრაკეც ჩაებმება.

საქართველოს ჩემპიონატის პრესტიჟის ასაწევად გადაწყდა, რომ იგი ჩატარდეს ორ ეტაპად, ოლიმპიური სისტემით. მეორე ეტაპზე გასულ ექვს მოჭადრაკეს დაემატებიან დიდოსტატები — გია გიორგაძე და ზურაბ სტურუა და ეს რვა უძლიერესი მოჭადრაკე გაითამაშებს საქართველოს ჩემპიონის ტიტულს. მსოფლიოს ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში, სადაც საქართველოს 5 ადგილი აქვს, ჩემპიონატიდან პირველ ოთხ ადგილზე გასული მოჭადრაკე მოხვდება, მე-5 საგზურის მფლობელს კი ფედერაცია დაასახელებს.

აქვე გადაწყდა საქართველოს ვაჟთა ოლიმპიური გუნდის შერჩევის მოდელი — რეიტინგით სამ უძლიერეს მოჭადრაკეს საქართველოს ჩემპიონატიდან ორი მონაწილე დაემატება, მეექვსე წევრს კი ფედერაცია დაასახელებს.

რაც შეეხება ქალთა ოლიმპიური გუნდის შერჩევისა და საერთოდ, ქალთა ჭადრაკის საკითხებს პრეზიდიუმის იმ სხდომაზე განიხილავენ, რომელსაც ჩვენი პრეზიდიუმის წევრი, დიდოსტატი მოჭადრაკე ქალები დაესწრებიან. როგორც იცით, მაია ჩიბურდანიძე და ნონა გაფრინდაშვილი იუგოსლავიაში არიან საერთაშორისო ტურნირებზე, ნანა ალექსანდრია კი ამ სხდომას არ ესწრებოდა.

# პია, მერე მაია

ბელგრადში რვა მარტისადმი მიძღვნილ ქალთა ტრადიციულ საჭადრაკო ტურნირზე 8 ტურის შემდეგ შვედი დიდოსტატი პია კრამლინგი ლიდერობს — 5,5 ქულა. მაია ჩიბურდანიძესა და უკრაინელ ელენა ჟუკოვას 5-5 ქულა აქვთ.

თბილისი
„26 მაისი"
13 მარტი

**ლოკომოტივი 0:1 ტორპედო**

**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, ამბიძე, ყაველაშვილი, ბარნოვი, ქველაძე (კოტორაშვილი 45), არჩვაძე, გ. კვეტენაძე, ასპინძელაშვილი (გაგუა 72), დაუშვილი, ვასაძე (ხუციშვილი 43), დათვაძე
**ტორპედო:** ასლანაძე, ოინანიძე (შენგელია 82), ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, ჯანაშია (მეტრეველი 84), მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 89), ჩხაიძე
0:1 ჯანაშია (40)
**გაფრთხილება:** ხუჯაძე
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

# ცამეტი თარსი რიცხვია

მამუკა კვანტალიანი

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე ვაკეში განახლდა. გაზაფხულის მეცამეტე დღე ქუთაისელი სტუმრებისთვის ფეხბედნიერი გამოდგა. მახარაძის „ლოკომოტივმა" ფრუიძის „ტორპედოს" ვერაფერი მოუხერხა და მინიმალური სხვაობით რომ წააგო, ამაზეც მადლობელი უნდა იყოს.

მატჩის შემდეგ სოსო ფრუიძე იტყვის, თამაში იმიტომ მოვიგეთ, უფრო მიზანმიმართულები რომ ვიყავითო. მეტოქე სისწრაფეში დავჯაბნეთ, ამას თამაშის სწორი ორგანიზაციაც მიემატა, რამაც შეხვედრის ლოგიკურ დასრულებამდე მიგვიყვანაო. ქუთაისელთა თავკაცს მეტი არაფერი უთქვამს, ჩინებულ ხასიათზე მყოფი, ეტყობა, დამარცხებული კოლეგის წყენინებას მოერიდა. არადა, სათქმელი ნამდვილად ჰქონდა. „ლოკომოტივი" მეტად პრიმიტიულ, ადვილად გასაშიფრ ფეხბურთს თამაშობდა. მასპინძლებს სიჩაუქე აკლდათ. აშკარად შეიმჩნეოდა დისბალანსი რგოლებს შორის. თითქმის არ იყო კოლექტიური თამაში, ხოლო დაუშვილისა და დათვაძის ინდივიდუალურ გამოხდომებს შედეგი ვერ მოჰქონდა.

და მაინც, თემურ მახარაძის ყველაზე დიდი შეცდომა თამაშის ექვსი მცველით დაწყება იყო. შეიძლება ვინმე შემომედაოს, ასპინძელაშვილი და ბარნოვი დანარჩენებთან შედარებით უფრო წინ იყვნენ აწეულებიო, მაგრამ მასპინძელთა შეტევებისას ექვსივე უკანა ხაზს ამაგრებდა და ტრიბუნიდან ეს აშკარად ჩანდა.

რა გამოვიდა ამ საქმიდან? სახეირო არაფერი, მცველები ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, ვერც სწორ პოზიციებს ირჩევდნენ და ერთმანეთის დაზღვევასაც აგვიანებდნენ. მახარაძე შეცდომას კი მიხვდა, მაგრამ „ლოკომოტივს" გასაშვები უკვე გაშვებული ჰქონდა.

ვერ გეტყვით, ფრუიძემ გამოიცნო თუ არა მახარაძის ჩანაფიქრი, მაგრამ შეტევაში სამი კაცი გაამწესა. იონანიძეს და მეგრელაძეს ჯანაშია დაემატა, რომელსაც მარჯვენა ნახევარმცველობაც ევალებოდა. ასეთი სისწრაფის მქონე ფეხბურთელისთვის კი მსგავსად გარჯა საძნელო სულაც არ გახლავთ. მარცხნივ გაილო ჩხაიძე იყო. მოკლედ, ტრიბუნებზე ხუმრობდნენ, ქუთაისელებს ფლანგებზე რაკეტები უდგათო.

საიმედოდ მოქმედებდა სტუმართა დაცვა, ნახევარდაცვაში კახა კვეტენაძემ აშკარად დაჯაბნა მოგვარე მასპინძელი. კარგი იყო გია მეგრელაძეც. ერთადერთ მოშვებულ სიმაღლე იონანიძე მიგვაჩნია. ზურაბი ჯერ შორსაა ჩვეული ფორმიდან, მაგრამ გამოცდილების ხარჯზე მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა მცველებისთვის.

„ლოკომოტივმა" ვერც ფიზიკურად დაჯაბნა მეტოქე ან რას მოუხერხებდა, როცა რიონისპირელები იანვრიდან ემზადებიან და ერთი შეკრება სულაც ანთალიაში მოაწყვეს. მიუხედავად ამისა, თამაშის დაწყებამდე ბევრი სპეციალისტი ფიქრობდა, მასპინძლები გაიმარჯვებენო. შეცდნენ. „ლოკომოტივს" ამგვარი თამაშით ძლიერ გაუჭირდება ფონს გასვლა.

სტუმრები მთელი 90 წუთის განმავლობაში ისე გონივრულად მოქმედებდნენ, რომ მათი მწყობრი თამაშის შემყურე რკინიგზელები უმეტეს შემთხვევაში იბნეოდნენ და ზედიზედ ორ პასს ვერ აბამდნენ.

სწორედ დაბნეულობის შედეგი იყო გაშვებული გოლი. ყაველაშვილმა და ბარნოვმა მოედნის ცენტრში ერთმანეთის ცქერაში ბურთი დაკარგეს. დათო ჯანაშიამ კი მასპინძელთა ლიბერო სისწრაფეში დაჩაგრა, კარიდან გამოვარდნილი ვოლკოვი მოძრაობაზე დაიჭირა და მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

მეორე ტაიმში სტუმრებს უპირატესობის გაზრდაც შეეძლოთ. ჯერ ჩხაიძის გარღვევის დაბოლოვება სცადა იონანიძემ, მაგრამ თავდამსხმელის ნახტომში დარტყმული თავური ვოლკოვმა მოიგერია. მეორედ ძელმა იხსნა. არადა, შალვა ხუჯაძემ ყველაფერი სწორად გააკეთა. მასპინძლები ხელოვნური თამაშგარის შექმნას ცდილობდნენ, ქუთაისელმა ბურთი შეიგდო, შეჰყვა, მეკარესთან პირისპირ გასული კი მილიმეტრებში შეცდა.

თამაშის ბოლო წუთებში ფრუიძეს დაცვა არ გაუძლიერებია, პირიქით, შეცვლაზე ორი თავდამსხმელი და ნახევარმცველი შეუშვა. საქვეყნოდ ცნობილია, თავდასხმა ხომ საუკეთესო თავდაცვა გახლავთ. ისე, სტუმრებს თავი ქუდში უნდა ჰქონდეთ, რადგან თავდამსხმელთა დეფიციტს არ განიცდიან. შენგელია და მეტრეველი სათადარიგოთა სკამისთვის გაწირულები სულაც არ არიან. ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ მეგრელაძისა და იონანიძის სრულფასოვნად შეცვლა.

# დაგვყაბულდება ჩილე?

როგორც ვიუწყებოდით, ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი მოვიდა, ჩილელები გვითვლიდნენ, — 28 ან 29 აპრილს ჩვენთან გეპატიჟებით და ხარჯებსაც თავად ვკისრულობთო. ჩვენებმა იფიქრეს, იფიქრეს და პასუხიც გაუგზავნეს — თუ საქართველოსთან გაჯიბრება გსურთ, სიამოვნებით ჩამოვალთ, ოღონდ, უეფას მიერ დადგენილ ამხანაგურ დღეებში, 20-21 აპრილსო. ვნახოთ, საპასუხო ფაქსი ჯერ არ მოსულა. მანამდე კი შევიტყვეთ, რომ ირანელებმა, რომლებმაც თაეიანთ სამასპინძლო ტურნირში მონაწილეობაზე უარი გვითხრეს, განის გარდა მეოთხე გუნდიც გაარკვიეს — იამაიკა.

# გვირგვინისკენ სავალ გზაზე

## ბლატერს ჯერ არაფერი გადაუწყვეტია

ივლისში საფეხბურთო სამყაროს ახალი ხელმძღვანელი ეყოლება. ვინ გახდება ფიფას პრეზიდენტი, პარიზში 8 ივნისს კენჭისყრამ უნდა გადაწყვიტოს, მანამდე კი...



ახლა ზეპ ბლატერმა საკუთარ მომავალს ანდაუყაროს წილი

გუშინ ციურიხში ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის ოთხსაათნახევრიანი კრება ახლანდელი პრეზიდენტის, ჟოაო აველანჟის უეცარმა განრისხებამ შეწყვიტა. ვერაფრით ათქმევინა მხცოვანმა ბრაზილიელმა კოლეგებს რაა საჭირო იმისათვის, რომ მათმა გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა მის ადგილზე კენჭი იყაროს, უნდა გადადგეს დღევანდელი თანამდებობიდან, თუ სკამზეც დარჩეს და თანაც წინასაარჩევნო კამპანია გააჩაღოს.

თავის მხრივ 24 ჩინოსნისგან შემდგარი აღმასკომი აღელვებული მოითხოვდა ბლატერისგან ნათელ პასუხს, რას აპირებს, უნდა პრეზიდენტობა?

— თათბირი შევწყვიტე მას მერე, რაც ფიფას იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ დევიდ უილმა ვერაფერი მირჩია. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მან თავად მიიღო კამათში მონაწილეობა — განუმარტა აველანჟმა პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს და დასძინა — თათბირი 8 აპრილს განახლდება, წინა დღით კი ბატონი ბლატერი განაცხადებს აპირებს თუ არა თავისი კანდიდატურის წამოყენებას.

წინა დღით, 7 აპრილს ბლატერს ნათლად მოუწევს პოზიციის გამოხატვა. საქმე ისაა, რომ 7 აპრილი ბოლო ვადაა, ვინც ფიფას პრეზიდენტობისთვის ბრძოლას აპირებს, ამ თარიღამდე უნდა წარადგინოს განცხადება თუ არა და მორჩა. ასე, რომ 7 აპრილს საფეხბურთო სამყაროს ზუსტად ეცოდინება რამდენი პრეტენდენტი ჰყავს ტახტს, მხოლოდ უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი თუ კიდევ სხვა ვინმე.

ბლატერი 62 წლისაა. იგი იუჰანსონზე ექვსი წლით უმცროსია და თან ჟოაო აველანჟის მარჯვენა ხელი გახლდათ წლების განმავლობაში. ბოლო რვა წლის განმავლობაში მისი პოზიცია ფიფას ოფიციალურ პოზიციასთან იყო გაიგივებული, მაგრამ დღეს მას ვერ გადაუწყვეტია რა გზას დაადგეს მომავალში.

— ჩემს კანდიდატურას იმ შემთხვევაში წამოვაყენებ, თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნული ფედერაცია დამიჭერს მხარს, მანამდე ჩემი პოზიციის გამომჟღავნება საჭიროდ არ მიმაჩნია .— ამბობს ბლატერი.

1974 წელს არჩეული, დღეს 82 წლის ჟოაო აველანჟის ერა მთავრდება.

# გაზაევი ცუდი კაცია

*მალტური ტურნირისას ვახტანგ ხვადაგიანი რჩეულ ქართველ ფეხბურთელთა მარაქაში გაერია. მასპინძლებთანაც ისე ითამაშა, დებიუტანტს წარბიც არ შეუხრია, უკან დაბრუნებისას კი გოგა გახოკიძესთან ერთად მოსკოვის „შერემეტიევოს" აეროპორტში შეყოვნდა, იტალიაში გასაფრენ რეისს ელოდა, ვლადიკავკაზის „ალანიას" რომ შეერთებოდა და ოსებთან კონტრაქტი გაეფორმებინა. ასეც მოხდა. მეზობლებმა კიდევ ერთი ქართველი შეიგულეს, მაგრამ მცირე ხნით. გუშინ ვახტანგ ხვადაგიანი თბილისში იყო.*



ხვადაგიანი ისევ აქ ითამაშებს და ისევ ჩვენს მსაჯებს გაებაასება

— ვლადიკავკაზელთა კლუბმა „ტორპედოს" კუთვნილი თანხა ვერ გადაუხადა, მეც უკან დავბრუნდი. კი, კონტრაქტი გავაფორმე, მაგრამ არა მგონია, იქ კვლავ ჩავიდე. ქუთაისელებს საკონტრაქტო ფული ჯერაც არ მიუღიათ. ახლა „ტორპედოს" პრეზიდენტი ბესო ჯიქია ჩივილს აპირებს, ალანებმა მოლაპარაკების პირობები რომ დაარღვიეს. ბითაროვი და ჯიქია ყველაფერზე შეთანხმებულნი იყვნენ და რატომ გატეხეს ოსებმა სიტყვა, არ ვიცი. ეტყობა, ბითაროვმა და „ალანიამ" „ტორპედოსთვის" გადასახდელი თანხა პრეზიდენტის მოტაცებული გოგონას გამოსყიდვას შეალიეს.

**— ფეხბურთელებს თუ აკმაყოფილებენ?**

— ყველას გაქცევაზე უჭირავს თვალი. ერთი სული აქვთ, კონტრაქტები როდის დაუმთავრდებათ. გუნდში ძალიან ცუდი ატმოსფერო შეიქმნა, ეს ჩემი მაგალითიდანაც ჩანს. გაზაევი მიზეზებს ეძებდა, ხან მარცხნივ მათამაშებდა, ხან მარჯვნივ, ცენტრში, წინ, მოკლედ, ყველგან, ცდილობდა, სათქმელი ჰქონოდა, აი, ნახეთ, ვერ თამაშობსო. უარყოფითი, ცუდი პიროვნებაა გაზაევი. სამარელი ზურა წიკლაურიც გაექცა, მასთან მუშაობა და ფულის გადაუხდელობა ვერ აიტანა.

**— გახოკიძე და ჩალაძეც წამოსვლას აპირებენ?**

— ვერ გეტყვი. ისე კი ფაქტია, დიდად არ ხიბლავთ იქაური სიტუაცია. რიგის „სკონტომ" ჩალაძე იქამდე შეაყოვნა თავისთან, სანამ „ალანიამ" ფული არ გადაუხადა.

**— ადრე ფინანსების მხრივ ოსებს კარგად ჰქონდათ საქმე. ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტად ძასოხოვის არჩევამ ხომ არ იმოქმედა?**

— გაზაევს რომ ჰკითხოთ, პირიქითაა, გუნდთანაც და ჩემთანაც კარგი ურთიერთობა აქვსო, გიპასუხებს.

**— ასეთ სიტუაციაში, აბა, მიზნებიც მოკრძალებული ექნება „ალანიას".**

— არა. წარმოიდგინე, რუსეთის ჩემპიონობაც და თასის მოპოვებაც სურთ. საიდან, როგორ აპირებენ ამას, ნამდვილად არ ვიცი. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ მე ვლადიკავკაზში დამბრუნებელი აღარ ვარ, სურვილი საერთოდ დამეკარგა. მაშინ თუ ჩავაკითხავ ოსებს, თუ სხვა გამოსავალი არ მექნება.

**— საქართველოში დარჩები თუ სხვა გუნდებიც გეპატიჟებიან?**

— იმედია, ქვეყანა არ დაიქცევა. მაისამდე ქუთაისის „ტორპედოში" დავრჩები, მერე კი ვნახოთ. უცხოეთის კარგი ვარიანტი თუ გამომიჩნდა, ხომ კარგი, ან არა, ისევ საქართველოში ვითამაშებ.

**კობა ინასარიძე**

# ქებაძე დროებით ჩამოვიდა

ტორპედოელი ლევან ქებაძე წრეებს შორის არდადეგებისას უცხოეთში, კერძოდ, ბელგია-ჰოლანდიაში რომ მოგზაურობდა, ადრეც გაუწყეთ. ჩვენებურის შეძენის სურვილს ბელგიელთა „ანტვერპენი" და არჩილ არველაძის „ბრედა" გამოთქვამდა. მერე და მერე ჰოლანდიურმა კლუბმა თავი შეიკავა და ბურთი და მოედანი ბელგიელებს დარჩათ. ლევანმა ოთხი მატჩიც ითამაშა „ანტვერპენის" მაისურით. რა თქმა უნდა, ოთხივე საწვრთნელი ხასიათისა გახლდათ, მაგრამ ბელგიელებს ჭაბუკიანელის დონის შესასწავლად კი ეყოთ. ანტვერპენელმა მწვრთნელებმა ჩვენებურს კარგი თვალით შეხედეს, ბარემ ხუთწლიანი კონტრაქტიც გავაფორმოთო დაიჟინეს, მაგრამ უკვე ქართული მხარე დაფიქრებულა. „ანტვერპენს" გავარდნისგან ქრისტე ღმერთი ვერ იხსნის, მეორე ლიგაში ბიჭი რატომ ვარბეინინოთ, თან არავინ იცის, უძლიერესთა რიგებს როდის დაუბრუნდებიანო.

ქებაძე ბელგიელებს დაეთხოვა და კინაღამ თავი რუსეთის პირველ ლიგაში ამოყო. ტორპედოელს ილუმჟინოვის „ურალანის" წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და თავიანთ გუნდში გადასვლა შესთავაზეს. მოგეხსენებათ, ილუმჟინოვი რა გაქანების კაცია. ფიდეს პრეზიდენტს ფულის მეტი რა აქვს. ტრანსფერი რომ განხორციელებულიყო, „ტორპედოც" გვარიანად იხეირებდა.

თითქოს საქმეც გაჩარხული იყო, მაგრამ ყველაფერი ქებაძის ტრავმამ ჩაშალა. ლევანს მარცხენა ფეხის კუნთი აწუხებს და მკურნალობა ესაჭიროება. ტრავმა რომ არა, იგი „ურალანს" დღეს შეკრებაზე უნდა გაჰყოლოდა. ფეხი ტორპედოელს ბელგიაში უტკენია.

ამბობენ, ეს ვარიანტი საბოლოოდ არ ჩაშლილა და ლევანი „ურალანს" გამოჯანმრთელების შემდეგ შეუერთდებაო.

# ოდიშში მატებაა

ზუგდიდური „ოდიში" ის კლუბია, რომელსაც ფეხბურთელთა გადაბირება არ უჭირს. კლუბის ხელმძღვანელები ამ საკითხში შესაშურ მარიფათს და ფხას იჩენენ. წავიდა გუნდიდან ფეხბურთელი, ღმერთმა ხელი მოუმართოსო, გზას დაულოცავენ და სულ რაღაც ორ საათში შემცვლელსაც მოიძიებენ.

„ოდიშის" ადრინდელი მატება-დანაკლისის შესახებ უკვე გაუწყეთ. ახლა ახლებზეც ვთქვათ. ყოფილი მორკინალელი ზურაბ ქოიავა ზუგდიდელთა პრეზიდენტ ვახტანგ ნანავას პოლონეთში ახლდა, იქაურ კლუბთან თითქმის საათივით აწყობილი საქმე ჩაეშალა და თბილისში დაბრუნდა. სანამ სატრანსფერო სეზონი გაიხსნებოდეს, ქოიავა ზუგდიდში მოიცდის და „ოდიშს" დაეხმარება, მეორე წრის დასრულების შემდეგ კი ისევ პოლონეთში მოწყობას ეცდება.

ოდიშელებს კიდევ რამდენიმე მოთამაშე ამოუღიათ მიზანში. ერთ-ერთი მათგანი ყოფილი მერანელი დავით გოდერძიშვილი გახლავთ, რომელმაც სხვებივით მოიარა პოლონეთი, მაგრამ ჯერჯერობით იქაურ გუნდებში ვერ მოეწყო. ამბობენ, მეორე წრეში „ოდიშისთვის" გაირჯებაო.

# ოთხი წლის თანაშემწე

## პირველობას ცხოვრება მოიტანს

ვლადიმერ პანოვი — რას ეუბნება ეს სახელი და გვარი ქართველ გულშემატკივარს? მხოლოდ თანამდებობას? — საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე. მშრალი, ზოგადი ინფორმაცია.

ვოვა პანოვი ჯერ კიდევ ალექსანდრე ჩივაძის მწვრთნელობისას ასისტენტობდა, მერე გუცაევს ეხმარებოდა ახალგაზრდულ გუნდში, საიდანაც ისევ ეროვნულში დაბრუნდა.

მუდამ თავმდაბალი, ზრდილობიან და კულტურულ თანაშემწეს ტაქტის გრძნობა არასდროს ღალატობს. არავის ემახსოვრება, მისთვის რაიმე საკითხზე მიემართა და მისგან უყურადღებობა ეგრძნო.

იქნებ ჩვენი ბრალიცაა, აქამდე ეს პიროვნება იშვიათად თუ გაიელვებდა გაზეთების ფურცლებზე. ახლა სწორედ მასთან შემოგთავაზებთ ინტერვიუს, მის ცხოვრებასა და ადამიანურ ბუნებაზე ოდნავ მაინც რომ შეგიქმნათ წარმოდგენა. თანაშემწის ფუნქცია ვალდებულებებში გამოცდილ ვოვა პანოვს თავიდანვე ვკითხეთ — ამდენი წელი რომ ასისტენტი ბრძანდებით, ნუთუ პირველობაზე არ ფიქრობთო?

— როგორ არა, ბევრჯერ დავფიქრებულვარ, მაგრამ ბოლოს ერთ დასკვნამდე მივდივარ, სულ ერთია, სად აკეთებს ადამიანი საჭირო საქმეს — თქვა პანოვმა და იქვე დასძინა — ნუ იფიქრებთ, თითქოს ასისტენტობა იოლი საქმე იყოს. მძიმე, შრომატევადი სამუშაო მაკისრია. მეც დიდი მონდომებით ვაკეთებ ჩემს გასაკეთებელს. პირველობა ცხოვრების მოსატანია. დავკრა ფეხი და უეცრად ვთქვა, ნაკრები ჩამაბარეთო, ასე არ გამოვა. ჯერ კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი...

**— ნაკრებში მუშაობის დაწყებამდე ცოტა თუ გიცნობდათ, თუმცა, პირველი „ოფიციალური" ეროვნული გუნდის მწვრთნელის თანაშემწეობა თქვენ მოგანდეს.**

— საქმე ისაა, რომ ჩემი თბილისის „ლოკომოტივში" თამაშისას გუნდის მწვრთნელი ცნობილი ნოდარ ახალკაცი გახლდათ. ოთხი სეზონი ამ კაცის ხელმძღვანელობით ვაგორებდი ბურთს. შემდეგ მოსკოვის მწვრთნელთა სკოლას მივაშურე, სამწვრთნელო განათლება მივიღე, სტაჟირება კი კვლავ ნოდარ ახალკაცთან გავიარე. მაშინ იგი თბილისის „დინამოს" მწვრთნელი იყო. მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შეიქმნა. მე პროფესიით ვმუშაობდი — ეკონომისტად. ნოდარ ახალკაცმა დამირეკა, მოდი, ჩვენთან იმუშავეო, შემომთავაზა. დავთანხმდი. მოგვიანებით ეროვნული გუნდი საშა ჩივაძეს ჩააბარეს, მის თანაშემწედ კი პანოვი დანიშნეს.

**— მწვრთნელის დიპლომიც გქონიათ...**

— აბა, როგორ. სხვათა შორის, მაშინ შეძენილი ცოდნა ახლა ძალიან მეხმარება. მოსკოვში ორი წელი ვსწავლობდი. დიდი, გამორჩენილი ადამიანები კითხულობდნენ ლექციებს. მაშინ საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება არავის ეპატიებოდა, კურსდამთავრებულებიც შესაბამის განათლებას ღებულობდნენ.

**— სტაჟიორი „დინამოში" ბრძანდებოდით. სხვაგან არსად? სამწვრთნელოდ მეტი პრაქტიკაა საჭირო.**

— „დინამოს" შემდეგ ცოტა ხანს ჩეხოსლოვაკიაში, კოშიცეს „ლოკომოტივშიც" ვმოღვაწეობდი. იქიდან მობრუნებული პირდაპირ თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელად დამნიშნეს. ეს 82-ში იყო, მაშინ, როცა გუნდში ძმები კაპანაძეები, იაგო ჟორჟიკაშვილი და სხვა პერსპექტიული ფეხბურთელები თამაშობდნენ. ჩვენ „დინამოს" საბაზო გუნდი ვიყავით.

**— გარდა „ლოკომოტივისა" სხვაგან თუ თამაშობდით?**

— სამოცდაათიან წლებში. თბილისიდან „მეშახტეში" გადავბარგდი, მერე გიგა ნორაკიძემ ოზურგეთის „მერცხალში" დამპატიჟა. საბჭოთა კავშირის მეორე ლიგაში ვთამაშობდით და მოსამზადებლად რუსეთში, ბელაია კალიტვაში გავემგზავრეთ, იქაურ გუნდს ამხანაგურად უნდა გავჯიბრებოდით. ტრიბუნაზე როსტოვის არმიელთა კლუბის მწვრთნელი ბორის იაკოვლევი ჩამომჯდარიყო, მეტოქე გუნდიდან რომელიღაც ფეხბურთელს აკვირდებოდა და საბოლოოდ ხელში მე შევრჩი. თამაშის დამთავრებისთანავე ჯარში თუ ხარ ნამყოფიო — მითხრა. არა-მეთქი. ჰოდა, წამოდი ჩვენს გუნდში მოიხადე სავალდებულო სამსახურიო. ასაკი ხელს მიწყობდა. დავთანხმდი და სამი წელი როსტოვის ასკ-ში ვითამაშე. ერთხელაც მძიმე ტრავმა მივიღე. ვიფიქრე, საერთოდ შევეშვები ფეხბურთს-მეთქი. სწავლა მინდოდა, თანაც თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. ჩამოვედი აქ და ისევ ოზურგეთიდან შემეხმიანნენ. წავედი გურიაში. სხვათა შორის, მუდამ ვიამაყებ — „ლოკომოტივში" მიშა მესხის თანაგუნდელი ვიყავი.

**— აწმყოს დავუბრუნდეთ. თანაშემწეობა რასაც ნიშნავს, გასაგებია, მაგრამ უფრო დაწვრილებით რომ მოგვითხროთ...**

— ნაკრების ხელმძღვანელობაში სუბორდინაციის პრინციპი მუდამ დაცულია. ყველამ ჩვენი საქმე ვიცით, თუმცა არც მთლად ისეა, ვოვა გუცაევი წყვეტდეს ყველაფერს. თამაშამდე, თამაშის შემდეგ, შეკრებებზე ყველა საკუთარ აზრს გამოვთქვამთ, ვოვაც მათ შორის, ვაანალიზებთ შეცდომებს, კანდიდატებს ვარჩევთ, საბოლოოდ კი გადაწყვეტილებას ვოვა გუცაევი იღებს. ბოლო სიტყვა მასზეა. ჩვენ მაქსიმალურად ვუიოლებთ



გუცაევი და პანოვი მართლაც ძმებივით არიან

ყველანაირ საკითხს. ვცდილობთ, მან მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთზე იფიქროს. როგორც ფეხბურთელები არიან ერთი გუნდი, ისეა მწვრთნელებიც. ერთი ორგანიზმია, ერთსულოვნება და ერთგულებაა პრინციპი. რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა აზრიც გვაქვს ხოლმე, მაგრამ გადაწყვეტილება ისეთია, სათქმელს აღარ ტოვებს. მწვრთნელები თუ ერთი ჭკუისანი არ არიან, ძნელია ერთად მუშაობა.

**— ყოფილა შემთხვევები, ჩივაძეს ან გუცაევს რაიმე საკითხის გადაწყვეტისას არ დათანხმებიხართ?**

— რამდენჯერმე ყოფილა, მე ჩემი მითქვამს, მათ — თავიანთი. ბევრი გვიფიქრია, მაგრამ ზღვარს არასდროს ვაჭარბებ. აკი გითხარით, გადაწყვეტილებას ისინი ღებულობენ. ეს ბუნებრივია, თუ არ ვუთხარი ასე ვფიქრობ, იქნებ სჯობდეს ამის ნაცვლად ეს ვათამაშოთ, ან რაიმე მსგავსი, მაშინ აქვს კი აზრი საერთოდ თანაშემწეობას? ოღონდ ერთია, როცა საკუთარი მოსაზრება გაქვს, ყოველივე უნდა დაამტკიცო, ჰაერზე ნათქვამი არავის სჭირდება.

**— ნაკრების მწვრთნელები ერთი ჭკუისანი უნდა იყვნენო, თქვით. თქვენ ჩივაძესთანაც გიმუშავიათ, გუცაევთანაც. თამაშის სტილი კი ჩივაძეს განსხვავებული ჰქონდა.**

— მაშინ სხვა დრო იყო. რასაც ჩივაძე აკეთებდა, დარწმუნებული ვარ, სწორი და გამართლებული გახლდათ. გუნდს შეკვრა სჭირდებოდა, შეთამაშება, ფეხბურთელებს შერჩევა. მახსოვს, 1994 წელს, მალტაზე, როგორ პლასტელინივით აწებებდა ჩივაძე თითოეულ სათამაშო რგოლს, მოთამაშეებს. ნელ-ნელა ნაკრებიც ჩამოყალიბდა, წელიწადნახევარი ამას მოვანდომეთ. იმ გუნდის ძირითადი ბირთვი დღესაც შენარჩუნებულია. აქედან გამომდინარე, სამ-ოთხი წლის წინანდელი მუშაობა აბსოლუტურად ნაყოფიერი და გონივრული იყო. ახლა დრო შეიცვალა, გუცაევიც ადგილზე არ გაჩერებულა. რაც დრომ მოიტანა, ფეხბურთელებსაც იგივეს ასწავლის.

**— თქვენი რჩევა-რეკომენდაციით თუ მოუწვევიათ სანაკრებო ფეხბურთელი?**

— ჩივაძის დროს საბერძნეთში ტოგონიძე წავიყვანეთ, გავსინჯოთ-მეთქი, ვუთხარი. ახალგაზრდულშიც იყო რამდენიმე მოთამაშე, ფოცხვერია და საჯაია მათ შორის.

**— [illegible] ახალგაზრდულში მუშაობისას ფეხბურთელები [illegible] თქვენთან მოდიოდნენ და [illegible] მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. იქნებ ახლა თქვათ?**

— რაა საიდუმლო და დასამალი. აი, როცა ჩივაძისა და გუცაევის განსხვავებულ სტილზე მკითხეთ მისი პასუხის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს, რასაც ახლა ვიტყვი. ფეხბურთელები თითქმის ყველა ვარჯიშის შემდეგ ერთს მეუბნებოდნენ — ვოვა, გავრილიჩთან თქმა გვერიდება, შენ გეტყვით, დიდ დატვირთვებს გვაძლევთ. მიუჩვეველნი ვართ, ასეთ ფეხბურთს ვერ ვითამაშებთ, ჩვენ ქართველები ვართო. შუამავლის მოვალეობასავით უნდა შემესრულებინა, მაგრამ გუცაევისთვის არაფერი მითქვამს. ვიცოდი, იგივეს მეტყოდა, რასაც მე ვეუბნებოდი — თანამედროვე ფეხბურთი ასეა, თუ კარგ და ძლიერ საფეხბურთო ქვეყნებში თამაში გსურთ. კეთილი ინებეთ, მწვრთნელის დავალება ბოლომდე შეასრულეთ, სამომავლოდ გამოგადგებათ-მეთქი. ასეთი რამ ჩივაძის დროინდელ ნაკრებში არ მომხდარა. კი, მივცემდით დიდ დატვირთვებს, მაგრამ მაშინ ყველაფერს ზომიერად ვაკეთებდით, საჭირო არ იყო მეტი. საკმარისად ვტვირთავდით. მერე დრო შეიცვალა და აუცილებლობამ მოიტანა გუცაევის მუშაობის მეთოდი.

**— მართალია, სულ ერთხელ შეკრიბეთ ნაკრები, მაგრამ... მსგავსი უკმაყოფილება ახლაც ხომ არ გამოუთქვამთ?**

— არა, ახლა მსგავსი არაფერი ყოფილა. ყველას შეგნებული აქვს, რასაც ვაკეთებინებთ, იციან სხვა გამოსავალი არ არსებობს. მალტაზე გუცაევი ბიჭებს ესაუბრა, მიზანიც დაუსახა, აუხსნა, ასეთი ფეხბურთით შეგვიძლია ევროპის ჩემპიონატზე თამაშიო. მათაც შეიგნეს და მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ სანაკრებო საქმეებს. მაშინდელი დატვირთვები ნელ-ნელა დღეს უადვილებთ თამაშს.

**— საკმაოდ წყნარი, უემოციო ბრძანდებით. ბუნებით ხართ ასეთი, თუ მწვრთნელს უწევთ ანგარიშს?**

— ერთიც და მეორეც. ხანდახან ემოციებს მაინც ვერ ვიოკებ ხოლმე. პირველად ბულგარელების დამარცხებამ ისე გამახარა, გავითიშე და მოედნის ცენტრალურ წრეში ბიჭებს ჩავეხუტე. მეორე დღეს ვიდეოფირი რომ ვნახე, გამიკვირდა, იქ რა მინდოდა-მეთქი, გავიფიქრე. იმ მომენტში ვერ მოვზომე. შემდეგ იტალიელთა დამარცხებისასაც თითქმის იგივე დამემართა. ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდი, მე და გუცაევი ერთმანეთს ასი წლის უნახავი ძმებივით დავეკონეთ. საერთოდ, ცივი გონება ყოველთვის უკეთესია, მერე განსჯისა და ანალიზის უნარი რომ გქონდეს.

**— მახსოვს, კომპიუტერთან მუშაობდით, შესარჩევი ჯგუფის შესაძლო კალენდარს ამუშავებდით. გაამართლა მაგ ვარიანტმა?**

— ერთი ნორვეგია არ გამოვიდა. გვსურდა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შევხვედროდით, მაგრამ ვიკინგებმა ქვა ააგდეს, თავი შეუშვირეს, რას გველაპარაკებით საფრანგეთის მერე თქვენთან როგორ ვითამაშებთ, მეორედ ეს აღარ გაგვიმეოროთო. დანარჩენი გამართლდა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა, ყველაფერი ისე გაკეთდა.

*ჩვენი ნაკრების მწვრთნელებს ახლა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა აქვთ ჩაფიქრებული. ღმერთმა ინებოს, ესეც გამართლებოდეთ და კიდევ მრავალჯერ ეთქვას ვოვა პანოვს, სიხარულისგან ასი წლის უნახავი ძმასავით ვეკონებოდი ვოვა გუცაევსო... დანარჩენი სხვა დროს იყოს.*

**კობა ინასარიძე**

# წიე, მომე პასი

*ჩვენში პატარა ბიჭების უმეტესი ნაწილი ფეხბურთზეა შეყვარებული. ამათგან ყოველი მეორე საფეხბურთო სკოლაში დადის. წარმოიდგინეთ, რამდენი პატარაა საქართველოში, დღედალამ ბურთზე რომ ფიქრობს. ყოველი მეათე მაინც ბუნებრივი, ხალასი ნიჭით დაუჯილდოვებია ქვეყნიერების შემოქმედს. ამიტომ ქართულ ფეხბურთში ტალანტების მოზღვავება უნდა იგრძნობოდეს. ბევრი გვყავს ევეთები? ძალიან ცოტა.*



ბადრი ძამ[illegible] ფოტო

წიტაიშვილი მცველთა მარწუხებს ჩვეულია

*მედალს ორი მხარე გააჩნია და ახალგაზრდა ტალანტების დაკარგვის ორი მიზეზი არსებობს. პირველი საკმაოდ გავრცელებულია და ბლომად მხარდამჭერნიც ჰყავს — ნახეთ, ჩვენი მოზარდები რა პირობებში ვარჯიშობენ და დასკვნებიც მერე გამოიტანეთო — ვაიძახიან ბავშვთა ფეხბურთში კვალიფიცირებული სპეციალისტები. რა თქმა უნდა, ამ პრობლემას გვერდს ვერ ავუვლით. საფეხბურთო სკოლებში კატასტროფული მდგომარეობა სუფევს და, ჩვენი აზრით, პირველ რიგში დახმარება მათ სჭირდებათ, თანაც სასწრაფოდ, მაგრამ...*

*სწორედ ეს მაგრამ გახლავთ მედლის მეორე მხარე, მეორე მიზეზი. ფეხბურთელებს, რომლებიც ახალგაზრდულ ასაკს უახლოვდებიან, რაღაც მომენტში ბურთის სიყვარული უქრებათ. ფეხბურთის თამაშს, ოფლის ღვრას, ქუჩაში უსაქმოდ ყოფნა, მეგობარ-ძმაკაცთან დროსტარება და ქეიფი ურჩევნიათ. მერე ტალანტიც იკარგება. ასეთები ბლომად გვყოლია. მწვრთნელები არა ერთს ჩამოთვლიან და სინანულით დაასახელებენ, თავი როგორ დაიღუპაო.*

*დღეს კიდევ ერთ იმედისმომცემ ახალგაზრდაზე მოგითხრობთ, რომელსაც ფეხბურთში ბევრის მიღწევა შეუძლია, ეროვნულ ჩემპიონატშიც არაერთი სეზონი უთამაშია და 19 წლის ასაკში ფეხბურთთან განშორება და დაბრუნებაც მოუსწრია: კობა წიტაიშვილი, ამჟამად „დინამოს“ და ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი, რომელსაც პოლონეთსა და ისრაელშიც უმოგზაურია, მაგრამ საბოლოო არჩევანი „დინამოზე“ შეუჩერებია. თავად შეუჩერებია თუ შეუჩერებინებიათ. ერთიც სათქმელია, პატრონობა და ყურადღება მწვრთნელთა მხრივ არ მოჰკლებია.*

## ცუდი ბიჭი

საფეხბურთო კლუბი „შევარდენი-1906“ თავისი არსებობის ბოლო დღეებს ითვლიდა. გუნდს გასავარდნად ჰქონდა საქმე. ყოველ ქულას ოქროს ფასი ეძლეოდა. ჩემპიონატის ფინიშზე „შევარდენის“ ერთ-ერთ საშინაო თამაშზე მომიწია წასვლამ, თანაც კობა წიტაიშვილის ხილვა მაინტერესებდა. მაშინაც ბევრი აქებდა. მისი თამაში იმ დღესაც ვერ ვნახე, მწვრთნელებმა ძირითადში არ დააყენეს. იჯდა თავისთვის სათადარიგოებთან, სახეზე აშკარად ეტყობოდა წყენა. სულ სამნი იყვნენ — ერთი მეკარე და ორიც წინახაზელი. „შევარდენს“ ერთი მოთამაშე დაემტვრა, მეორე დაილალა და შეცვლა ითხოვა. მწვრთნელებმა წიტაიშვილსაც უთხრეს, გაემზადეო. კობამ კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — წაგებულ თამაშზე რატომ შევიდე, თქვენვე შეატრიალეთ მატჩის ბედიო, ადგა და გასახდელს მიაშურა. თანაგუნდელებმაც დაანამუსეს. არაფერმა გაჭრა.

მაშინ გუნდიდან გაგდებას და დასჯას უპირებდნენ. მეც მინდოდა, გაზეთში გამომემზეურებინა მისი საქციელი, შემერცხვინა, მაგრამ მაინც მოვერიდე. იმიტომ, რომ 16 წლის იყო. ნამოქმედარი ბავშობად ჩავუთვალე. აღმოჩნდა, მწვრთნელებმაც აპატიეს. ფეხბურთელს თავისი გაუვიდა და მერე ლამის ფეხბურთს რომ შეეშვა, ჩვენი ბრალიც იყო. თავზე ხელის გადასმამ ბიჭი კინაღამ დაღუპა.

მას შემდეგ წიტაიშვილზე კარგს ვერაფერს მათქმევინებდით. პირველი შთაბეჭდილებით ძალიან ცუდ, თავგასულ და უზრდელ ახალგაზრდად დამამახსოვრდა.

ყინული მაშინ გალხვა, როცა წიტაიშვილი შარშან შევარდენის სტადიონს ეწვია. ზუგდიდის „ოდიში“ „მორკინალთან“ სტუმრობდა. თითქოს თამაში ფრედ მთავრდებოდა. ოდიშელმა ენდელაძემ კუთხური ჩააწოდა. ბურთმა მაინცდამაინც სასურველი ტრაექტორიით ვერ იფრინა. ყველა გაჩერდა, მათ შორის, მასპინძელთა მეკარე დათო გვარამაძეც. ამ დროს კი წიტაიშვილის წარმოუდგენელი აბრაგანი და ულამაზესი გოლი მარჯვენა ცხრიანში. ახლაც კარგად მახსოვს გულშემატკივართა რეაქცია — სტუმარ-მასპინძელი, მწვრთნელები, ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, უკლებლივ ყველა, ფეხზე წამოდგა და კობას ტაში დაუკრა. ასეთი დარტყმების ოსტატია, მეტყვის მერე ერთ-ერთი მწვრთნელი, ეგ არის, ცოტა სერიოზულობა აკლია და მეტი მუშაობა მართებს, სხვა მხრივ ფეხბურთელად არის დაბადებულიო.

## მეორე ისტორია

ეს ამბავიც ადრე მოხდა. ზუგდიდში ქუთაისური სპორტსკოლის გუნდი სტუმრობს. მოზარდთა ტურნირი ტარდება. ეს ის დროა, როცა წიტაიშვილი უკვე „ოდიშშია“ ჩარიცხული, მაგრამ ასაკი უფლებას აძლევს, ტურნირშიც მიიღოს მონაწილეობა. მასპინძელთა მწვრთნელს კობას იმედი აქვს. შემადგენლობას კითხულობს, წიტაიშვილი ძირითადშია. ეს მის თანატოლებსაც ამხნევებს — ხუმრობა როდია, მათ გვერდით ხომ ეროვნული ჩემპიონატის პირველჯგუფელი ითამაშებს.

თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათია. გუნდები მოთელვაზე გადიან და უეცრად ირკვევა, რომ წიტაიშვილი გაუჩინარდა. აქეთ ეცნენ, იქით, ყველგან მოიძიეს, მაგრამ თქვენც ნუ მომიკვდებით, ვერაფრით იპოვეს.

— მე ვიცი, სადაც იქნება, აქვე ბაღში გადავიდოდა. წავიდეთ და ვნახოთ — ამბობს ვიღაც პატარა ბიჭი, კობას მეზობელი რომ აღმოჩნდა.

წავიდნენ, მოიყვანეს, სათამაშოდაც ძალით გააგდეს, მაგრამ გაგიგონიათ, არაფერი გამოდის. წიტაიშვილი ყველაფერს აკეთებს, თამაშის გარდა. აქეთ-იქეთ მოედება, ტრიბუნაზე ვიღაცას გასძახებს, ამასობაში კი მასპინძლები 0:2 აგებენ. თამაშს „ოდიშის“ მწვრთნელი ბადრი თუთბერიძე ესწრება. გაცხარდა კაცი. წიტაიშვილს ემუქრება, ტუქსავს, სად გავამხილოთ, ბიჭო, „ოდიშში“ რომ თამაშობ, რას ჰგავხარ, საკუთარი თავის არ გრცხვენიაო? პასუხად დამამშვიდებელი სიტყვები ესმის, ნუ გეშინია, „პანტეევიჩ“, ყველაფერი კარგად იქნებაო.

ქუთაისელები კი უკვე 3:0 იგებენ. თამაშის დამთავრებამდე ოციოდ წუთი რჩება. როგორ გგონიათ, რა ანგარიშით დამთავრდა მატჩი? 4:3 მოიგო ზუგდიდის გუნდმა. ოთხივე წიტაიშვილმა გაიტანა. თანაგუნდელებს ხელში აყვანილი გამოჰყავთ მინდვრიდან. კობა თუთბერიძეს მიუბრუნდება და უკვე გახარებული ეტყვის, ხომ გეუბნებოდით, „პანტეევიჩ“, ყველაფერი კარგად დამთავრდება-მეთქი.

ასეთია და რა გინდა, მოუხერხო. ძალიან ნიჭიერია ეს ოხერი. შეუძლია, ბევრი შეუძლია და თუ მოინდომა...

## ჯობია წავიდეს

ვინ იცის, ასე როდემდე გაგრძელდებოდა, ალბათ, კარგა ხანს და წიტაიშვილიც სხვებივით დაიკარგებოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ზუგდიდური კლუბის ხელმძღვანელები კობას ბედის გასარკვევად შეიკრიბნენ. ეს რომ აქ დავტოვოთ, ჩათვალეთ, ცოტა ხანში ფეხბურთსაც შეეშვებაო. ასეთი იყო საერთო აზრი. ცოტაც დაფიქრდნენ და წიტაიშვილი გზას გაუყენეს. ჯერ პოლონეთი ანახეს, მერე ისრაელი, საბოლოოდ კი თავად ფეხბურთელმა საქართველოში დაბრუნება და „დინამოში“ თამაში ამჯობინა გარე-გარე წანწალს. ორი კლუბის თავკაცები მოსალაპარაკებლად მაგიდას მიუსხდნენ, სწორედ იქ გადაწყდა — კობა წიტაიშვილი დინამოელი გახდა. ზუგდიდელს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. როგორ გამოიწვრთნება იგი და რა გამოვა ამ საქმიდან, მალე გაირკვევა.

## ყველაფერზე პასუხს ვაგებ

— ადრე ცხოვრებას სხვა თვალით ვუყურებდი. მეგონა, ყველაფერს გავწვდებოდი, ფეხბურთსაც ვითამაშებდი და გართობასაც მოვახერხებდი. ამ ფიქრმა კინაღამ დამღუპა. დასამალიც არაფერია, საკუთარ თავს ვაბრალებ, ფეხბურთში წელიწადნახევარი რომ გამიცდა. კიდევ კარგი, ჩემი სჯეროდათ, მენდობოდნენ, მაგრამ მაინც, რომ არა მეუღლე, ბურთს ვერასდროს ვითამაშებდი. ჭაობიდან მან ამომიყვანა. ბევრი დამიშავებია, ჩემი თავისთვის თითქოს კარგი მინდოდა, მაგრამ გამოდის, მხოლოდ ვავნე. ფეხბურთში ცოლის მოყვანამაც დამაბრუნა. ოჯახს რჩენა უნდა. მეტი შემოსავალი მჭირდება, მე კი ბურთის გორების გარდა ჯერ არაფერი ვიცი. აქაც უამრავი მაქვს სასწავლი, თუმცა არც ამის მეშინია.

შემეძლო, ისრაელშიც დავრჩენილიყავი, მაგრამ მივხვდი, იქ ვერ გაივზრდებოდი. კლუბი აუტსაიდერთა შორის იყო, ლიგიდან ვარდებოდა და იქაური კოშმარიდან თავის დაღწევა გამიჭირდებოდა. შეიძლება, წამოსვლა არც გამძნელებოდა, მაგრამ დრო ფუჭად იკარგებოდა.

ახლა, „დინამოში“ ვარ. ბიჭებმაც მშვენივრად მიმიღეს, გუნდთან შეგუება არ გამჭირვებია. ყველამ თავისიანად მიგულა. დიდი ფეხბურთის გარდა ჩემთვის არაფერი არსებობს. რა თქმა უნდა, აქ ოჯახს არ ვგულისხმობ, იგი ჩემთვის უპირველესია. გაორკეცებული ენერგიით ვივარჯიშებ, დამრიგებლებიც არ მაკლია და ყიფიანის ხელში საჭირო დონესაც მივაღწევ. ნაკრებშიც მინდა ვითამაშო, „დინამოს“ ძირითადშიც უნდა დავიმკვიდრო ადგილი, მოკლედ, დაინტერესება დიდია, დამიჯერეთ, სურვილიც არანაკლები. დანარჩენი დროისა და მონდომების ამბავია. ჩემსას მაინც მივაღწევ.

## იმედიანი ეპილოგი

ვერ გეტყვით, კობა წიტაიშვილი მერამდენეა, ვისაც უთქვამს, დიდი ფეხბურთის თამაში და ნაკრებში ფეხის მოკიდება მსურსო. სურვილი ერთია და რეალობა მეორე. მენდეთო, ამბობს და სხვა რა გზაა. კობას ბედი მისივე ხელთ არის. ნიჭიერი კია და საქმესაც თუ მიხედავს, მისგან რაღაც გამოვა. თუ არა და, წიტაიშვილი პირველი არ არის და არც უკანასკნელი, ვინც ფეხბურთში ჩაიკარგა.

და მაინც, ცვლილება რომ მოხდა, ცხადია: ეტყობა, კობა რაღაცაზე მართლაც დაფიქრებულა, ცხოვრებაზე აზრი შეუცვლია და ამას ერთი ამასწინდელი ფაქტითაც დავადასტურებ. „დინამო“ ნოვოსიბირსკელთა „ჩკალოვეცს“ ეჯიბრებოდა დილმის ბაზაზე. ყიფიანმა წიტაიშვილი სასტარტო შემადგენლობაში დააყენა, მეორე ტაიმში კი გამოცვალა. მაშინ ერთი რამ შევნიშნე, რამაც ძალიან გამაკვირვა: კობამ მოსასხამი მოიხურა, მთავარ მწვრთნელს გვერდით მიუჯდა და ყიფიანის შესწორებებს ჩაფიქრებული უგდებდა ყურს. მანამდე მსგავსი რამ არასოდეს გაუკეთებია. ადრე თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაამთავრებდა მატჩს.

— დაიმახსოვრე, რასაც გეტყვი — მე ვითამაშებ, კონკურენციას გავუძლებ და გოლებსაც გავიტან — ამას რომ ამბობდა, თვალებში ყინი უელავდა, სახეზე კი ჯერაც ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა.

თუ ბაზაზე დინამოელთან ვარჯიშს უცქერთ, ხშირად გაიგონებთ შეძახილს — წიე, მომე პასი. „დინამოში“ ზუგდიდელს მეტსახელად ხომ „წიე“ შეარქვეს.

**მამუკა ქვანტალიანი**

## ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის** ლიგის თასის ფინალში პსჟ-ს მეტოქე „ბორდო“ იქნება. სამშაბათს გამართულ ნახევარფინალში ბორდოელებმა შინ „ოსერის“ ძლევა ვერ მოახერხეს — 1:1, თუმც, პენალტები მეტოქეზე უკეთ დაარტყეს 4:2. ორი დღის შემდეგ, ხუთშაბათს კი დედაქალაქელებმა იტალიელი თავდამსხმელის მარკო სიმონეს 50-ე და 53-ე წუთებზე შეგდებული ორი გოლით „ლანსი“ დაამარცხეს.

**ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერმა „ბარსელონამ“ ბულგარელ ლეგიონერ ხრისტო სტოიჩკოვთან დადებულ კონტრაქტს, რომელიც სეზონის ბოლოს იწურებოდა, გასრულება არ აცალა და გაწყვიტა იგი. ევროპის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ამ სეზონში ტრავმებმა გატანჯა, თან ამას კატალონიელთა ჰოლანდიელ მწვრთნელ ლუის ვან გაალთან გართულებული ურთიერთობებიც დაერთო და სტოიჩკოვის და გუნდის გზებიც გაიყარა.**

**ჰოლანდიის** თასის მეოთხედფინალის მესამე შეხვედრაში „ეინდჰოვენმა“ 4:0 გაანადგურა „ფეიენოორდი“. მასპინძელთა გამარჯვება პეტერ მიოლერის, (ორი) ოიერის და ხოხლოვის გოლებმა განაპირობეს. შეგახსენებთ, რომ მანამდე „აიაქსმა“ 2:1 სძლია „ბრედას“, „ტვენტემ“ კი 3:1 „ვიტესს“.

**საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა დევიდ ჟინოლამ, რომელიც ემე ჟაკეს გუნდში მისვლის შემდეგ უკვე კარგა ხანია, ნაკრებში ვერ ხვდება, გადაწყვიტა, კომენტატორობაში სცადოს ბედი. ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს, ჟინოლა BBC-ის ერთ-ერთი რადიოკომენტატორი იქნება და ექსთანაგუნდელთა თამაშის აღწერას შეეცდება. თავად ფეხბურთელმა განაცხადა, ვფიქრობ, ერთი თვის განმავლობაში დიდი სიამოვნება მელისო.**

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციამ უკვე ვინ მოთვლის მერამდენედ დასაჯა მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი, რომლის მორიგი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ მან ზემოხსენებული ორგანიზაციის გენერალური მდივანი ხერარდ გონსალესი სიტყვიერად შეურაცხყო. „ატლეტიკოს“ 65-ე პრეზიდენტი დაბადების დღეს აღნიშნავდა, მაგრამ ჯარიმით გათვალისწინებული 20 ათასი დოლარის გადახდა მაინც მოუწია.

**ბელგიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, ბრიუსელის „ანდერლეხტის“ ტექნიკურმა მრჩეველმა პოლ კერენტმა ხუთშაბათს განაცხადა, გასტონ ტაუმენტის შეძენით კლუბის ხელმძღვანელობა დიდადაა დაინტერესებულიო. ჰოლანდიელი გარემარბი აგერ უკვე ერთი სეზონია, ლისაბონის „ბენფიკაში“ ირჯება, მანამდე კი როტერდამის „ფეიენოორდშიც“ საგანგებოდ თამაშობდა ბელგიელი მწვრთნელი მიშელ ვერშუერენი. გაფრინდა ლისაბონში, შეგულებული ფეხბურთელი საქმეში რომ ენახა. გუშინ კი ტაუმენტმა გუნდთან სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.**

**შვედმა** თავდამსხმელმა იორგენ პეტერსონმა მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახლა გერმანულ გუნდთან 2001 წლის ბოლომდე დარჩება. 22 წლის ფორვარდი, რომელსაც ამ ბოლო ხანებში ქვეყნის ნაკრებშიც იწვევენ, მიონხენგლადბახელებთან 1995 წელს გადაბარგდა „მალმიოდან“.

**რუმინეთის ჩემპიონატის 23-ე ტური: რესიტა — სტიაუა 0:2, ნაციონალი — ჟიული 3:0, ოცელული — ჩაჰლაული 2:0, ბაკეუ — უნივერსიტატია (კლუჟი) 2:0, არჯეში — ჩინდია 2:1, დინამო — პეტროლული 3:0, რაპიდი — ფარული 3:0, უნივერსიტატია (კრაიოვა) — სპორტული 1:0, ფორესტა — გლორია 3:0. პირველობას 54 ქულით სტიაუა ლიდერობს, ორით ნაკლები აქვს ბუქარესტისავე რაპიდს, მესამე კი ოცელულია (49 ქულა).**

**გერმანიის** თასის მფლობელ „შტუტგარტის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, გუნდის ძირითადი მეკარე ფრანც ვოლფარტი მორიგ ტურში უკვე ითამაშებსო. ავსტრიელ მეკარეს მუხლის ტრავმის გამო დაახლოებით სამი კვირა გაუცდა და მის ნაცვლად კარს მარკ ზიგლერი იცავდა.

**ბულგარეთის ნაკრების ნახევარმცველმა კრასიმირ ბალაკოვმა, რამდენიმე დღის წინ არგენტინელებთან ამხანაგურ მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო, რაც სავარაუდოდ დღეს, ბუნდესლიგის მორიგ ტურში „ჰამბურგთან“ თამაშის საშუალებას არ მისცემს. „შტუტგარტის“ ერთ-ერთმა ლიდერმა სეზონის დასაწყისშიც ანალოგიური ტრავმა მიიღო, თან მაშინაც ნაკრებში თამაშისას.**

**ხორვატიის** ჩემპიონატის 21-ე ტური: სლავენია — კროაცია 1:1, ზაგრები — ჰაიდუკი 1:1, ვარტექსი — სიბენიკი 1:1, ზადარკომერცი — რიეკა 1:0, მლადოსტ 127 — ოსიეკი 0:0. პირველობას 46 ქულით კროაცია ლიდერობს. მეორეა ზაგრები (41 ქულა), მესამე კი ჰაიდუკი (440).

**გერმანიის ნაკრების მცველმა კრისტიან ვიორნსმა, რომელსაც ლევერკუზენელთა შემადგენლობაში თბილისშიც უთამაშია, ფრანგულ პსჟ-სთან გააფორმა კონტრაქტი. ლევერკუზენის „ბაიერის“ ფეხბურთელმა, ბუნდესლიგაში 200-ზე მეტჯერ რომ უთამაშია, ფრანგებთან სამწლიანი კონტრაქტი დადო. 26 წლის მცველს, ვინც ლევერკუზენამდე მანჰაიმის გუნდების „ვალდოფისა“ და „ფენიქსის“ ღირსებას იცავდა, პსჟ-ში გადასვლა ჯერ კიდევ იანვარში სურდა, მაგრამ მაშინ მხარეები კონტრაქტის პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.**

**ესპანეთის** ნაკრების ფეხბურთელმა ხოსე ლუის პერეს კამინერომ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, სეზონის ბოლოს „ატლეტიკოს“ დავტოვებო, მაგრამ გუშინ სიტყვები უკან წაიღო — ნახევარმცველი კარიერის ბოლომდე მადრიდელთა ერთგული დარჩება. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კამინერო ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო, მაგრამ მერე ტრავმებმა გატანჯა და ფორმის აღდგენა გაუჭირდა, უეფას თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში „ასტონ ვილასთან“ 1:0 მოგებული შეხვედრის შემდეგ კი გულშემატკივრებმა იგი სტვენით გააცილეს. თავად კამინერომ, რომელიც „ატლეტიკოში“ 1993 წელს გადავიდა, განაცხადა, დიდი სურვილი მაქვს, უეფას თასი მოვიგოო.

**ალბანეთის პირველობის 23-ე ტურის მატჩში შკოდერის „ვლაზნიამ“ 3:2 სძლია „ლუშნია“ და 53 ქულით ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. მეორე-მესამე ადგილებს ტირანას „პარტიზანი“ და „ტირანა“ იყოფენ, რომელთაც შესაბამისად 46 და 45 ქულა აქვთ.**

**სამხრეთ ამერიკის** კონტინენტის ლიბერტადორესის თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირი უკვე შუაწელს მიუახლოვდა. ოთხშაბათს მორიგი ტური გაიმართა. A ჯგუფი: დეპორტივო კიტი (ეკვადორი) — ამერიკა (კოლუმბია) 0:4, B ჯგუფი: გვადალახარა (მექსიკა) — გრემიო (ბრაზილია) 1:0. C ჯგუფი: სერო პორტენო (პარაგვაი) — კოლო კოლო (ჩილე) 2:0. D ჯგუფი: ორიენტე პეტროლერო (ბოლივია) — პენიაროლი (ურუგვაი) 2:1. E ჯგუფი: ალიანსა (პერუ) — რივერ პლეიტი (არგენტინა) 1:1. ლიბერტადორესის თასის მფლობელი ბრაზილიის ბელუ ორიზონტის „კრუზეირო“ გათამაშებაში მეორე ეტაპიდან ჩაებმება.

**ბრაზილიის ერთ-ერთ სახელგანთქმულ გუნდ „ფლამენგოს“ თითქმის წელიწადიანი შესვენების შემდეგ კვლავ ჟოელ სანტანა უთავკაცებს, რომელიც ამ თანამდებობაზე პაულო აუტუორის შეცვლის. სანტანა გუნდს 1996 წლის თებერვლიდან დეკემბრამდე წვრთნიდა, მაგრამ მაშინ იგი, ისევე როგორც ახლა აუტუორი, უშედეგობის გამო გაათავისუფლეს. სხვათა შორის, „ფლამენგოს“ პრეზიდენტი კლებერ ლეიტეს სამწლიანი მოღვაწეობის პერიოდში სანტანა გუნდის მეშვიდე მწვრთნელი იქნება.**

**ესპანეთის** ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა მადრიდის „რეალმა“ შესაძლოა ორი მოთამაშე გაასხვისოს. სამეფო გუნდის 22 წლის ნიჭიერ გარემარბ ვიქტორ სანჩესის გადაბირება ესპანურსავე „სელტას“, „მალიორკას“ და „ვალენსიას“ სურთ, ხოლო ილგნერის მიერ დაჩრდილული სანტიაგო კანისარესის შეძენის სურვილი კი ორმა ინგლისურმა გუნდმა გამოთქვა, რომელთა ვინაობებიც არ განუცხადებიათ.

დარჩა
FRANCE 98
89 დღე

კაი ოთხი წელიწადია ბრაზილიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, რაი ეროვნულ გუნდში აღარ გამოუძახიათ, ახლა დააბრუნეს. ედმუნდო კი კიდევ ერთხელ დარჩა ყვითელი მაისურის გარეშე.

რაი, ძველი ბრაზილიელი ვარსკვლავის, სოკრატესის უმცროსი ძმა ერთ-ერთია იმ 12 მოთამაშეს შორის, რომლებიც უცხოეთის კლუბებში გამოდიან და რომელთაც მალე გერმანელებთან მოუწევთ ამხანაგურად თამაში.

ედმუნდო ერთი ხანობა სულ უნაკრებოდ ჰყავდათ, რადგან გაუწონასწორებელი ქცევის კაცია და სჯიდნენ. შემდეგ, ოქროს თასზე გამოიძახეს, მაგრამ ბოლოდროინდელი გახმაურებული ამბის, იტალიური „ფიორენტინადან" თვითნებური წასვლის შემდეგ ისევ შარში გაეხვია და აღარც ნაკრებში მიიწვიეს.

## ფუტიქსის დროშით

# ზაგალოს მიგრანტები



რაიმ ყვითელი ფორმა ბოლოს 1994 წელს, აშშ-ში, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, შვედების წინააღმდეგ შეხვედრაში ჩაიცვა. მაშინ ბრაზილიის ნაკრების თავკაცობა უკმაყოფილო იყო, ტურნირი კარგად დაიწყო და ნელ-ნელა თამაშს უკლოო, მაგრამ ახლა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ გადაწყვიტა კიდევ ერთხელ მისცეს ვეტერანს შანსი.

ზაგალო ორიოდ დღის წინ პარიზში გახლდათ, იქ, სადაც რაი თამაშობს („პარი სენ ჟერმენში") და გერმანიასთან სათამაშოდ გამოძახებულთა სია იქედან გადასცა თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას. ამ სიის თანახმად, „ინტერის" თავდამსხმელი რონალდო, მადრიდის „რეალის" მცველი რობერტო კარლოსი და მიუნხენის „ბაიერნის" ჯოვანი ელბერი კვლავ ნაკრებში არიან, „ბარსელონას" სონი ანდერსონი კი არა.

რონალდო და რობერტო კარლოსი ზაგალოს „ოქროს თასზე" არ ჰყავდა გამოძახებული, რათა მათ კლუბებთან ხუთ თამაშიანი კვოტა არ დაერღვია.

ზაგალოს სიაში შინაურ კლუბებში მოთამაშენი ჯერ კიდევ შესაყვანი ჰყავს, უცხოელები კი არიან: ალდაირი (რომა, იტალია), კაფუ (რომა, იტალია), დორივა (პორტუ, პორტუგალია), დუნგა (ჯუბილო ივატა, იაპონია), ელბერი (ბაიერნი, გერმანია), ლეონარდო (მილანი, იტალია), რაი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), რონალდო (ინტერი, იტალია), ზე ელიასი (ინტერი, იტალია), სეზარ სამპაიო (ანა სატო კოგიო, იაპონია).

## იაპონია

ნაკრების ხელმძღვანელობას ქვეყნის სპორტული ჟურნალისტები მცირე ამხანაგური მატჩების გამო ძალიან აკრიტიკებენ. მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად მონაწილე ამომავალი მზის ქვეყნის შვილები საფრანგეთამდე მხოლოდ სამ შეხვედრას ჩაატარებენ: 11 აპრილს სამხრეთ კორეას ესტუმრებიან, 28 მაისს კი შინ სამთა ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონატამდე, იაპონელები ერთი კვირით ბელგიაში შეიკრიბებიან.

# იორდანესკუ მსჯელობს



ანგელ იორდანესკუ

რუმინეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას ბუქარესტში ისრაელის მასპინძლობით იწყებს, მაგრამ მომავალი ოთხშაბათისთვის დაგეგმილ ამ თამაშში ოთხი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება.

ანგელ იორდანესკუმ, რომელიც შემოდგომამდე რუმინელთა მწვრთნელია, მერე კი საბერძნეთის ნაკრების საჭეს ჩაიბარეს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას საქართველოს შეეცილება, ნება დართო „ჩელსისა" და მადრიდის „ატლეტიკოს" მოთამაშეებს დან პეტრესკუს და დანიელ პროდანს თავიანთ კლუბებში დარჩნენ და ევროთასების შეხვედრაში მიიღონ მონაწილეობა. თავდამსხმელი ვიორელ მოლდოვანიც კლუბში, ინგლისურ „ქოვენთრიში" დარჩება და ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხედფინალში „შეფილდ იუნაიტედის" დამარცხებას ეცდება. რაც შეეხება რუმინელთა გამოცდილ კაპიტანს გეორგ ჰაჯის, იგი ტრავმირებულია.

— მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთამაშეთა არყოლა ისრაელთან საყურადღებო შეხვედრის წინ უსიამოვნო განწყობას გვიქმნის, მათ კლუბებში დარჩენას დავყაბულდი — განუცხადა იორდანესკუმ ჟურნალისტებს — ებრაელთა სწრაფი ფორვარდების შეჩერება ერთობ ძნელი საქმე იქნება, ამიტომაც ჩემი უმთავრესი ამოცანა დაცვის ხაზის სწორად შერჩევა გახლავთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ისრაელმა თურქეთს 4:0 მოუგო, პოლონეთს კი 2:0, ამიტომაც რუმინეთის ნაკრებს მის დასამარცხებლად ძალთა სრული მობილიზაცია დასჭირდება.

ისრაელთან მატჩის წინ რუმინელთა შემადგენლობაში არიან: მეკარეები — ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), დუმიტრუ სტინგაჩუ (ქოჯაელისფორი, თურქეთი); მცველები — კრისტიან დულჩა (რაპიდი), ანტონ დობოში (აეკი, საბერძნეთი), ადრიან მატეი (სტიაუა), ტიბორ სელიმეში (ანდერლეხტი, ბელგია), იულიან ფილიპესკუ (გალათასარაი, თურქეთი); ნახევარმცველები — დენის სერბანი (სტიაუა), გეორგ პოპესკუ (გალათასარაი, თურქეთი), გაბრიელ პოპესკუ (სალამანკა, ესპანეთი), ალინ სტოიჩა (ანდერლეხტი, ბელგია), დორინელ მუნტიანუ (კიოლნი, გერმანია), დანუტ ლუპუ (რაპიდი), ლუსიან მარინესკუ (რაპიდი), კონსტელ გილჩა (ესპანიოლი, ესპანეთი), ოვიდიუ სტინგა (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი); თავდამსხმელები — მარიუს ლაკატუში (სტიაუა), იონ ვლადოიუ (კიოლნი, გერმანია), რადუ ნიკულესკუ (ნაციონალი), გეორგ კრაიოვეანუ (სოსიედადი, ესპანეთი).

# მიმავალი და მომავალი კაცი

იამაიკელი ნიჭიერი თავდამსხმელი უოლტერ ბოიდი ნაკრებში გამოიძახეს და სამი კვირაც არ იყო გასული, რომ გააგდეს. მიზეზი: იგი რატომღაც არ გამოცხადდა დეონ ბარტონის წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელების საზეიმო ცერემონიალზე. ბარტონი ინგლისში მოთამაშე ფორვარდია.

ბოიდს, იამაიკელთა ვარსკვლავს, რომელმაც თავისი ნაკრების „საფრანგეთში წაყვანაში" ლომის წილი დაიდო, ეროვნული გუნდის ტექნიკურ დირექტორთან რენე სიმოეშთან დიდი ხანია რთული ურთიერთობა აქვს. 26 წლის ფორვარდი შარშან, აგვისტოში დარწმუნებული იყო, რომ ინგლისურ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში" გადადიოდა, მაგრამ გარიგება ჩაეშალა და ყველაფერში ბრაზილიელ დირექტორს დასდო ბრალი. ბოიდი მაშინ პირველად მოიკვეთა ნაკრებიდან.

შემდეგ, იამაიკელებმა საფრანგეთის საგზური რომ მოიპოვეს, ფეხბურთელმა ენამწარეობას მიჰყო ხელი, თქვა ჩვენ წარმატებაში სიმოეშს იოტისოდენა წვლილიც არ უდევსო. ბოდიშის მოხდის შემდეგ იგი კვლავ დააბრუნეს ნაკრებში.

იამაიკის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, სიმოეში ბოიდის თაობაზე თავის საბოლოო განცხადებას იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ გააკეთებს. იაპონიაში ტექნიკური დირექტორი იქაური ნაკრების სანახავადაა წასული, რადგან ივნისში, მსოფლიოს პირველობაზე მასთან უწევს შეხვედრა.

# ფოგთსს ზამერი ენატრება

გერმანელთა ბუნდესმწვრთნელს ბერტი ფოგთსს იმედი აქვს, რომ დაშავებული კაპიტანი მათიას ზამერი შეძლებს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს.

— მისთვის კარს შეძლებისდაგვარად დიდხანს დავტოვებ ღიად. მათიასის დიდი იმედი მაქვს — უთხრა ფოგთსმა გაზეთ „გენერალ ანცაიგერს".

ზამერი ოქტომბერში გაკეთებული მუხლის ოპერაციის შემდეგ არ მოშუშებულა, ფოგთსს კი გერმანელი ქომაგების გაფრთხილება მოუხდა, ნუ ხართ მაინცდამაინც დარწმუნებულნი, რომ ჩემპიონები ჩვენ გავხდებითო.

— იქ ფინალურ ეტაპზე გუნდებს შორის დიდი განსხვავება არაა. აშშ და ირანიც არ უნდა მივიჩნიოთ მეორე რანგის მოწინააღმდეგეებად.

# უჩეს და კომპანიას ფული უნდა

ფინანსური კამათი აქვთ ნიგერიელებს. მთავრობა ნაკრების მოთამაშეებს მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ შეხვედრებში 6 ათას დოლარს სთავაზობს. ისე, ოთხი წლის წინ ამერიკაში რომ იყო, მაგრამ ფეხბურთელები უარობენ. ამბობენ, მათ 8 ათასი უნდათო.

მოთამაშეებმა სამკაციანი დელეგაცია გამოყვეს კაპიტნის უჩე ოკეჩუკვუს მეთაურობით. დელეგაციამ ქვეყნის სამხედრო ხელისუფლებასთან აწარმოა მოლაპარაკებები და ძლიერნი ამა ქვეყნისანი დაიყაბულა თანხის გაზრდაზე, მაგრამ რამდენით, არ გადაწყვეტილა.

საქმეში, ცხადია, ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციაა ჩარეული. მოლაპარაკებები გაგრძელდება. საბოლოო სიტყვა, ალბათ, გერმანიასთან ამხანაგური თამაშის შემდეგ ითქმება.

# კონცერტი ყოფილა

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გუნდი ბოლო ამხანაგურ თამაშს 30 მაისს შოტლანდიასთან გამართავს. თავიდან შეხვედრის ჩატარებას ნიუჯერსიში „ჯაიანტს სტადიუმზე" აპირებდნენ, მაგრამ გაირკვა, რომ ეს სარბიელი კონცერტისთვისაა დაქირავებული და ამიტომ მატჩი ან ვაშინგტონში ანაც მასაჩუსეტის ფოქსბოროში გაიმართება.

დღეიდან საფრანგეთამდე ამერიკელებს ხუთი საკონტროლო შეხვედრა რჩებათ: პარაგვაისთან, ავსტრიასთან და კიდევ ორ დაუდგენელ გუნდთან. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი პირველ მატჩს 15 ივნისს გერმანელების წინააღმდეგ გამართავენ.

რაც შეეხება შოტლანდიას, იგი ამერიკელებთან მატჩამდე, ბარემ იქითაა და, 24 მაისს კოლუმბიასაც შეხვდება.

# რჩება ორი მახე

ტრიბუნებისგან მოედანი ღობით მსოფლიოს ჩემპიონატის ორ ქალაქში, ლანსსა და სენტ ეტიენში იქნება გამოყოფილი, ასე განაცხადა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

თურმე სენტ ეტიენი ღობეს იმიტომ ვერ მოხსნის, რომ სტადიონი ადგილობრივ კლუბს ეკუთვნის, ის კი დიდ გასაჭირშია. მას არ აქვს საშუალება, ჩემპიონატისთვის ღობე მოხსნას, მერე კი ისევ ააგოს.

რაც შეეხება ლანსს, იქაური მერის თქმით, თუ საგადასახადო სამსახური ფულს არ მოსთხოვს, იგი მზადაა ღობე მოარღვიოს.

ლანსის და სენტ ეტიენის გადაწყვეტილებები ფიფას მეტისმეტად ეხამუშა. გასულ დეკემბერს, მარსელის კენჭისყრაზე მისმა გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა ხომ საფეხბურთო ღობეებს „სიკვდილის მახე" უწოდა.

ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ლანსში ითამაშებენ: საუდის არაბეთი, ინგლისი, დანია, იამაიკა, ხორვატია, გერმანია, იუგოსლავია, ესპანეთი და ბულგარეთი. სენტ ეტიენში იქნებიან: შოტლანდია, მაროკო, იუგოსლავია, ირანი, ჩილე, ავსტრია, ესპანეთი, პარაგვაი, მექსიკა და ჰოლანდია.

# უკუდო მასწავლებელი



ბაჯო მასწავლებლობისთვის ემზადება

— რობერტო ბაჯო მარტო ფეხბურთელს როდი ნიშნავს. გარდა იმისა, რომ იგი შესანიშნავი მოთამაშეა, საკმაოდ თბილი პიროვნებაა. დღესდღეობით ბაჯო „ბოლონიას" ნამდვილი ლიდერია. მართალია, მას ჩვენთან ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ დიდი სურვილი გვაქვს, რობერტო ბოლონიაში კიდევ დიდხანს დარჩეს. გვაქვს უამრავი გეგმა და თუ მას განვახორციელებთ, ძალიან კმაყოფილი ვიქნები — განაცხადა „ბოლონიას" პრეზიდენტმა ჯუზეპე გაცონიმ.

რობერტო ბაჯო დიდი ფეხბურთელი და კარგი პიროვნება რომ იყო, არავისთვისაა ახალი, ერთი ეგაა, ბოლოდროინდელმა კრიზისმა მისი იტალიის ნაკრებში მოხვედრა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, ამაზე განაწყენებული ბაჯო კი ცოტა შეიცვალა. მიუხედავად ბედის ბორბლის უკუღმა დატრიალებისა, რობერტო მაინც „ბოლონიას" ლიდერად დარჩა. მართალია, გუნდი ახლა მე-11 ადგილზეა, მაგრამ კლუბში ისეთი ურთიერთობა, ბევრს შეშურდება. ბაჯო ბოლონიელთა ნამდვილ კერპად იქცა. აქაურები მასზე ჭკუას კარგავენ. ამიტომაცაა, კლუბის ხელმძღვანელებს დიდი მიზნები რომ დაუსახავთ.

ამასწინათ გაცონიმ განაცხადა, როცა რობერტო ბუცებს ლურსმანზე დაკიდებს, მას სხვა, არანაკლებ საინტერესო საქმიანობაში ჩავაბამთო. გაცონის ნათქვამმა თავდაპირველად დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ თავად მთქმელმა, მითქმა-მოთქმა თავიდან რომ აეცილებინა, უმალ დასძინა, რობერტო ბაჯოს სახელობის სკოლის გახსნას ვაპირებთო.

კარგი იდეაა, არა? თქვენი არ ვიცი, მაგრამ ბოლონიაში, კლუბის პრეზიდენტის წამოწყებას სიხარულით შეხვდნენ. ეგ კი არა, გუნდის რამდენიმე სპონსორმა ახალ-ახალი იდეები წამოაყენა ქალაქის გალამაზების შესახებ. თურმე აქაურები ქალაქის ცენტრში „ლა კოვერეზეს" ბაღში, ორი ბრინჯაოს ქანდაკების დადგმას აპირებენ — ერთი გრძელთმიანი რობერტო იქნება, მეორე — უკვე გაკრეჭილი რობერტო.

— ამჟამად რობერტო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „ბოლონია". ამას თვალთმაქცობის გამო სულაც არ ვამბობ, უბრალოდ, ასეა. მაგალითად, ამას წინათ „ბოლონია" „ნაპოლის" ხვდებოდა. გადავშალე გაზეთი და იცით, რა წავიკითხე? — ბაჯო ჩავიდა ნეაპოლში და არა „ბოლონია"... აი, ასეთი სიტუაციაა დღეს და ეს სულაც არ მიკვირს. ბაჯო ხომ მთელი იტალიის საუკეთესო ფეხბურთელია. იცით, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩეზარე მალდინი მას ნაკრებში მიიწვევს. იტალია მსოფლიოს ჩემპიონატზე რობერტოს გარეშე წარმოუდგენელია — თქვა იმავე გაცონიმ.

ჯერჯერობით კი ბაჯოს ნაკრებში დაბრუნების პერსპექტივა ნაკლებია. დღესდღეობით ბაჯო მხოლოდ „ბოლონიას" ფეხბურთელია, მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ თავის სახელობის სკოლაში ფეხბურთის მასწავლებელიც გახდეს. ვნახოთ, ვინ იცის, შეიძლება ყველაფერი ასრულდეს, შეიძლება — არა.

ისე, მე თუ მკითხავთ, ბავშვებისთვის უკუდო მასწავლებელი უფრო კარგი იქნებოდა, ვიდრე კუდიანი. ალბათ, მიმიხვდით, რა ვიგულისხმე.

**გიდეონ ლონგი როიტერი**

## იტალია

### თასის ნახევარფინალი

**პარმა 2:2 მილანი**

**0:1 კლუივერტი (45), 1:1 კიეზა (49), 2:1 სტანიჩი (85), 2:2 კლუივერტი (90)**

**ლაციო 2:2 იუვენტუსი**

**0:1 ფონსეკა (35), 1:1, 2:1 ნედვედი (62,65), 2:2 ამორუზო (90)**

პარმაშიც და რომაშიც თავდაპირველად სტუმრები დაწინაურდნენ, ორივეგან ანგარიში პირველ ტაიმში გაიხსნა. შემდეგ მასპინძლებმა გაყაიმება და წინ გასვლაც შესძლეს, გამარჯვება კი მაინც ხელიდან გაუშვეს. „მილანიც" და „იუვენტუსიც" ბოლო წუთებში დაუძვრა მარცხს, მაგრამ ამ ორ, თითქმის მსგავსი სცენარით წარმართულ და ერთნაირი ანგარიშით დასრულებულ შეხვედრაშიც იყო განსხვავება — პარმაში მიღწეული ფრეს წყალობით „მილანი" თასის გათამაშების ფინალში გავიდა, „იუვენტუსი" კი გადამწყვეტი მატჩების მიღმა დარჩა.

— „ლაციო" მართლაც კარგი გუნდია. დღეს გამარჯვება შეგვეძლო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, ეს კი ჩვენი დაუდევრობით კი არა, მასპინძელთა სიძლიერის გამო მოხდა — თქვა ტურინელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ. ფონსეკამ გახსნა ანგარიში, ერთი პირობა ისეც ჩანდა, თითქოს „ლაციო" მატჩის გადამრჩენი აღარ იყო, მაგრამ მერე ნედვედმა გაილაღა და... სხვათა შორის, დუბლის შესრულების შემდეგ მან რამპულას კარის ძელიც შეაზანზარა.

პარმაში ძველი მეტოქეები ხვდებოდნენ ერთმანეთს. კაპელო თამაშის წინ იმედიანად იყო, მწამს, ფინალში გავალთო — ამბობდა. მიაღწია კიდეც საწადელს. მას შემდეგ, რაც მან 1994-95 წლების სეზონში „მილანი" დატოვა, გუნდს საგრძნობი კრიზისი დაეწყო და სანამ კაპელო არ დაბრუნდა, ვერაფერმა უშველა. თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ „მილანს" რომელიმე ჯილდოს მოპოვების შანსი გაუჩნდა.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი. მეოთხედფინალი. მეორე მატჩები

17 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ოსერი — ლაციო | (4,0-1,15) | 2,4 | 2,7 | 2,6 |
| შალკე — ინტერი | (4,0-1,15) | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| სპარტაკი — აიაქსი | (1,05-7,5) | 2,5 | 3,0 | 2,3 |
| ასტონ ვილა — ატლეტიკო | (3,1-1,25) | 2,4 | 2,7 | 2,6 |

### ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი. მეორე მატჩები

18 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დინამო — იუვენტუსი | (—-—) | 3,6 | 3,0 | 1,8 |
| რეალი — ლევერკუზენი | (1,2-3,5) | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — მონაკო | (1,15-4,0) | 1,5 | 3,3 | 5,0 |
| დორტმუნდი — ბაიერნი | (1,7-1,7) | 2,5 | 2,6 | 2,5 |

### თასების თასი. მეოთხედფინალი. მეორე მატჩები

19 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩელსი — ბეტისი | (1,05-7,5) | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| შტუტგარტი — სლავია | (1,1-5,0) | 1,4 | 3,6 | 5,6 |
| ვიჩენცა — როდა | (—-50,0) | 1,3 | 3,8 | 7,5 |
| ლოკომოტივი — აეკი | (1,3-2,5) | 1,8 | 2,9 | 3,8 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეთოფეებს აფეთქებდნენ

## ინგლისელ სამართალდამცავებს კი სალაპარაკო მიეცათ

### ინგლისი

XXIX ტური

**ვესტ ჰემი 1:1 მანჩესტერი**

**ვესტ ჰემი:** ლამა, პირსი, ფერდინანდი, პოტსი, იმპი, ლომასი, ლაზარიდისი, ბერკოვიჩი, აბუ, სინკლერი, ლემპარდი
**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, მეი, ბერგი, ბათი, მაკლეირი (ტორნლი 46), სქოულზი, ბექემი, კოული (სოლსკიაერი 77), შერინგემი
1:0 სინკლერი (6), 1:1 სქოულზი (66)

მალე ჩემპიონატი დასრულდება. „მანჩესტერ იუნაიტედმა" კი, თუ ასე გააგრძელა, ლამის განაღდებულ ტიტულს სხვა გადააბარებს. უკვე მეორე შეხვედრაში ინგლისის ბოლო წლების უძლიერესი გუნდი მოგებას ვერ ახერხებს და მართალია, მდევრები შორს არიან, მაგრამ ლიდერთან, გასათანაბრებლად ცდას არ აკლებენ. ამასწინანდელი მარცხი „შეფილდ უენსდეისთან", ახლა ფრე აუტსაიდერ „ვესტ ჰემთან", მომდევნო ტურში შინ „არსენალთან" — რა იქნება, არავინ იცის. ასე თუ გაგრძელდა, კარგად ყოფილა მანჩესტერელთა საქმე და ეგაა.

მთლიანობაში გაზაფხულის დადგომას „ალისფერი ეშმაკუნებისთვის" სახეირო არაფერი მოუტანია — გუნდმა საშინლად ითამაშა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში „მონაკოსთან", პრემიერლიგაში კი ისეთ მატჩებში დაკარგა ქულები, უბრალოდ, ასეთი გუნდისთვის სათაკილო რომ იყო. ისე, თუ ბოლო რამდენიმე სეზონს გავიხსენებთ, „მანჩესტერ იუნაიტედის" გაზაფხულისპირა ჩავარდნა გასაკვირი არც უნდა იყოს — ალექს ფერგიუსონის გუნდს ამ დროს კრიზისი მუდამ ახასიათებს, ერთი ეს არის, ჩავარდნა მხოლოდ ერთ ან ორ კვირას გრძელდება ხოლმე, ჩემპიონატის დასასრულს კი კლუბი უძლიერესია. ამ სეზონის მიწურულს რა მოხდება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ჯერჯერობით მანჩესტერელთა თამაში ისეთი ვერ არის, როგორიც უნდა იყოს.

...ევროთასზე, „მონაკოსთან" სტუმრად ნათამაშევი მატჩის შემდეგ, ინგლისელთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, შეხვედრამ ძალიან გადაგვღალა, ვინძლო მომხდარმა მომავალ მატჩებს თავისი დაღი არ დაამჩნიოსო. მწვრთნელი მართალი გამოდგა, გუნდის თამაში შეფილდში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. ახლა კი სიტუაცია იოტისოდენაზეც არ შეცვლილა — „მანჩესტერ იუნაიტედი" „ვესტ ჰემთანაც" ისევე უნიათოდ ირჯებოდა, როგორც 7 მარტს შეფილდში. ორივე შეხვედრა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს: ფეხბურთელები არაზუსტად მოქმედებდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვალის მოსახდელად თამაშობდნენ.

...შესვენებამდე სტუმრებმა ორიოდ სახიფათო მომენტი შექმნეს, ისიც კოულმა და გარი ნევილმა ვერ გამოიყენეს, ასეთი უშედეგობა კი გუნდისთვის, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად იბრძვის, დამეთანხმებით, ძალიან ცუდია. მანჩესტერელებს არაფერი ეტყობოდათ იმისა, რომ ისინი ქვეყნის უძლიერესი ფეხბურთელები იყვნენ, პირიქით, ლონდონელთა ნახევარმცველები სტენ ლაზარიდისი და ეილ ბერკოვიჩი იმდენად კარგად მოქმედებდნენ, გაცილებით სახელოვანი ბექემი, კოული და შერინგემი დაჩრდილოს. ისე, რაკი სტუმართა ნახევარმცველი დევიდ ბექემი ვახსენე, ზარამ აქვე დაამძნ, რომ რაკი ეგი [illegible] დაინიშნა, თითქოს თავს აღარ ჰგავს.

...ანგარიში კი საკმაოდ ლამაზი გოლით გაიხსნა — სინკლერი ბურთთან უფრო შემთხვევით გაჩნდა ვიდრე განზრახ, თავდამსხმელის უცაბედ დარტყმას კი შმაიხელმა ვერაფერი დააკლო — 1:0. შესვენებამდე ორიოდ წუთით ადრე ავსტრალიელ სტენ ლაზარიდისსაც შეეძლო სხვაობის გაზრდა, მაგრამ სტუმართა კაპიტანი შმაიხელი ამჯერად დროულად გაისარჯა.

მიუხედავად აუტსაიდერებთან შესაძლო დამარცხებისა, სტუმართა თამაშს არც შესვენების შემდგომ განუცდია რაიმე ძირეული ცვლილებები, ერთი ეგ იყო, მხცოვანი მაკლეირის ნაცვლად თავდამსხმელთა უკან გამწესებულმა ტორნლიმ გუნდის თამაში შედარებით შემტევი გახადა. სქოულზის გოლი უსამართლობა იყო — ამარცხებდე ლიდერს, თან შემთხვევით კი არა, ძლიერი, კარგი თამაშით და მიწურულში მაინც ფრეს დასჯერდე, უბრალოდ საცოდაობაა. „ვესტ ჰემის" შემთხვევაში სწორედ ასე იყო.

— დასანანია, ასეთ შეხვედრას რომ ვერ მოიგებ. უპირატესობა მთლიანად ჩვენი იყო. ვფიქრობ, გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" აშკარად ვჯობნიდით. თავდაპირველად ტერიტორიული უპირატესობის ადვილად მოპოვება მეტოქის განზრახ გამიზნული ნაბიჯი მეგონა, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ სტუმრებს აშკარად ვჯაბნიდით. სამწუხაროა, მე და სტენმა (ლაზარიდისმა) ხელსაყრელი მომენტები რომ გავაფუჭეთ. ასე რომ არ ყოფილიყო, ლიდერს დავამარცხებდით და ჩვენც ოდნავ გამოვიკეთებდით მდგომარეობას — ჩიოდა გულმოკლული ეილ ბერკოვიჩი, რომელიც შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელი თუ არა, ერთ-ერთი მათგანი მაინც იყო.

თავის მხრივ ჟურნალისტებმა ორიოდ სიტყვა შეფიქრიანებულ ალექს ფერგიუსონსაც დასტყუეს, რომელმაც განაცხადა, ლონდონში დაკარგულმა ორმა ქულამ ხასიათი გამიფუჭა, მაგრამ, იმედია, კრიზისს დავძლევთ, წელს აუცილებლად ჩემპიონები უნდა გავხდეთო.

**ჩელსი 6:2 კრ. პალასი**

**ჩელსი:** ხარინი, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, გრენვილი, მორისი (ჰიუზი 85), ნიუტონი, უაიზი, ვიალი (ფლო 75), ძოლა, სინკლერი (ლემბორდი 82)
**კრ. პალასი:** მილერი, ედვორთი, ტატლი (ბენტი 79), დაიერი (ლომბარდო 66), როჯერი, სმიტი, ისმაელი, ჰრიდარსონი, ემბლინი (იანსენი 66), ფალერტონი, ბროლინი
0:1 ჰრიდარსონი (7), 1:1 ვიალი (15), 2:1 ძოლა (17), 3.1 ვიალი (44), 4:1 უაიზი (84), 4:2 ბენტი (87), 5:2, 6:2 ფლო (89, 90)

მასპინძლებს პრემიერლიგის ბოლო ოთხ შეხვედრაში ქულის მოპოვებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბურთი რაა, ის ვერ გაეტანათ. მათი მეტოქე, მთლად წყალწაღებული „კრისტალ პალასი" კი „ჩელსიზე" გაცილებით ცუდ დღეში იყო — ნოემბრის შემდეგ შეხვედრაც არ მოეგო. უგოლობის მხრივ კი „ჩელსის" რეკორდს გადააჭარბა — ხუთი მატჩი უშედეგოდ.

„შედეგიანთა" თამაში უხვგოლიანი გამოდგა, დაძაბულობა, ან რაიმე ამდაგვარი კი საერთოდაც არ ყოფილა. ან კი ცალკარა თამაშში რა ინციდენტი მოხდებოდა?

...ვიალიმ გულიტი „ჩელსის" მწვრთნელის თანამდებობაზე სამი კვირის წინ [illegible] არ მოუვიდა. ნავსი გატყდა. ლონდონე-

ლებმა მეტოქე არამარტო დაამარცხეს, მიწასთან გაასწორეს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ძოლას, კაცს, რომელიც გასულ სეზონში პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ანგარიში ტომას ბროლინის გამოზომილი პასით ჰრიდარსონმა გახსნა, თუმცა „კრისტალ პალასის" სიხარული მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა — მალე ვიალიმ პირველი გოლი გაიტანა მას შემდეგ, რაც მწვრთნელობა იკისრა. ორ წუთში კი მეორე იტალიელმა უკვე მასპინძლები დააწინაურა.

შესვენების შემდეგ თამაში სანახაობრივად უფრო ლამაზი გამოდგა. გოლები იმდენივე კი გავიდა, რამდენიც პირველ 45 წუთში, მაგრამ საცქერლად მეორე ნახევარი უფრო უკეთესი იყო. ვიალის ბოლოდროინდელ ეგოისტობაზე ბევრი თქმულა და ახალს ვერაფერს დავამატებთ. ექსიუვენტუსელმა რაც ძალაუფლება იგდო ხელთ, მუდამ „ჩელსის" ძირითადში თამაშობს, თუმცა ამჟამად მასზე გაცილებით კარგ ფორმაშია ნორვეგიელი ტორე ანდრე ფლო, რომელსაც ვიალი მხოლოდ შეცვლებზე ათამაშებს. სკანდინაველი ყოველი გამოჩენისთანავე ამტკიცებს, რომ მისი სათადარიგოთა შორის დატოვება უბრალოდ შეცდომაა. ახლაც ფლომ მხოლოდ ბოლო 15 წუთი ითამაშა, მაგრამ ორი ბურთი მაინც მიითვალა.

...ატილიო ლომბარდომ აუტსაიდერ „კრისტალ პალასის" შემადგენლობაში დეკემბრის შემდეგ პირველად ითამაშა.

**უიმბლდონი 0:1 არსენალი**

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, ჯონსი (გეილი 46), ბლეკველი, ტეტჩერი (კიმბლი 55), რობერტსი, პერი, ჰიუზი, ერდლი, იუელი (კორტი 80), ლებერნი
**არსენალი:** მენინგერი, დიქსონი, უინთერბერნი, ვიეირა, ადამსი, პეტი, პარლოუ (გარდე 72), კეონი, ვრე (ბოა მორტე 66), ბერხკამპი, ოვერმარსი (ჰიუზი 77)
0:1 ვრე (21)

ეს მატჩი ადრე, დეკემბერში, უნდა გამართულიყო, მაგრამ მაშინ, თუ გახსოვთ, „უიმბლდონის" „კრისტალ პალასთან" საზიარო სარბიელს — „სელჰარსტ პარკს" ელექტროენერგია შეუწყდა და შეხვედრა არ ჩატარდა. ამჯერად „მეცხრე ბლოკი" არ გამოსულა მწყობრიდან და თამაშიც თითქოს დათქმულ დროს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ნახევარი საათით მაინც დაგვიანდა. მიზეზს არ იკითხავთ? — ლონდონელ პოლიციელებს მავანმა ხულიგნებმა ტელეფონით დაურეკეს, სტადიონის მახლობლად ბომბია ჩადებული, აფეთქებას ვაპირებთო. ინგლისელი სამართალდამცავები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ხალხი შეაწუხეს და მართლაც მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, ჰოლმსდეილ როუდზე ჩანთაში ჩადებული თვითნაკეთი დეტონატორი იპოვეს. კერძო დეტექტივმა ჯონ ლენსლიმ დაიქადნა, აბა, რა ეგონათ, პრემიერლიგის თამაშს საფრთხე თუ ემუქრება, მთელი სკოტლანდ იარდი ფეხზე დადგება, სამართალს პურს ვაჭმევთო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „უიმბლდონი" — „არსენალის" ერთხელ უკვე ჩაშლილ მატჩს კვლავ საფრთხე ელოდა, მაგრამ ზემოხსენებულ პირთა თავგამოდებით თამაშისთვის განკუთვნილმა საათნახევარმა მშვიდობიანად ჩაიარა. ისე, მატჩი რომ ჩაშლილიყო, მანჩესტერელებს ძალიანაც გაუხარდებოდათ — ახლა თუ „არსენალის" და „იუნაიტედის" მდგომარეობას გავითვალისწინებთ, თან იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ „მეთოფეებს" ოლდტრეფორდელებზე სამი შეხვედრით ნაკლები აქვთ ნათამაშევი, მაშინ პირველობისთვის ბრძოლა ხელახლა დაწყებულა და ეგაა.

მატჩს რაც შეეხება, საკმაოდ უინტერესო გამოდგა. მეტოქეები ინერტულ, არაფრით საინტერესო ფეხბურთს თამაშობდნენ და, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, მატჩის ბედი ერთმა გოლმა გადაწყვიტა — ჟორჟ ვეას ნათესავმა, კრისტოფერ ვრემ, რომელიც „არსენალმა" „მონაკოდან" 300 ათას გირვანქად ამ ზაფხულს შეისყიდა, ოვერმარსის პასი ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

**ლიდსი 4:0 ბლექბერნი**

**ლიდსი:** მარტინი, კელი, უეზეროლი, რადებე, ჰიდენი, ჰარტე, ჰაალანდი, ჰოფკინსი, ბოუერი, კიუელი, ჯიმი
**ბლექბერნი:** ფეტისი, კროფტი (რიპლი 88), ენჩოსი, ჰენდრი, კენა, უილკოქსი, შერვუდი, დაფი, ფლაუერსი (სატონი 77), დელი, სატონი
1:0 ბოუერი (48), 2:0 ჯიმი (53), 3:0, 4:0 ჰაალანდი (56, 89)



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — კრისტალ პალასი. მასპინძლებმა პრემიერლიგაში შარშან აღზევებული თანაქალაქელები არ გაახარეს.

რამდენიმე დღის წინ ყველასთვის მოულოდნელად თასის გათამაშებიდან გამოთიშულმა „ლიდსმა" დაამტკიცა, რომ „ვულვერჰემპტონთან" მარცხი შემთხვევითობა იყო და სხვა არაფერი. მასპინძლებმა შესანიშნავად ითამაშეს და ამ სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით ვინმე აუტსაიდერი კი არა, „ბლექბერნი" დაამარცხეს. ოთხი გოლიდან საუკეთესო ნორვეგიელი ალფ ინგე ჰაალანდის ბოლოსწინა წუთზე გატანილი იყო — მან დაახლოებით 35 მეტრიდან შეაგდო.

რა შეიძლება ითქვას როი ჰოჯსონის „ბლექბერნზე"? გუნდმა ჩემპიონატი გაცილებით კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლოს აშკარად გადაიღალა. თუ ასე გაგრძელდა, საეჭვოა, ევროთასებზეც ითამაშოს.

**ასტონ ვილა 0:1 ბარნსლი**

**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, სტონტონი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი, დრაპერი, იორკი, იოაკიმი, რაიტი (ნელსონი 80), გრეისონი (ბიფელდი 56), ჰენდრი
**ბარნსლი:** უოტსონი, იდენი, შერიდანი, მოუზისი, ბალოკი, ჯონსი, ბერნარდი (ტინკლერი 88), უორდი, მორგანი, ფიორტოფტი (ლიდელი 61), რედფერნი
0:1 უორდი (17)

„ლივერპულის" და „ჩელსის" ძლევის შემდეგ ბირმინგემელებს მაჩანჩალა „ბარნსლის" დამარცხება თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ სენსაცია მოხდა.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 30 | 18 | 6 | 6 | 58:22 | 60 |
| არსენალი | 27 | 14 | 9 | 4 | 46:26 | 51 |
| ლივერპული | 29 | 14 | 8 | 7 | 48:29 | 50 |
| ჩელსი | 29 | 15 | 3 | 11 | 58:33 | 48 |
| ბლექბერნი | 28 | 13 | 9 | 6 | 49:37 | 48 |
| დერბი | 28 | 13 | 6 | 9 | 44:34 | 45 |
| ლიდსი | 29 | 13 | 6 | 10 | 40:30 | 45 |
| ვესტ ჰემი | 28 | 12 | 5 | 11 | 39:37 | 41 |
| ლესტერი | 28 | 10 | 10 | 8 | 34:28 | 40 |
| საუთჰემპტონი | 29 | 12 | 4 | 13 | 36:38 | 40 |
| ქოვენთრი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:35 | 39 |
| შეფილდი | 29 | 10 | 7 | 12 | 43:54 | 37 |
| ასტონ ვილა | 30 | 10 | 6 | 14 | 31:40 | 36 |
| ნიუკასლი | 27 | 9 | 7 | 11 | 26:31 | 34 |
| უიმბლდონი | 27 | 8 | 8 | 11 | 28:31 | 32 |
| ევერტონი | 29 | 7 | 9 | 13 | 33:42 | 30 |
| ტოტენჰემი | 29 | 8 | 6 | 15 | 26:44 | 30 |
| ბარნსლი | 28 | 8 | 4 | 16 | 25:63 | 28 |
| ბოლტონი | 28 | 4 | 12 | 12 | 24:45 | 24 |
| კრ. პალასი | 28 | 5 | 8 | 15 | 23:47 | 23 |

### ავსტრია

24-ე ტური. გრაცი — აუსტრია 1:0; ლინცი — ლუსტენაუ 1:0; ადმირა ვაკერი — ზალცბურგი 0:0; ტიროლი — რიდი 1:4; რაპიდი — შტურმი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 24 | 17 | 6 | 1 | 56:16 | 57 |
| გრაცი | 24 | 13 | 5 | 6 | 38:21 | 44 |
| რაპიდი | 24 | 11 | 5 | 8 | 28:27 | 38 |
| ზალცბურგი | 24 | 10 | 5 | 9 | 33:25 | 35 |
| ლინცი | 24 | 10 | 4 | 10 | 41:40 | 34 |
| აუსტრია | 24 | 9 | 6 | 9 | 32:33 | 33 |
| ტიროლი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:36 | 30 |
| რიდი | 24 | 7 | 7 | 10 | 26:35 | 28 |
| ლუსტენაუ | 24 | 4 | 9 | 11 | 24:38 | 21 |
| ადმირა ვაკერი | 24 | 3 | 3 | 18 | 20:59 | 12 |

### ესპანეთი

მეორე დივიზიონი

31-ე ტური. ლეგანესი — ლოგრონიესი 1:1; ატლეტიკო — სევილია 0:1; ალავესი — ბადახოსი 1:0; ოსასუნა — ელჩე 0:0; ნუმანსია — ეიბარი 0:0; ლევანტე — ესტრემადურა 0:1; რაიო — ხაენი 0:1; ვილიარეალი — ორენსე 2:0; ტოლედო — ლეიდა 1:0; ერკულესი — სერესი 0:0; ალბასეტე — ლას პალმასი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 31 | 16 | 8 | 7 | 35:21 | 56 |
| ესტრემადურა | 31 | 16 | 8 | 7 | 43:31 | 56 |
| ლას პალმასი | 31 | 13 | 14 | 4 | 53:33 | 53 |
| ვილიარეალი | 31 | 13 | 12 | 6 | 35:29 | 51 |
| ერკულესი | 31 | 13 | 9 | 9 | 40:32 | 48 |
| რაიო | 31 | 13 | 8 | 10 | 35:28 | 47 |
| სევილია | 31 | 13 | 8 | 10 | 36:30 | 47 |
| ლეგანესი | 31 | 11 | 13 | 7 | 32:31 | 46 |
| ატლეტიკო | 31 | 12 | 9 | 10 | 45:36 | 45 |
| ეიბარი | 31 | 11 | 12 | 8 | 29:20 | 45 |
| ლეიდა | 31 | 12 | 7 | 12 | 34:37 | 43 |
| ორენსე | 31 | 11 | 9 | 11 | 32:31 | 42 |
| ოსასუნა | 30 | 11 | 8 | 11 | 27:25 | 41 |
| ბადახოსი | 30 | 9 | 13 | 8 | 31:25 | 40 |
| ალბასეტე | 31 | 10 | 9 | 12 | 35:40 | 39 |
| ტოლედო | 31 | 8 | 12 | 11 | 30:38 | 36 |
| ელჩე | 31 | 8 | 9 | 14 | 33:42 | 33 |
| ხაენი | 31 | 6 | 12 | 13 | 25:39 | 30 |
| ნუმანსია | 31 | 6 | 12 | 13 | 19:38 | 30 |
| ლოგრონიესი | 31 | 6 | 12 | 13 | 21:32 | 30 |
| სერესი | 31 | 5 | 13 | 13 | 17:30 | 28 |
| ლევანტე | 31 | 5 | 8 | 18 | 23:42 | 23 |



ლომბარდო თბილისში, საქართველოს ნაკრებთან თამაშის წინა დღეს

## ატილიო მეთაური

ინგლისის „კრისტალ პალასის" იტალიელი ფეხბურთელი ატილიო ლომბარდო სანამ „თამადას" აირჩევენ, მის მოვალეობას ასრულებს.

კერძოდ, ლონდონელები აგერ უკვე რამდენიმე კვირაა მწვრთნელს ეძებენ, მაგრამ არ უპოვნიათ. რა უნდა ექნათ? იმსჯელეს, იბჭეს და გადაწყვიტეს, რომ დროებით ეს მნიშვნელოვანი თანამდებობა ლომბარდოსთვის მიეცათ.

ლომბარდომ ახალი ამპლუა შეიშნო, გუშინ საწვრთნელ მოედანზე მეთაურის ადგილზე დადგა და „პალასის" „ასტონ ვილასთან" სათამაშოდ მზადება დაიწყო.

ეს თამაში პრემიერლიგისაა და თუ „კრისტალ პალასმა" წააგო, ატილიოს დააბრალეთ.

## რა ამბავია თერთმეტი?

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ „ჩელსის" კაპიტანი დენის უაიზი სეზონში მე-11 ყვითელი ბარათის მიღებისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ლონდონელთა კაპიტანი ჩემპიონატის ორ შეხვედრას გამოტოვებს „ვესტ ჰემთან" და „დერბისთან", „მიდლსბროს" წინააღმდეგ ლიგის თასის ფინალში და თასების თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში „ბეტისთან" კი ითამაშებს.

## მანქანამ ვერ გაიტანა

ინგლისის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ალან ჰადსონი, რომელიც დეკემბერში მანქანამ გაიტანა, სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. 46 წლის ჰადსონის მეუღლემ, ანამ, „დეილი მირორს" განუცხადა, ქმარი მომჯობინდა და ორიოდ კვირაში სრულად განიკურნებაო. თავის დროზე ჰადსონს „არსენალში", „ჩელსიში" და „სტოკ სიტიში" უთამაშია.

## უხეში ხორვატი

ინგლისის ერთ დროს უძლიერეს გუნდ „ევერტონს" ახლა ძალიან უჭირს. კლუბს პირველ დივიზიონში დაქვეითების საფრთხე ემუქრება, ლივერპულელები კი ცდას არ აკლებენ, მდგომარეობა გამოასწორონ. ისედაც გაჭირვებულ გუნდს თითქოს ესლა აკლდაო და ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა კლუბის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, ხორვატი სლავენ ბილიჩი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა ზღვარსგადასული უხეში თამაშის გამო. 29 წლის ხორვატი, რომლის გადაბირება „ევერტონს" 4,5 მილიონი გირვანქა დაუჯდა, პრემიერლიგის სამ შეხვედრას გამოტოვებს — „ასტონ ვილასთან", „ტოტენჰემთან" და „ლიდსთან". ფეხბურთის ასოციაციამ ბილიჩის მკაცრად დასჯა იმით ახსნა, რომ ფეხბურთელი ამ სეზონში სამჯერ გააძევეს.

## ჩილელი მოუნდა

ინგლისის ჩემპიონატის მაჩანჩალას, ლონდონის „ვესტ ჰემს" ჩილელი მცველის ხავიერ მარგასის გადაბირება მოუწადინებია. ინგლისელთა წარმომადგენელმა პეტერ სტორიმ განაცხადა, მარგასით მას შემდეგ დავინტერესდით, რაც [illegible] „უნივერსიტეტში" თამაშობს.

**მანჩესტერ იუნაიტედი**

დაარსდა 1878 წელს, როგორც „ნიუტონ ჰითი“, 1902 წლიდან „მანჩესტერ იუნაიტედი“ ეწოდება.

მთავარი ჯილდოები: ევროპის ჩემპიონთა თასი 1968 წელს, თასთა თასი 1991 წელს. ინგლისის ჩემპიონი: 1908, 1911, 1952, 1956, 1957, 1965, 1967, 1993, 1994, 1996, 1997 წლებში. ასოციაციის თასის მფლობელი: 1909, 1948, 1963, 1977, 1983, 1986, 1990, 1994, 1996 წლებში. ლიგის თასის მფლობელი 1992 წელს. დუბლი: 1994, 1996 წლებში.

მოედანი — „ოლდ ტრეფორდი“, 55 300 ადგილი

მენეჯერი — ალექს ფერგიუსონი

ყველაზე მეტი თამაში ლიგაში — ბობი ჩარლტონი 606, 1956-73

ყველაზე მეტი გოლი ლიგაში — ბობი ჩარლტონი 149, 1956-73

ყველაზე მეტი თამაში ნაკრებში — ბობი ჩარლტონი, ინგლისი 106

საკლუბო ფერები: შინ — ალისფერი მაისურები და თეთრი ტრუსები, სტუმრად — თეთრი მაისურები, შავი ტრუსები

**არსენალი**

დაარსდა 1886 წელს, როგორც „დიალ სქვერი“, 1886-91 წლებში „როიალ არსენალი“ ერქვა, 1891-1914 წლებში „ვულვიჩ არსენალი“, 1914 წლიდან „არსენალი“ ჰქვია.

მთავარი ჯილდოები: ევროპის თასთა თასი 1994 წელს

ინგლისის ჩემპიონი: 1931, 1933, 1934, 1935, 1939, 1948, 1953, 1971, 1989, 1991 წლებში. ასოციაციის თასის მფლობელი: 1930, 1936, 1950, 1971, 1979, 1993 წლებში. ლიგის თასის მფლობელი 1987, 1993 წლებში.

დუბლი: 1971 წელს

მოედანი — „ჰაიბერი“, 38 500 ადგილი

მენეჯერი — არსენ ვენგერი

ყველაზე მეტი თამაში ლიგაში — დეივიდ ოლირი, 558, 1975-93

ყველაზე მეტი გოლი კლუბის სახელით — იან რაიტი 185, 1991 — დღემდე

ყველაზე მეტი თამაში ნაკრებში: კენი სენსომი, ინგლისი 77

საკლუბო ფერები: შინ — წითელი, თეთრმკლავიანი მაისურები, თეთრი ტრუსები, სტუმრად — ყვითელი მაისურები, ლურჯი ტრუსები.

# MANCHESTER vs ARSENAL

# ჩრდილოეთი — სამხრეთი

## „იუნაიტედი“ „არსენალს“ ელის

დღეს, „ოლდ ტრეფორდზე“ პრემიერლიგის მეორე წრის უმთავრესი თამაშია. ლიდერი და ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ მდევარს, ლონდონის „არსენალს“ მასპინძლობს. როგორც იტყვიან, შავი და თეთრი აქ უნდა გაირკვეს, უნდა დამტკიცდეს, გასწევს „იუნაიტედი“ ზედიზედ მესამე ჩემპიონობის უღელს, თუ ბოლოხანს წაფორხილებული, ფორხილ-ფორხილით დათმობს ტიტულს.

ახალი წლის წინ წარმოუდგენელიც კი იყო, რომ „იუნაიტედი“ ახლოს მიუშვებდა ვინმეს, მაგრამ რვა თვემ გაიარა და ცხადი შეიქნა, რომ მოდუნების უფლება არავის აქვს და პირველ რიგში ჩემპიონობისთვის ეტოქება ხოლმე. „ტოტენჰემიც“, „ჩელსიცა“ და „ვესტ ჰემიც“ ხომ უფრო სათასო გამარჯვებებით დაიკვეხნიან, ვიდრე ჩემპიონობით. და ეს მაშინ, როცა „ლივერპულს“ 18-ჯერ მოუგია ტიტული, „იუნაიტედს“ — 11-ჯერ. ამათ უკან კი, „არსენალი“ მოდის ათგზის ჩემპიონობით. თანაც წლევანდელ „არსენალი“ ყველაზე კარგად ეკიპირებული გუნდია. უფრო სწორად, ამ გუნდს საჩემპიონო ძალმოსილება გააჩნია, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო თავისი ძალმოსილების სრულად გამოყენებას ვერ ახერხებს. ამას თავისი მიზეზები აქვს. ინგლისურ ფეხბურთში არსებობს მრავალი ტრადიცია და ამათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი, ტაქტიკის ტრადიციაა. უძველესი დროიდან „არსენალი“ გამოირჩეოდა ძლიერი და ხისტი თამაშით და მტკიცე დაცვით. ბოლო ოცდათხუთმეტ წელიწადს ამ გუნდის ტაქტიკა 4-4-2-ს ეყრდნობოდა და ბოლო დიდი მენეჯერის, ჯორჯ გრემის ხელში ამან საერთაშორისო წარმატებაც კი მოიტანა. „არსენალს“ მოსაწყენ გუნდს ეძახდნენ, დროის მკვლელად აღიქვამდნენ, მაგრამ გუნდი სახელიანი და წარმატებული იყო.

როდესაც „ჰაიბრიზე“ ფრანგი არსენ ვენგერი მოვიდა და თან უცხოელთა მთელი ვაგონი მოასხა, მეთოფეთა ტაქტიკური სქემა ხმარებიდან არ ამოუღია, მაგრამ მიმი ვარიირება კი დაიწყო. ვენგერმა აქცენტი შემტევ და დამთრგუნველ თამაშზე გადაიტანა და მაღალი დონის შემსრულებელთა წყალობით კლუბი შარშანდელ ადგილზე მაღლა დააყენა. თუმცა, ცხრილის კენწეროში მოქცევის შანსი „არსენალს“ ჯერ არ მისცემია. პირველ წრეში კი დაამარცხა „იუნაიტედი“, მაგრამ ურჯულო გუნდებთან თამაშმა ბევრი ქულები დააკარგვინა. „ლესტერი“, „საუთჰემპტონი“, „დერბი“, რაღა თქმა უნდა, „ბლექბერნი“, ვენგერის შეხედულებათა მესაფლავეებად იქცეოდნენ ხოლმე. „არსენალის“ თამაში მაინც ვერ იქცა ჩამოქნილ, სტაბილურ, ან შემტევ, ან დაცვით საქმედ. ვარსკვლავთა მთელი კრებული დენის ბერხკამპის და იან რაიტის თამადობით ეგრეც ვერ ჩამოყალიბდა მუდმივი მოქმედების არტილერიად.

კიდევ ერთი მეთოფური უბედურება სათამაშო დისციპლინაა. ვენგერის თვალწინ ყვითელი და წითელი ბარათების მთელი ბანქოა, რაც სანქციებს იწვევს და ოპტიმალურ შემადგენლობას ურევს. თვით ბერხკამპიც კი ძალიან სცოდავს ამ მხრივ, რომ არაფერი ვთქვათ რაიტზე, პატრიკ ვიეირასა და ტონი ადამსზე. ტრავმებიც, სხვისა არ იყოს, მეთოფეთა მუდმივი თანამდევია.



ემანუელ პეტიმ და იან რაიტმა ასე იციან გახარება. შეძლებენ დღესაც იგივეს არსენალელები?

ახლა კი ასეთი გუნდი უნდა დაუპირისპირდეს „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომლის დევიზიც „შეტევა, შეტევა!“ კარგახანია გარკვეულია და რომელიც 90-იანი წლების ინგლისური ფეხბურთის საჭეთმპყრობელია. ფერგიუსონის გუნდს ბრწყინვალე შემოდგომა ჰქონდა, მაგრამ ახალი წლიდან რომ ხმალ-ხანჯალი ასალესი აქვს, ფაქტია.

28 თებერვალს „იუნაიტედმა“ „ჩელსის“ მოუგო 1:0 და ჩემპიონატში ბოლო ორ ტურს უფერულად თამაშობს. საზიზღარი თამაში შეფილდში „უენსდეისთან“ (0:2) და ფრე ლონდონში „ვესტ ჰემთან“, ამათ შუა კი უგოლო მატჩი „მონაკოსთან“ და სათასო მარცხი „ბარსელონასთან“. „იუნაიტედს“ იმდენი ქულა დაუგროვებია, რომ ვევბ ამის უფლებაც ჰქონდეს, მაგრამ დღევანდელ შეხვედრას ვერსად დაემალება, მას მეტად დიდი ფასი აქვს.

რახან სეზონი თავისი ბოლოსკენ მიემართება, ორივე გუნდს გვარიანი პრობლემები დაუგროვდა. პრობლემათა გამოთქმაში კი ალექს ფერგიუსონს ბადალი არა ჰყავს. „მანჩესტერ იუნაიტედში“ ერთგვარი ნევროზია დაბუდებული და მენეჯერი ამას შემადგენლობის არაოპტიმალურობას აბრალებს. დაშავებულია რაიან გიგზი, დაშავებულია გარი პალისტერი, ვერა და ვერ მოკეთდა როი კინი. ახლაღა დადგა ფეხზე შმაიხელი. ყოველივე ამას ერთვის ბრაიან მეის უვარგისი თამაში დაცვაში, შერინგემის უფერული გაზაფხული და ბექემის გადაქანცული იერი. „იუნაიტედი“ დაღლის პირასაა მისული და ფერგიუსონის ქმედებათა არსიც იმაშია,რომ სწორად მოუჭიროს ჰახრაკს და დინჯი გამოღვიძება დაიწყოს.

დაგეგმილი ძირითადით ვერც „არსენალი“ უახლოვდება „ოლდ ტრეფორდს“. გუნდის ღირსება და უპირველესი იმედი, მეკარე დეივიდ სიმენი თითმოტეხილია და მის ადგილს 18 წლის ავსტრიელი ალექს მენინგერი იჭერს. 31 იანვრიდან მენინგერი კარში დგას და ხუთ სალიგო თამაშში გოლი არ გაუშვია, მაგრამ სიმენი მხოლოდ მეკარე როდია. მეგოლე იან რაიტი მხოლოდ იმ კვირაშიღა განაახლებს თამაშს და ახალგაზრდა ნიკოლას ანელკაც რომელმაც ამ სეზონში უკვე გაუტანა „იუნაიტედს“, ვერ არის ფორმაში. ტრავმის გარეშე სათუოა 35 წლის სტივ ბოულდის გამოსვლაც.

თუმცა, ტრავმირებულთა რეესტრი ისეთი რამ არის, რომ ვერავინ გაექცევა.

„იუნაიტედის“ მხარესაა მშობლიური მინდორი, ახალგაზრდათა დიდი საერთაშორისო გამოცდილება და ჩემპიონობის რეალური შანსი. „არსენალს“ კი ამოძრავებს ამბიცია და თუნდაც მცირედის დიდა და ქცევის სურვილი და უნარი. მასპინძლებს გამორჩევით ემუქრებათ ენდი კოული, რომელსაც ოდესღაც „არსენალშიც“ კი უთამაშია შემცვლელად. კოულმა ამ სეზონში 22 ბურთი გაიტანა და ახლა ზამთრის ძილის შემდეგ საბოლოოდ გამოღვიძებული ჩანს. თუ მას ეფექტური მხარდაჭერა ექნა მოკეთებული სოლსკაერისა და შერინგემისგან, მენინგერს ძალიან გაუჭირდება. სტუმრებს „უიმბლდონი“ ჯორჯ ვეას ბიძაშვილის,ძირითადში ადგილის მაძიებელი კრისტოფერ ვრეს გოლმა დაამარცხებინა. ეს ბიჭი ძირითადში მოსახვედრად იბრძვის და რაიტის არყოფნისა და ანელკას უვარგისობის ფონზე ბევრის გაკეთება შეუძლია. მთავარი საშიშროება კი მეთოფეთა ნახევარდაცვიდან წამოვა.

და საერთოდ, „იუნაიტედისა“ და „არსენალის“ ჯახები ინგლისური ფეხბურთის ლეგენდაა.

ამათ შორის შეპაექრებაში იმდენი რამ მომხდარა, რომ ერთი ცალკე მეისტორიე სჭირდება. მათი დიადი თამაშები ჯერ კიდევ მაშინ იმართებოდა, როცა სხვაგან ბურთის სიმრგვალისა არაფერი გაეგებოდათ.

ინგლისური საფეხბურთო მედია მათ „ტრილერებადაც“ კი მოიხსენიებს დაძაბულობისა და სისავსის გამო. ახლა ამ ისტორიის ჩამოყოლა მეტად შორს წაგვიყვანდა, ხოლო დამადასტურებელი მაგალითის მოყვანა კი შეიძლება. 1979 წელს ასოციაციის თასის ფინალში იმგვარი ტრილერი დატრიალდა, რომ ინფარქტებიც კი გამოიწვია. პირველი ტაიმის შემდეგ „არსენალი“ 2:0 იგებდა ბრაიან ტალბოტისა და ფრენკ სტეპლტონის გოლებით. მეორე ნახევარში გუნდმა ნაცად ტაქტიკას მიმართა და დროის წელვას მოჰყვა. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთიღა რჩებოდა, როცა გორდონ მაკკვინმა ერთი გოლი გაქვითა, ხოლო დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სემი მაკილროიმ მილიონობით ტელემაყურებელი და „უემბლი“ შეშალა — 2:2. ყველა დამატებით დროს ელოდა, მსაჯის სასტვენამდე წამებიღა რჩებოდა, როცა „არსენალმა“ მოიგო. მოიგო ლაიამ ბრეიდისა და გრემ რიქსის საუცხოო კომბინაციით, რომელიც ალან სანდერლენდმა დააგვირგვინა.

და რაღა შორს მივდივართ? გასულ შემოდგომას „ჰაიბრიზე“ ხომ მიმდინარე პრემიერშიფის საუკეთესო თამაში გაიმართა? „არსენალმა“ ახლაც 3:2 მოიგო, „იუნაიტედი“ კი ლიდერად დარჩა.

რა მოხდება დღეს? არავინ იცის.

104 წლის წინათ, როცა „ნიუტონ ჰითი“ და „ვულვიჩ არსენალი“ პირველად შეხვდნენ ერთმანეს, ფრე, 3:3 შედგა.

მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. „იუნაიტედმა“ 65-ჯერ მოუგო მეთოფეებს და 242 გოლი გაუტანა, „არსენალმა“ კი 58-ჯერ სძლია ალისფერებს და 228 ბურთი ჩაიწერა.

მხოლოდ 34 ფრე.

ნამდვილი ომი იქნება, ჩრდილოეთი — სამხრეთი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# უემბლის პრივატიზაცია

ინგლისის ჩემპიონატს 90-იანი წლების დასაწყისამდე პირველი დივიზიონი ეწოდებოდა. ქვეყნის უძლიერეს გუნდთა შეჯიბრებას 1991-92 წლების სეზონში დაერქვა პრემიერლიგა. პირველობისთვის სახელის შეცვლა ფორმალობა არ ყოფილა — მას შემდეგ, რაც ჩემპიონატს პრემიერლიგა ეწოდა, გუნდების ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდა. თან უეფას სანქციების გამო 1985 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალში, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში „ეიზელის“ სტადიონზე „ლივერპულის“ ფანების მიერ ატეხილი ჩხუბისა და ტრიბუნის ჩანგრევისას 39 ტურინელი ტიფოზის დაღუპვის გამო უეფამ ინგლისური გუნდები ევროთასებიდან ხუთი წლით მოკვეთა. ევროტურნირებს ჩამოშორებული ინგლისური ფეხბურთის პროგრესიც თვალშისაცემი იყო. გუნდების ფინანსურმა გაძლიერებამ, ცხადია, ჩემპიონატზეც დადებითად იმოქმედა. პრემიერლიგა გაცილებით ძლიერი შეჯიბრება გახდა, ვიდრე მანამდე იყო. ყველაფერმა კი ინგლისურ ფეხბურთს შელახული პრესტიჟი აღუდგინა.



დღესდღეობით „უემბლი“ ასე გამოიყურება, რამდენიმე წელიწადში კი ამ შენობას მხოლოდ ცნობილი „თვინ თაუერზი“ გაგვახსენებს

გამდიდრებულმა კლუბებმა დიდი თანხების დაბანდება დაიწყეს სხვადასხვა ოპერაციებში. ამასთანავე სტადიონების განახლება-რეკონსტრუქციის, ანაც სულაც ახალი სარბიელის აგებას შეუდგნენ.

პრემიერლიგის დაარსებიდან თითქმის რვა წელი გავიდა, ეს დრო კი ზოგიერთი გუნდისთვის სავსებით საკმარისი გამოდგა, ახალი მოედანი რომ შეეძინა, ანაც ძველი სტადიონებისთვის მიეხედა. ზოგიერთ ბობოლა გუნდს კი მიზნად სტადიონების ტევადობის გაზრდა დაუსახავს, მაგრამ ჯერ საამისოდ რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს.

აი, შუა კვირაში ლონდონის „არსენალმა“, რომელიც მარტო ქვეყნის დედაქალაქში კი არა, მთელს ალბიონზეა პოპულარული, სენსაციური განცხადება გააკეთა — მას არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოში სახელგანთქმული „უემბლის“ შეძენა მოუწადინებია და საამისოდ 120 მილიონი გირვანქის გაღებას აპირებს. მოგეხსენებათ, „არსენალის“ სტადიონი — „ჰაიბრი“ მხოლოდ 38 ათას დასაჯდომ ადგილს ითვლის, რაც კლუბის ხელმძღვანელობას დიდად არ ეჭაშნიკება. სტადიონის ტევადობის გაზრდის თაობაზე „მეთოფეთა“ გეგმები კარგა ხნით ადრე გახდა ცნობილი, მაგრამ არავინ იფიქრებდა, თუ გუნდი „უემბლის“ შეძენას მოისურვებდა.

— გუნდს, რომელიც მუდამ პირველობისთვის იბრძვის, იმაზე დიდი სარბიელი სჭირდება, ვიდრე ახლა აქვს. ინგლისში ფეხბურთს პოპულარობა არასდროს ჰკლებია, მაგრამ რაც დრო გადის, იგი სულ უფრო და უფრო იზრდება, ამის კვალობაზე კი „ჰაიბრიზე“ თამაში გაუმართლებელი. გუნდი ყოველ შეხვედრაში რამდენიმე ათეული ათას გირვანქას ზარალობს, რაც დიდი დანაკლისია. ჩვენ გაცილებით ტევადი სტადიონი გვჭირდება, საუკეთესო ვარიანტად კი „უემბლის“ შეძენა გვესახება. ვფიქრობ, არაფერი იქნება იმაში ცუდი, თუ „უემბლზე“ „არსენალი“ ითამაშებს — განაცხადა გუნდის ერთ-ერთმა თავმჯდომარემ დეივ მედისონმა. ამ საქმისთვის 12 მილიონი გირვანქის გაღებაზე სწორედ მან განაცხადა პირველმა.

...ბევრი რამ ახსოვს „უემბლის“. იმ 75 წლის მანძილზე რაც იგი ინგლისის უპირველეს, ხოლო მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე [illegible] ბევრი რამ იყო ღირშესანიშნავი, ამაღელვებელი და დასამახსოვრებელი. სწორედ აქ „უემბლის“ ხასხასა მინდორზე მოიპოვა ფეხბურთის სამშობლომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, სწორედ აქ გათამაშდა ჩემპიონთა თასის ხუთი ფინალი, სწორედ „უემბლი“ იყო 1948 წლის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირისა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის უპირველესი სარბიელი. სწორედ „უემბლიზე“ მოიპოვეს ინგლისის საფეხბურთო და სარაგბო ნაკრებებმა თავიანთი ბრწყინვალე გამარჯვებები, სწორედ „უემბლი“... თუმცა რომელი ერთი შეხვედრა გავიხსენოთ? განა „უემბლის“ ნაკლებმნიშვნელოვანი შეხვედრისთვის ოდესმე უმასპინძლია? არა, ასეთი ისტორიის მქონე სტადიონი დედამიწის ზურგზე, ალბათ, მეორე არ მოიძებნება — „უემბლი“ ერთადერთი და განუმეორებელია!

დღეს კი რა ხდება? ისეთ სტადიონს, რომლის დარიც ბევრი ქვეყნისთვის სანატრელია, ძირეულ რეკონსტრუქციას უპირებენ. შესწორება-შემოსწორების შემდეგ კი ამჟამინდელი „უემბლისგან“ მხოლოდ ორი ცნობილი კოშკურა — „თვინ თაუერზი“ დარჩება.

...არსენალელებმა „უემბლიზე“ გადაბარგება მოინდომეს, თუმცა სურვილი ერთია და მისი განხორციელება მეორე. ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას უამრავი იურიდიული ნებართვა სჭირდება. გუნდის ხელმძღვანელობას დიდი იმედი ჰქონია, ყველაფერს მოვაკვარახჭინებთო.

ლონდონელთა გარდა ამ საქმით ბევრი სხვაც არის დაინტერესებული. მაგალითად, იმავე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კარგა მხნით ადრე შესთავაზა ინგლისის ეროვნული სტადიონის კავშირს „უემბლის“ შეძენა და რეკონსტრუქცია. თითქოს საკითხიც მათ სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ „არსენალის“ განცხადებამ საბოლოო ვერდიქტის გამოტანა დროებით შეაჩერა. ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებმა „უემბლის“ „არსენალისთვის“ გადაცემა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს, თუმცა იქვე დასძინეს, ყველაფერს მაინც „უემბლის“ ხელმძღვანელობა წყვეტს, ამიტომ ამის თაობაზე კამათი უადგილოაო.

„უემბლის“ დირექტორთა საბჭოს ჯერ არ გადაუწყვეტია, შენობა ვის მიანდოს, აი, ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა ტონი ბენქსმა კი „არსენალის“ წინადადება მიუღებლად მიიჩნია, რაც არ უნდა იყოს, „უემბლი“ ქვეყნის სიამაყეა, მასზე მუდამ მნიშვნელოვანი შეხვედრები იმართებოდა, რიგითი მატჩების მასპინძლობა რა „უემბლის“ საქმეაო.

...სარეკონსტრუქციო სამუშაოები ყველა შემთხვევაში დაიწყება და დაახლოებით სამ წელიწადს გასტანს — მომავალი წლის ზაფხულიდან 2001 წლის ბოლომდე. ჯერჯერობით კი ინგლისის ერთ-ერთი ღირშესანიშნაობა უდრეკად დგას.

და კიდევ, თუ მოხდა და „უემბლი“ „არსენალს“ გადაეცა, ლონდონელი მეთოფეები სტადიონზე მხოლოდ ასოციაციის ან ლიგის თასის ფინალურ მატჩებს თუ ჩაატარებენ. ფეხბურთის ასოციაციას „უემბლისთან“ 2002 წლის ჩათვლით აკავშირებს კონტრაქტი და ამ დრომდე მისი უფლებები ხელშეუხებელია.

**ლაშა გოდუაძე**

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### 89 დღით ადრე

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ოთხმოცდაცხრა დღე დარჩა. რაში უნდა გამოიყენოს გულშემატკივარმა ეს დრო?

მსოფლიოს ჩემპიონატი რომ ფეხბურთის მთავარი ზეიმია, ყველამ იცის. მერე რა, რომ ვერ გაგვიმართლებს ხოლმე და ბოლო დროა, ფინალისთვის გოლები ენანება? ზეიმი მაინც ზეიმია ხოლმე.

წინს მსოფლიოს ჩემპიონატი ყველას გვახსოვს და იქედან ერთი ფიქრი გამომყვა: ძველ დროში, მსოფლიოს პირველობა საფეხბურთო მოდების, სტილების, ოსტატობის უპირველეს გამოფენას წარმოადგენდა. ამერიკული ჭიდილის გასრულების შემდეგ ვიფიქრე, არავითარი მოდები და სტილები, მსოფლიოს ჩემპიონატი ტურნირია-მეთქი. უმაღლესი დონის, დაძაბული, რთული, მაგრამ მხოლოდ ტურნირი და არა გამოფენა.

ეს დასანანი იყო. ფეხბურთი ძალიან დაემსგავსა ჭიდაობას. მაგრამ იმის შემდეგ ხომ ოთხი წელიწადი დავიდა. გავიდა და გავიდა, ვითომ ბევრი რამ შეიცვალა?

შეიცვალა საფრანგეთის ნაკრები, რომელიც საერთოდ არ იყო ამერიკაში. ასევე შეიცვალა ინგლისის ნაკრები, რომელმაც ასევე ვერ გადაცურა ატლანტიკა. შეიცვალა ბრაზილიის ნაკრებიც, ჩემპიონთა თამაში ახლა სხვაა, მაშინ სხვა იყო. შეიცვალა არგენტინის ნაკრები, რომელიც, რატომღაც, ყველას მიავიწყდა.

ოთხმოცდაცხრა დღით ადრე, ასე ჩანს, რომ ჩემპიონატს უნდა დაუბრუნდეს „გამოფენის" სტატუსიც. ტურნირი, რა თქმა უნდა, მთავარია, მაგრამ თუ მოდების ჩვენებაც არ იქნა, ჩემპიონატი ბევრს დაკარგავს.

გულშემატკივრის საქმე კი ისეა, რომ იმ ერთ თვეს ტელევიზორის წინ მცხოვრები, ფიქრებს შეუპყრია. ვინ გახდება ჩემპიონი? თბილისი მარჩიელობის კლასიკური ადგილია. მთელი შემოდგომა გაისმოდა, ჩემპიონი ინგლისი გახდებაო. ახლა, როცა ინგლისმა ჩილისთან წააგო, ეს ხმა, როგორღაც დაიკარგა. იანვრიდან მოკიდებული, სულ „ბრაზილიის" ძახილი იყო — კონფედერაციის თასის მაყურებელი კაცი სხვას რას იფიქრებდა? მერე ბრაზილია ამერიკამ შეარცხვინა. ახლა ხალხმა საფრანგეთ-ნორვეგიის თამაშს უყურა, შარშანდელი ოთხთა ტურნირი გაიხსენა და აზრიც გამოთქვა: ფრანგებს რომ ერთი მეგოლე ჰყავდეთ, უეჭველად ჩემპიონები არიანო, მთელს ამ ხმათა პარალელურად კი გაისმის, ფორცა იტალია! იტალია არ დაგავიწყდეთ, ეგ სატურნირო თამაშის კარუზოა — თუ გაუვარდა, იტალიაა ჩემპიონიო. გერმანიის სპეციალობა ხომ სწორედაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლაა, იორდანიას მოტვლეპილი თავი ოდენ გამონაკლისი იყოო.

მოკლედ, ჩვენ ჯერ არ ვიცით მსოფლიოს ჩემპიონატის ვინაობა. და ამდენი ხმების მომსმენმა, როგორ იქნება, ერთი არ ჩავაზჭელო? არგენტინა დაგვავიწყდა. არ ვიცი იმიტომ, რომ შორსაა და კარგახანია ევროპა-აზიისკენ არ გამოფრენილა, არ ვიცი იმიტომ, რომ პასარელა გვაჯავრებდა. არადა, არგენტინა თამაშობს და ასე ჩანს, რომ პიკიც ზაფხულისთვის ექნება.

და ერთიც უნდა ჩავაზველო, ოთხეულში ერთი ოზერი, ან მოულოდნელი მაინც გამოერევა. ყოფილა და ასე იქნება.

თუმცა, იქამდე ჯერ შორია.

მაგრამ რად გინდა? ქალაქში ისეთი ხალხიც დაიარება, რომელთაც მიაჩნიათ, რომ... მოკლედ, ერთი ძმაბიჭი შემხვდა და მითხრა, ეგ სამი თვე, სამ კვირაზე მეტი არაფრით გამოდისო. ეგ როგორ-მეთქი და აი, ასეო: მარტი ხომ, ფაქტიურად, დამთავრებულიაო, კი-მეთქი. მაისში ხომ კარგი ამინდი იქნება და 10 ივნისამდე თვე ისე გაირბენს, ვერ გაიგებ. ამიტომ მაისი ჩასათვლელიც არ არის, იმგვარად აენთები ჩემპიონატის მოახლოებითო, კი-მეთქი. ჰოდა, აპრილი დარჩა, ერთი თვე, ანუ ოთხი კვირაო, კი-მეთქი. ჰოდა, სადაც ოთხი კვირა, იქაც სამი. ჩემპიონატი ძალიან მალე იწყებაო. კი-მეთქი, დავეთანხმე.

სწორია, ჩემმა მზემ.

მალე იწყება.



# „სპარტაკო", სპარტაკო"! ...და სხვა ამბები

## ყირამალა

მომავალ კვირაში ევროთასების ნახევარფინალისტები დაგვენახებიან — სულ თორმეტი გუნდი იქნება. ამ თორმეტიდან ოთხი-ხუთი მაინც გამოდგება ისეთი, ნახევარფინალში რომ არავინ მოელოდა. ერთიც გავიხედოთ და გელზერკირხენის „პარკშტადიონზე" ხუუბ სტევენსის ხალხმა ჩემოდანი გახსნას და შიგ ერთმანეთზე მიყოლებით ჩაალაგოს იური, ფრანკო, ფრანჩესკო, ნაზარიო და ეს ჩემოდანი მილანური ჩარტერის ბაგაჟში ჩააბარონ:

## რა, არ მომხდარა?

სულაც შარშან. მაშინ ივანემ ზღაპრული გოლი გაიტანა, მაგრამ რა ჩემოდანიც შეიკრა, ყველას გვახსოვს. ინგო იქნება დასაბმელი, ინგო ანდერბრიუგე.

ესეც არ იყოს და მთელი ბირმინგემის საზანგეთი რომ აფეთქდეს? მაშინ ნახე ხესუს ხილი ხილის დორბლიანი ლაპარაკი. ჟუნინიოსაც გლახად წასტეხია ფეხი. მისი ფეხის მოტეხვა ხომ „ატლეტიკოს" ფრთის წატეხვას ნიშნავს?

ანდა, რომ გამოხტეს ალი ბენარბია, დააძინოს დალლარა მეი, გაუგოროს ლევგონსკის და შმაიხელმა, როგორც სჩვევია, გადახტომა რომ არ იკადროს, მერე სად მიდიხარ?

ან კიდევ, ადგეს ის ჩვენი იტალიელი ნიუმენი და თავის სიგარა შუბლზე დააქროს უკრაინელ ჭარხალს. ან კიდევ კრისტოფ დაუმმა „დინამო" გაიხსენოს და ცალეურა, თეთრ ჰაინკესს დინამო გაუკეთოს. ან კიდევ, მთელი როდა შეიკრას, მთელი ბრედა დაიმატოს და „ვიჩენცა" ვიჩენცაშივე დატოვოს.

ვინ აგებს პასუხს ამის გამო?

ვინ აიღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ვიალი თვითონ არ გამოვა მოედანზე და სევილიაში აწყობილ საქმეს არ წაახდენს?

პასუხისმგებელი არ ჩანს.

სადღეისოდ, პასუხისგება შესაძლებელია ერთადერთ საკითხზე — „გლაზგო რეინჯერსი" ვერცერთ ევროპულ თასს ვერ დაიჭერს. ალბათ, „როდაც", მაგრამ...

## ფოტო

სამშაბათ ღამით ერის ერთი ჯიგრიანი ნაწილი კვლავ მიიღებს შუქ-სინათლესა. არც გასაკვირია — „აიაქსი" მოსკოვში ჩამოდის და იქ სასწაული უნდა მოახდინოს.

ბოროტი ენები ამბობენ, შუბოსანთა თავკაცს გადაუწყვეტია რუსთა სატახტოში ბლინდის, ოლისესა და რუდის გარეშე გამოემგზავროს და მათ მაგივრად შავშავი პატარა ბიჭები, სულით თავდამსხმელი მოსწავლეები ჩამოიყვანოსო. აქაოდა, სამი ბურთი გვჭირდება და მცველებს რა თავში ვიხლიო.

ჩვენ აქ უშნოდ ვხითხითებთ და აბა „აიაქსის" დარდები ნახეთ?

დაახლოებით ასე გამოითქმის: ვისთან ვაგებთ, ჩემი?

სწორიცაა.

მართალია, წლევანდელ „აიაქსს" სუპერისა არაფერი სცხია, ისე, როგორც ეს რუსულმა სპორტულმა მედიამ წარმოადგინა, მაგრამ აქლემი ისე არ უნდა დაეცეს, ვირისა არ ზიდოს.

როცა წილისყრამ „აიაქსი" „სპარტაკს" დააჯახა, ქალაქელ ფანობას გაეხარდა, იოლი საფეხურიაო. მაგრამ რას იზამ, როცა ვან გაალი წასულია?

ჩვენი გულისთქმა შოთაა.

ველიკორუსულმა სპორტულმა მედიამ, იხილა რა, რომ მათმა „პიშჩევიკმა" „ამსტერდამ არენაზე" გაისროლა, მარკოს სიფხიზლის წყალობით, ამპარტავანი ხმაური ატეხა, დახეთ, ჩვენმა უსტადიონო „სპარტაკმა" ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელს მოუგო და რუსეთი გააბედნიერაო.

მართლაც ასეა — რა შეედრება ჭეშმარიტ სიხარულს? მედიამ თუ არ იზეიმა, აბა ვინ უნდა იზეიმოს.

მაგრამ წავიდ-წამოვიდნენ და შოთას მიახტნენ. „სპორტ ექსპრესმა" ევროსააგენტოების მიერ გავრცელებული უშველებელი ფოტო დაბეჭდა პირველ გვერდზე: შოთა პასს ელის, მის უკან კი თავგადახოტრილი, ან თითქოს რომელიმე ზონიდან გამოქცეული გორლუკოვიჩი დგას.



შოთა და უძლიერესი ბელარუსი მგელი

ეს ფოტო ბარე შვიდმა ქართულმა გაზეთმა დაბეჭდა და უცხოც არაფერია, მაგრამ რუსთა სპორტულმა მედიაფლაგმანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ფეხბურთზე წერისას თავისი ერის ბომბა — ტანკებსა და პოლიტიკურ ამბავზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ფეხბურთზე.

მაგრამ რას იზამ, როცა კაცი თავისი ქვეყნის საზღვრებზე ფიქრობს და არა ფეხბურთზე?

ძველ ქომაგებს ვთხოვთ, გაიხსენონ საკავშირო, თუ ბელარუსის, თუ სსრკ ნაკრების რომელიმე თამაშის გახსენება, რომელშიც გორლუკოვიჩმა გაიბრწყინა. ვინც გაიხსენებს, გორლუკოვიჩის მაისურს მიიღებს...

ისე კი, გვარიანი სისულელე მგონია ასეთი რამის გამო კამათი, მაგრამ რაც არ ყოფილა, იმის ხაზგასმა ვერ არის მთლად ნამუსიანი ამბავი.

გორლუკოვიჩი რა ხვითოა. ვერეცი მაინც ყოფილიყო...

## გორლუკოვიჩი

ამ ფოტოს წარწერა აქვს, რომა, როცა გორლუკოვიჩი საბჭოეთის პირველობაზე თამაშობდა, შოთა ეზოში დარბოდაო. და გამობრძმედილმა ევროპელმა მგელმა (ე.ი. გორლუკოვიჩმაო), 25 წლის ამომავალი ვარსკვლავი (ე.ი. შოთა) ამოკეტაო.

აქედან სრულიად გასაგებია, რომ შოთას დასცინა რუსის მოკალმემ: რაღა დროს 25 წლის კაცის ამომავალი ვარსკვლავობააო და ჩვენი ბელარუსის ფონზე ვერაფერი მოახერხაო. მაგარი ბელარუსიო და უვარგისი ქართველიო. აქედან კი ჩვენი აზრები იბადება:

I — გორლუკოვიჩისნაირი „გამობრძმედილი მგლები" ევროპაში კონა აბაზი ღირს;

II — გორლუკოვიჩი ფეხბურთელს კი არა, „დათა თუთაშხიაში" რომ პირშავი ასტიონაა, იმას უფრო ჰგავს;

III — თუკი ვინმეს ამოკეტვაზე მიდგებოდა საქმე, ის მაინც დაეწერათ, ხლესტოვმა ბაბანგიდა ამოკეტაო;

IV — თუკი ვინმემ ივარგა იმ თამაშში, შოთაც იმათგანი იყო;

## ისევ ყირამალა

ერთიც ვნახოთ და „აიაქსმა" ივარგოს? მაშინ ხომ ეს შოუბიზ ნაწერი არამად არ ჩაგვეთვლება. ალალად რომ ითქვას, „სპარტაკი" ვერაფერიშვილი გუნდია და პირველი თამაშის მეორე ტაიმის აშკარად მოგვაგონებდა იმ ძველ „სპარტაკს", აბდაუბდად რომ დაღოღავდა მოედანზე და ოთხ-ხუთი ბურთით აგებდა ხოლმე გადამწყვეტ ევროპულ თამაშებს. მაგრამ, განა „აიაქსი" მოგვაგონებს შორს რომ აღარ წავიდეთ, ორი წლის წინანდელ „აიაქსს". დღევანდელ ფეხბურთში ხომ საქმე ისე წავიდა, რომ შენი ლამაზი არშიები და მაქმანები, ბევრს აღარავის სჭირდება?

ნახევარფინალი ორივესთვის გარკვეულ საკითხად ჩანს. თუმცა, ჩვენ ვიცნობთ „აიაქსს". მაგრამ იქამდე ძალიან შორია, მთელი 90 წუთი, რომელიც „აიაქსისთვის" 90 ათას სავალ კილომეტრს უდრის. თანაც, რუსები თოვლსაც გამოიწერენ. ყოველ შემთხვევაში, ყინვა საჭირო დონეზე იქნება.

ლექსიც ხომაა: „ნაშ „სპარტაკ" ნე პოდვედიოტ, ჟორა იარცევ გოლ ზაბიოტ!" გოლის რა გითხრათ და იარცევი კი მოწევს ერთ კოლოფ პაპიროსს.

კიდევ ვინ?

ეს ის „დორტმუნდი" ხომ არ არის, შარშან რომ... ვესტფალიელებმა თუ ბავარიელებს გაუკეთეს ოინი, ოინიც ეგ იქნება. სუპერთასზე რომ ბიჭები თამაშობდნენ, ეგებ მათ რაღაც, როგორღაც, ეგებ, რომ... მერეც გამოვა ბეკენბაუერი ოთხშაბათ ღამის ღია ეთერში და დაგვიწყებს ჭკუის დარიგებას?

ოცდათექვსმეტი წელიწადია, გი რუ „ოსერსა" წვრთნის. ამ დროში დაბერდა, მალდინისა არ იყოს, თმის ღებვას დაეჩვია და ევროპული გაზაფხულის ხშირი სტუმარიც შეიქნა. აქედან „ლაციო" უდგას, მაგრამ ისე გამოდის, რომ რამდენადაც სერიაში კარგია ხოლმე ეს „ლაციო", იმდენად იკარგება ევროთასებზე.

ასე რომ, დარწმუნებით ითქმის — სტენ კოლიმორი და დუიატ იორკი თასს ვერ აიღებენ, მაგრამ მანამდე სამართებლის ხმარება რომ არა მხოლოდ თავის გადასაპარსად სჭირდებათ, ნაღდია.

ჩვენ კი დაველოდოთ „სპარტაკის" გავარდნას — ასე უფრო მხიარულად ვიქნებით.

**ირაკლი გამყრელიძე**



რას იზამს ნაზარიო?

## კითხვა-პასუხი

*— ინგლისში რეფორმა მზადდებაო, არ გაგიგია?*

— არ გამიგია. მთელი მაგათი რეფორმა იმაშია, რომ ვიღაც ტყუურები მიჰყავთ და მერე ვარსკვლავებს ეძახიან.

*— და რა ეშველება ინგლისურ ფეხბურთს?*

— რა უნდა ეშველოს. სანამ მოკლე შვებულებას არ გააუქმებენ, არაფერი გამოვა.

*— ეგ მოკლე შვებულება რაღაა?*

— რაღაა და ისაა, რომ რომელიმე გამორჩეული თამაშის წინ, მთელ გუნდს სხვა ქალაქში წაიყვანენ.

*— რატომ?*

— რომ დათვრნენ და იქაური პაბები დალეწონ. მერე კიდევ იქაურ ქალებს ან სულაც ერთმანეთს დაერიონ.

*— ეგ როგორ?*

— როგორ და ისე. „სიტი" რომ კუნძულ ჯერსიზე წავიდა საქეიფოდ, მერე ვიღაც ბიგლიმ რომ ქალს ძუძუზე წაავლო ხელი და ქინქლაძე რომ სუდში დაიბარეს...

*— არ მახსოვს.*

— როგორ არ გახსოვს?

*— არა, თვითონ „სიტი" რა არის, ეგ არ მახსოვს.*

— ის ხომ გახსოვს, წინა კვირაში რომ შუა დუბლინში შირერმა გილესპი ვალახა?

*— უიმე. შირერი მაგას არ იკადრებდა. როგორ მოუვიდა?*

— მოუვიდა არა ისა. ლაბანოვსკიმ თქვა, შირერი ეგოისტიაო. ან რომელი ლორდი კავენდიში ეგა მყავს, არ ეკადრა? ერთი გლეხის ბიჭია, მუქთ პურსა სჭამს.

*— რეებს ბედავ შირერზე. მუქთს რატომ?*

— აბა ფეხბურთს ეგ აღარ თამაშობს და დადის კასტილით. ვინ არის, ჯონ სილვერია? რატომ უნდა ვითმინოთ მაგის მუქთახორობა?

*— და გილესპიმ რაღაო?*

— მილიციაში არ მისულა. ძმაკაცებს გადაურეკა და შირერს უნდა ელაპარაკონ.

*— ვინ? ძველი ბიჭები არიან?*

— თან კი და თან არა. ერთი ხოტორა კლიენტია, ჯულიან დიკსი და კიდევ ერთი ხოტორა კლიენტია, დენის უაიზი. ლონდონელი მასტები არიან. „ვესტ ჰემში" და „ჩელსიში" სტოსი მიყავთ.

*— სტოსი რა არის?*

— კაპიტნები არიან, რაღა. კაი პურისმჭამელი და კაი სიტყვის მთქმელი ბიჭები. გილესპისთან ახლობლობენ.

*— უიმე, რამე არ უქნან შირერს. მსოფლიოს ჩემპიონატზე რა გვეშველება?*

— ეგ არაფერი. ოუენი გამოვა, წესიერი ბოვშია.

*— ეგენი მოკლავენ შირერს.*

— ეგრე არ არი. ამასაც ყავს ახლობლები და იმათ ჩაიყვანს.

*— ვინ?*

— ერთი მაგარი ბიჭია, დეივ ბეტი. მაგარი პრობლი აქვს. შირერი იყო ასული და, აპრავდანიას აგალებინებო, ბეტიმ უთხრა. კიდევ ერთია, რობ ლი, ეგეც ნიუკასლელი. შირერის ჩერეზმაკაცია და გამკეთებელი კლიენტია.

*— საშინელი ამბავი ატყდება. შუაში ჩამდგომი არავინ არაა?*

— კანტონა რომ იყოს, იცოცხლე, ის ჩაუდგებოდა შუაში, სიტყვას მაინც დატოვებდა. ახლა არავინ ჩანს.

*— დალგლიში არაფერს აკეთებს?*

— წავიდეს მაგის ქარაქუცა... დაიმალა, ტო, ალანა და დეივა ავიდნენ, დავილაპარაკოთო და ცოლი გამოუშვა, სახლში არ არიო. როგორ არ იყო? მანქანა ქვემოთ ეყენა.

*— იან რაიტი რომ ჩაერიათ? შავია მაინც...*

— უთხრეს და მე მაგათ რიჟა საქმეში არ გავერევიო.

*— აბა ბერხკამპს ხო არ ეტყვიან?*

— არა, ტო, მანდ სად არი ბერხკამპის სალაპარაკო...

*— და გაზა? გაზა იტყოდა თავის სიტყვას.*

— რა, გაზა?

*— გაზა ჩარიონ. გაზაზე უკეთ ვინ იტყვის?*

— გიჟია ტო, ეგრევე მიჭრის ვინმეს. თან ეხლა ვერ არი, ხო იცი...

*— და კოლინ ჰენდრი, ან დიური, ან ალი მაკოისტი?*

— მაიცა რა, მაგ საქმეში ქაჯი შოტლანდიელების გარევა იქნება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევან დიდი

**საქართველოში კარგი მოჭიდავე არასოდეს უკვირდათ. ალბათ, ჩამოთვლაც არაა საჭირო, იმდენი სახელოვანი, მრავალი ტიტულისა და ჩინ-მედლების მომხვეჭი ფალავანი გვყოლია, მაგრამ ამ უდიდეს მოჭიდავეთა უგრძეს რიგშიც კი ლევან თედიაშვილი მაინც გამორჩეულია და მისი სახელი ყოველთვის დარჩება მსოფლიოს ყველა დროის უდიდეს ოსტატთა შორის.**



**ლევან თედიაშვილი**

დაიბადა 1948 წლის 15 მარტს

მიუნხენის (1972) და მონრეალის (1976) ოლიმპიადების ჩემპიონი

მსოფლიოს ოთხგზის (1971, 1973, 1974, 1975) ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონი სამბოში

ევროპის სამგზის (1974, 1976, 1978) ჩემპიონი

საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი 1971, 1973, 1974 წლებში

მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავე

*ქართველი ბავშვების საუბარი:*
*— შვარცენეგერი მოერევა, სტალონე თუ ვან დამი?*
*— ეგენი ვინ არიან, აი, მოვა ლევან თედიაშვილი და სამივეს ერთად გაჰბრტყელებს.*

მახსოვს მისი პირველი გამოსვლა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე, ჯერ კიდევ არ ჰქონდა ის უამრავი ტიტული, რომლებიც შემდეგ მართლაც ბრწყინვალე კარიერის მანძილზე მოიპოვა, მაგრამ ჭიდაობის მცოდნე და მრავლისმნახველ გულშემატკივრებში თავიდანვე მოიპოვა სიყვარული. და ახალგაზრდა ფალავანში მათ მაშინვე შენიშნეს დიდი ნიჭი... „ამ ბიჭმა თუ მოინდომა, 10 წელი ხელს ვერავინ ახლებს" — მომესმა უკანა რიგიდან.

რა ეპითეტით არ შეუმკიათ ლევან თედიაშვილი. ეპითეტი, რა თქმა უნდა, ყოველთვის სუბიექტურია და ავტორისეულ აღტაცებას თუ გამოხატავს, მაგრამ ლევანი თითოეულ მათგანს ამართლებდა, თუნდაც ალმასებითი ხარისხისას. ამის დასტურად ერთ მაგალითს მოვიტან. გამორჩეულად ღიდ სპორტსმენებს ხომ ლეგენდარულს უწოდებენ, მათ შორის ლევანზეც არაერთხელ უთქვამთ ეს. ამას წინათ თითისტოლა ბიჭების დავას შევესწარი, შვარცენეგერი მოერევა, სტალონე თუ ვან დამიო. ერთმა პატარამ კი თქვა, ეგენი ვინ არიან, აი, ლევან თედიაშვილი მოვა და სამივეს ერთად გააბრტყელებსო. არ დაგავიწყდეთ, ეს საუბარი მარშან მოვისმინე, როცა ლევანს უკვე კარგა ხნის დანებებული ჰქონდა თავი ჭიდაობისთვის. რა თქმა უნდა, თედიაშვილის ოსტატობის შესახებ ბიჭმა მამისგან ან ბიძისგან იცის. სწორედ ესაა ლეგენდარულობაც — ლევანის უძლეველობის მითი თაობიდან თაობაზე გადადის.

ლევან თედიაშვილი პირველად 1971 წელს სოფიაში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მაშინ საბჭოთა გუნდიდან ლევანის ჩათვლით ხუთი მოჭიდავე გაჩემპიონდა. იმ წელს თავთავიანთ წონებში მსოფლიოში უძლიერესები გახდნენ უდიდესი მოჭიდავეები: ირანელი ჯავადი, იაპონელი იანასიდა, ამერიკელი გეიბლი, დაღესტნელი აბდულბეკოვი, ჩვენი შოთა ლომიძე და განთქმული ბელარუსი მედვედიც, მაგრამ ასეთ გამორჩეულ მოჭიდავეებშიც ლევან თედიაშვილმა საუკეთესოთა შორის საუკეთესოს ტიტული დაიმსახურა. ეს თედიაშვილის გამორჩეული სტილის აღიარება იყო. ყოველ მოჭიდავეს თავისი კოზირი აქვს. ზოგს — დიდი ფიზიკური ძალა, ზოგს — გამძლეობა, ზოგს — ტექნიკა. ლევანს კი ყველაფერი ჰქონდა და რა ენაღვლებოდა, ლაღად და უკანმოუხედავად მიდიოდა მოწინააღმდეგეზე.



ჩვეულებრივი ეპიზოდი: ცოტაც და ლევანი მეტოქეს ბეჭებზე გააკრავს

უბედურ ვარსკვლავზე დაიბადნენ ის მოჭიდავეები, რომელთაც ლევან თედიაშვილის ზეობის პერიოდში მოუწიათ ხალიჩაზე გამოსვლა. მრავალი ასპარეზობის პრიზიორი, შესანიშნავი გერმანელი მოჭიდავე ჰორსტ შტოტმაისტერი, ალბათ, ორჯერ-სამჯერ მაინც გახდებოდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ რაღ გინდა? მაინცდამაინც მის წონაში გამოდიოდა ლევანი. ერთ-ერთ ინტერვიუში შტოტმაისტერმა თქვა, მე მსოფლიოში უძლიერესი მოჭიდავე ვარო. კი მაგრამ, თედიაშვილიო, ჰკითხეს. მე ადამიან-მოჭიდავეზე ვლაპარაკობ და არა ზეადამიანზეო, უპასუხა.

ახლა ის ჩვენი, უფრო სწორად, ლევანის ცოდვით სავსე ამერიკელი ძმები ბენ და ჯონ პეტერსონები... რა დღეს აყენებდა თედიაშვილი! 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე, როცა თედიაშვილი 82 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა და ჯონი ოქროს მედალს არ გააკარა, მისი ძმა, ბენი, 90 კგ წონოსნებს შორის გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. 1976 წელს მონრეალში ლევანი ახლა ბენს გადასწვდა, მის წონაში გადავიდა და მეორე ოლიმპიური ოქრო წაართვა. სამაგიეროდ, ჯონმა გაიხარა, თედიაშვილისგან განთავისუფლებულ ოლიმპიურ ტახტზე დაიკავა ადგილი. თუმცა ლევანს ეს სიკეთედაც უნდა ჩავუთვალოთ — ძმებს შორის შურის საბაბი მოსპო (რა ვიცით, მაინც ამერიკელები არიან).

ნუთუ ლევანს ვერაფერს უხერხებდნენ? ასე იყო და ხომ არ მოვიგონებთ. ყველაზე სასაცილო ის მომენტი გახლდათ, როცა ლევანს ჩოქბჯენში მოუხდებოდა ყოფნა. წამოწვებოდა ისე, თითქოს შავი ზღვის პლაჟზე ყოფილიყოს და მეზობელ ხალიჩაზე მოჭიდავე თანაგუნდელებს აძლევდა რჩევებს, ზემოდან მყოფი მეტოქე კი, რომელსაც არც ხელ-ფეხი ჰქონდა შებორკილი და სამოქმედო სივრცეც საკმაოდ გააჩნდა, საშინლად უსუსური ჩანდა — ვერანაირ გზას ვერ ხედავდა, რომ ლევანისთვის რაიმე ილეთი ჩაეტარებინა და ქულა მოეპოვებინა.

არ დარჩენილა ჭიდაობაში არც ერთი მწვერვალი, ლევანს რომ არ დაეპყრო. ბაშიაჩუკის რეკორდიც კი აქვს გაუმჯობესებული. ხომ გახსოვთ, აბდუშაჰილი რომ ამბობს, ჯერი არ არის, ჯერ სალამი არ დამემთავრებინა, ის კიდე მომვარდა და წამაქციაო. აი, ლევანმა ამაზე მალე მოუგო შვეიცარიელ მარტინეტის. მახსოვს, ამ მსოფლიოს ჩემპიონატს ტელევიზორში ვუყურებდი. ჩანაწერს აჩვენებდნენ. მანამდე ცნობა მოვიდა, თედიაშვილმა შვიდ წამში მოიგოო. წამმზომი დავინიშნე — სულ ფთა სამი წამი იყო, ეტყობა, შვეიცარიელის ღირსება დაინდეს და შვიდი წამი თქვეს (თუმცა რა დიდი მნიშვნელობა აქვს, სამი წამი იქნება თუ შვიდი). სხვათა შორის, ეს მარტინეტი არც ისეთი ხელწამოსაკრავი მოჭიდავე იყო — არაერთხელ ყოფილა დიდი ტურნირების ექვსეულში.

დათვს რომ ეჭიდავა, მართალია? მართალია. ამერიკელებმა ადამიანი რომ ვერ ნახეს მისი მომრევი, დათვი გამოუყვანეს, მაგრამ თედიაშვილი აქაც არ დაბნეულა. დათვს ხომ არ დაუწყებდა ბლეარძუნს, იცოდა, რაზეც იყო გათვლილი ეს შოუ — ორჯერ გამოეცალა მტაცებელს და დათვი ხალიჩას შეეხო „მუხლებით" და ქულებით წააგო ფალავანთან — სცირის საყურებლად მოსული მაყურებელი ახარხარდა, მოხერხებულობაც მოუწონეს ჩვენს ჩემპიონს.

თედიაშვილის ჭიდაობა ვერანაირ ჩარჩოში ვერ ეტეოდა. თვითონაც არ უყვარდა ჩარჩოები. ერთ წონით კატეგორიაში რომ დაარიქა ყველა მეტოქე, მერე უფრო მძიმეში გადავიდა და იქაც ყველა დაამარცხა. თითქოს ინტერესიც დაეკარგა, ღირსეული ნაალმდეგობის გამწევი მეტოქე რომ ვერ მოიძებნა, მაგრამ... საბჭოთა სპორტსმენებს ხომ, როგორც ქვეყნის პოლიტიკოსებს, რაც შეიძლება მეტი ჩინ-მედალი უნდა მოეპოვებინათ. ფიგურისტები — ბელოუსოვა და პროტოპოპოვი ლამის ბებია-ბაბუის ასაკში გამოდიოდნენ ყინულზე, სანამ სარბიელზე როდნინა არ გამოჩნდა. არადა, ვთქვათ, ამერიკელი მოცურავე ჰაიდენი 18 წლის გამოჩნდა სარბიელზე, სამ წელიწადში ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა და დაანება თავი, რადგან მისი დარი არ მოიძებნა. საბჭოთა კავშირში ასე არ შეიძლებოდა. მაქსიმალურად უნდა ამოწურულიყავი. ასეთი სპორტსმენი ჭიდაობაშიც ჰყავდათ — ალექსანდრ მედვედი, რომელიც სამგზის ოლიმპიური და შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონი იყო — იგი 10 წელი იყო ოლიმპზე. ბოლო ტიტული მან 35 წლისამ მოიპოვა. ლევან თედიაშვილი 28 წლისა უკვე ორგზის ოლიმპიური და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი იყო. ამას სამბოში მსოფლიოს ჩემპიონობაც დაუმატეთ (1974 წელს, როდესაც თავისუფალი სტილით მსოფლიოს პირველობა მოიგო, სამბისტთა ნაკრებს მოჭიდავე გაუხდა ავად. ლევანი შეუსვენებლივ ახლა სამბისტთა ჩემპიონატში ჩაება და იქაც ყველა დაამარცხა). მოკლედ, რომ მოენდომებინა, ამ რეკორდსაც დაამხობდა. გაიხსენეთ — 10 წელი ხელს ვერავინ ახლებსო. მაგრამ ყველაფერმა მოყირჭება იცის. ლევანმაც უკლო ვარჯიშებს, თუმცა ბოლოს მაინც ყური უგდო გულშემატკივრებს და კიდევ უფრო მძიმე წონაში გადავიდა, განთქმული ივან იარიგინის წონაში.

მესამე ოლიმპიურ ოქროს თუ მოიპოვებდა, ლევანი კიდევ ერთ რეკორდს ამყარებდა, სამ სხვადასხვა წონაში იქნებოდა ოლიმპიადის გამარჯვებული — ასეთი რამ კი ჭიდაობის ისტორიაში მხოლოდ შვედმა კარლ ვესტერგრენმა შეძლო ოციან წლებში, მაგრამ მაშინ ნებისმიერ მოჭიდავეს თავის წონით კატეგორიაში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შეეძლო ყველაზე მძიმე წონაში გამოსვლა. სწორედ ამის ხარჯზე 1912 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა საშუალო წონაში 1920 წელს ორი ოქროს მედალიც დაუმატა — ქვემძიმე და მძიმე წონაში. მოკლედ, ლევანმა კვლავ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ვარჯიშს და... არ დაგავიწყდეთ, რომელ ქვეყანაში ვცხოვრობდით. აბა, ვის სჭირდებოდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი. ჰოდა, ლევანს ეს შანსი არც მისცეს, მოსკოვის ოლიმპიადაზე 1980 წელს მის ნაცვლად დონეცკელი ილია მატე გამოიყვანეს. ის გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

საქმე ხომ ციფრებში არაა. თუმც ლევანს ტიტულები არ ჰკლებია და თავისი უაღრესად შთამბეჭდავი მიღწევებით ყოველთვის დარჩება განსაკუთრებულ მოვლენად მსოფლიოს ჭიდაობის ისტორიაში. ამას პიროვნული თვისებებიც ემატება — იგი ხომ ნაკრებში გამორჩეული კაცი, ლიდერი იყო არა მარტო დიდი ოსტატობის, არამედ ხასიათის გამოც. მოუსვენარსა და ენერგიულს ყოველთვის შეეძლო საბრძოლოდ განეწყო თანაგუნდელები. ამაში მხიარული ბუნებაც უწყობდა ხელს.

ნიჭიერი კაცი მარტო ერთი მხრივ არაა ნიჭიერი და ლევან თედიაშვილმა ეს თავისი ცხოვრების ყოველ მონაკვეთზე დაამტკიცა. რომელ სფეროშიც არ იმუშავა, მისი საქმიანობა ყოველთვის ყურადღების ცენტრში მოექცა. მიუხედავად ამისა, მაინც მოულოდნელი იყო მისი ხილვა კინოეკრანზე — ჩვენმა ცნობილმა რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ მეორე სახელოვან სპორტსმენთან, ველოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონ ომარ ფხაკაძესთან ერთად მიიწვია მთავარ როლზე ფილმში „ხარება და გოგია" (სხვათა შორის, გიორგი შენგელაიას ამ ფილმში კიდევ ორი სახელოვანი მოჭიდავე მონაწილეობს — მიხეილ სალაძე და ავთანდილ მაისურაძე).

როგორც ამბობენ, თედიაშვილი კინოგადაღებებზე უარს ამბობდა, მაგრამ შემდეგ გიორგი შენგელაიამ დაიყოლია. დათანხმდა და აქაც გაიმარჯვა. შეიძლება ხელოვნებაში ეს გამოთქმა არც ისე ჩეული იყოს, მაგრამ აბა სხვა რა უნდა დაარქვა იმ ფაქტს, რომ არაპროფესიონალმა მსახიობმა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი დაიმსახურა. „ხარება და გოგია" ჩვენი კინოგაქირავების რეკორდსმენად იქცა და ბევრისთვის საყვარელი ფილმიც გახდა. ფილმის ამ წარმატებაში თედიაშვილის მიერ გოგიას როლის ჩინებულმა შესრულებამაც შეიტანა თავისი წვლილი.

მოკლედ, თედიაშვილი რა საქმესაც შეხებია, ყველგან დაუტოვებია თავისი კვალი. ლევანის ცხოვრებისეული გზა, ის საყოველთაო სიყვარულის ატმოსფერო, რომელშიც იგი მუდმივად იმყოფება, რამდენიმე ხნის წინ მოგვცემდა იმის უფლებას, გვეთქვა, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულა, მაგრამ... უზარმაზარ ტკივილს ატარებს ლევან თედიაშვილი, უზარმაზარ სევდას, რომელიც ყოველთვის მასთან იქნება იმ უამრავ სასიხარულო წუთებთან ერთად. ლევან თედიაშვილი 50 წლის გახდა. იგი კვლავ პირდაპირ მიდის, ისევე, როგორც ხალიჩაზე... კვლავ გარემოცულია თანამემამულეთა სიყვარულით და იცის, რომ მის გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია. თედიაშვილის სახელი ყოველთვის იქნება ყველა დროის უდიდეს ქართველ სპორტსმენთა და მსოფლიოს უდიდეს მოჭიდავეთა შორის და დიდი ხნის შემდეგაც ეტყვის ვინმე პატარა ბიჭი მეორეს, აი, მოვა ლევან თედიაშვილი და ყველას მოერევაო, რადგან იგი სამუდამოდ დარჩება საქართველოში უძლეველობისა და პირველობის სიმბოლოდ. იუბილეს გილოცავთ, ლევან!

**ილია მხეიძე**




მიუნხენი. 1972. ლევან თედიაშვილის პირველი ოლიმპიური ოქრო



ვინ დათვალოს თედიაშვილის გამარჯვებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ძიუდოს იმპერატორი მგრძნობიარე კაცია

# იამასიტა ნარჩევ ბიჭებს ჩამოგვიყვანს

**წინა შაბათს შეგპირდით, დღეის სწორს ძიუდოში ყველაზე გამორჩეულ კაცზე მოგითხრობთო. იქნებ მიხვდით, რომ იასუჰირო იამასიტას ვგულისხმობდით. დღეს დანაპირებსაც ვასრულებთ და დიდი იაპონელის გარდა სხვა ვარსკვლავებსაც უფრო ახლო გაგაცნობთ**



ეს-ესაა პაველ ნასტულამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი საეჭვოდ მოუგო აურელიო მიგელს, რომელსაც პოლონელზე აუგს მაინც ვერ ათქმევინებ

## იამასიტა-სანს იცნობთ? ოოო!

წინა შაბათს, ასე ვთქვათ, საკმაო ხანს ვიყავით კაფე-ბარში, ასე რომ, დროა, ცოტა გარეთაც გავიხედოთ. ზუსტად არ ვიცი, რამდენი კაცი ჩადის საფრანგეთის დედაქალაქში დღეში და რამდენი ადის მის მშვენება ეიფელის კოშკზე. ალბათ, ძალიან ბევრი. 11 თებერვლის საღამოს კი ამ „ძალიან ბევრს“ ორნიც შევუერთდით — საქართველოს ნაკრების წევრი რამაზ ჩოჩიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ყველაფერმა ჩვეულებრივად ჩაიარა, ავედით „სამყაროს კენწეროზე“, დავტკბით ულამაზესი ხედებით და კარგა გვარიანად რომ შეგვცივდა, უკან ჩამოსვლა გადავწყვიტეთ. ეიფელის კოშკზე ფრანგს ვერ იპოვი — იქაურობა უცხოელებისაა. სართულით ქვემოთ მსოფლიოს ყველა ქვეყნის დროშები გამოუკრავთ და ამის გამო ძალიან ადვილია ტურისტის სადაურობის დადგენა — ყველა თავის დროშასთან მიდის და სურათს იღებს. ასევე მოვიქეცით ჩვენც. ოდნავ მოშორებით კი, იაპონიის დროშასთან ორი იაპონელი გოგონა ტრიალებდა. იქვე ბევრი ამერიკელიც ირეოდა. ამასობაში ლიფტიც ამოვიდა და ზემოთმყოფები ქვემოთ დავეშვით. გზაში ამერიკელებმა იაპონელებს უთხრეს, ტო-



ივლისში იამასიტა-სანი (ზემოთ) თავადაც გვეწვევა და შინიჩი შინოჰარასაც (მარცხნივ) და ტადაჰირო ნომურასაც ჩამოგვიყვანს





კიოში ერთი მთაა, საიდანაც მთელი ქალაქი ჩანსო და იმ მთის დასახელების გახსენება დაიწყეს. ამასობაში კი ჩოჩიშვილმა, რომელიც საქმის არსში გაერკვა, იმ მთის დასახელებაც ზუსტად თქვა და ტოკიოს იმ უბნისაც, სადაც ეს მთა მდებარეობს. იაპონელმა გოგონებმა ერთი კი გაიკვირვეს და, საიდან იცით ეს ყველაფერიო, გვკითხეს. ავუხსენი, რომ რამაზი ტოკიოში არაერთხელაა ნამყოფი, იმიტომ, რომ ძიუდოისტია და იაპონია ძიუდოს სამშობლოა.

გოგონები გამხიარულდნენ და ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. შემდეგ კი ასეთი დიალოგი გაიმართა:

— მართლა ძიუდოისტები ხართ?

— დიახ.

— თქვენ იცნობთ იასუჰირო იამასიტას?

— ვიცნობთ, ორიოდ საათის წინ ერთად ვივახშმეთ.

— როგორ, იამასიტა-სანთან ერთ მაგიდას უსხედით?

— და რა არის ამაში გასაკვირი. სასტუმროშიც ერთ სართულზე ვცხოვრობთ, ვარჯიშზეც ერთი ავტობუსით დავდივართ.

— ოოო, კენძო ნაკამურასაც (ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონია — რედ.) იცნობთ?

— დიახ და ისევე ხშირად ვხვდებით, როგორც იამასიტა-სანს.

...შევატყვე, რომ გოგონები მთლად არ გვიჯერებენ. ხუმრობა საქმეა, იაპონიის ლეგენდებთან ვიღაც ორი გადამთიელი ყოველდღიურად ურთიერთობს. სასწრაფოდ რამე უნდა გვეღონა, რათა მატყუარებად არ შევერაცხეთ. დიდხანს ფიქრი არ დაგვჭირვებია.

წინა დღით იამასიტა-სანმა და მე სავიზიტო ბარათები გავცვალეთ. ჰოდა, იაპონელებს მათივე კერპის სურათიანი ბარათი დავუძრე. ეფექტი უძლიერესი იყო. გოგონებმა იმხელა იკივლეს, რომ ლიფტში მყოფ ტურისტებს-პარიზიც დაავიწყეს და ეიფელის კოშკიც. იაპონელები როგორც უცხოპლანეტელებს, ისე გვათვალიერებდნენ, მერე კი გვკითხეს, „შეიძლება, თქვენთან ერთად სურათი გადავიღოთ?“

უარი რატომ უნდა გვეთქვა. შემდეგ გოგონებმა გვითხრეს, რომ ისინი ცხოვრობენ კუმამოტოში, ქალაქში, სადაც დაიბადა იასუჰირო იამასიტა და ამის გამო ბედნიერები არიან. იამასიტა-სანი სპორტსმენისა და ვაჟკაცობის სიმბოლოაო და რა კარგია, ასეთ კაცთან ურთიერთობის საშუალება რომ გაქვთო. ბოლოს გვთხოვეს, იქნებ იამასიტა-სანს მოკითხვა გადასცეთ კუმამოტოელი გოგონებისგან და უთხრათ, რომ მის მშობლიურ ქალაქში ივი ყველას ძალიან უყვარსო.

დამშვიდობების შემდეგ იაპონელებს თითქოს რაღაც გაახსენდათო და გვკითხეს, საიდან ხართო. ჩვენი ქვეყნის არსებობა კი იცოდნენ, მაგრამ ჩვენი ძიუდოისტების სიძლიერე — არა. გოგონებმა ჩოჩიშვილის გვარი ჩაიწერეს და მომავალ წელს „ნიპონ ბუდოკანში“ შენს საქომაგოდ აუცილებლად მოვალთო.

ცხადია, თანამემამულეთა დანაბარები იამასიტასთვის უნდა გვეთქვა. შეგახსენებთ, ვინ არის იასუჰირო იამასიტა: ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, ყველა დროის და ხალხის სწორუპოვარი ფალავანი, ერთადერთი ძიუდოისტი (და, ალბათ სპორტსმენი), რომელიც არცერთხელ დამარცხებულა არც საერთაშორისო და არც საშინაო ასპარეზზე. ამჟამად იამასიტა იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

უნდა გენახათ, როგორ ბავშვივით გაიხარა ამ ბუმბერაზმა სპორტსმენმა და პიროვნებამ, ეიფელის კოშკზე მომხდარი ამბავი რომ მოვუყევით. ყოველი წინადადების შემდეგ აქეთ მადლობას გვიხდიდა და ბოლოს თვალებზე სიხარულის ცრემლიც მოადგა. გვითხრა, სხვა თუ არაფერი, ორი ქვეყნის შვილები ერთმანეთს ხომ გაგაცანით, ჩემთვის ეს დიდი ბედნიერებააო. მე კი, იამასიტას მეათედი რომ არა აქვთ გაკეთებული, ისეთი სპორტსმენები წარმომიდგნენ თვალწინ, რომლებიც ამ ამბავსაც უემოციოდ მიიღებდნენ და, აბა რა, ეგრეც უნდა იყოსო — იტყოდნენ.

სამწუხაროდ, ამგვარნი ბევრნი არიან, მაგრამ, ვეჭვობ, ხალხს ისინი ისევე უყვარდეს, როგორც დიდი იამასიტა.

ამ ევროპული ტურნეს დროს იამასიტასთან მხოლოდ სენტიმენტალური საუბრები როდი გვქონდა. იამასიტამ გამოთქვა სურვილი, რომ ივლისში თბილისში მოეწყოს იაპონიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ერთობლივი ათდღიანი შეკრება. თქვენთან პირველ და მეორე შემადგენლობას ჩამოვიყვანო — შინოჰარას, ტ. ნომურას, სამივე ძმა ნაკამურას, მაკიშის... (თითოეული მათგანი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ან პრიზიორია). დელეგაციას მე ვუხელმძღვანელებ, მწვრთნელებად კი ოკადას და ჰოსოკავას (ორივე მსოფლიოს ჩემპიონია) ვახლებო. ამაზე მეტი რაღა გინდა! არაფერი, ჰოდა, ჩვენც დავთანხმდით. ერთი სიტყვით, ივლისში იამასიტა-სანი თბილისში სულ ნარჩევ-ნარჩევ ბიჭებს ჩამოგვიყვანს.

## „ასიანები“

არა, ძიუდოში ჯერ არ შექმნილა „ასიანთა კლუბი“ ან რამე მსგავსი. უბრალოდ, იმ ხალხზე მსურს გითხრათ ორიოდ სიტყვა, ვინც 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ასპარეზობს. დღევანდელ ძიუდოში ეს წონა ყველაზე ძლიერია, რადგან აქ ყველაზე მეტია ისეთი ფალავანი, რომელთაგანაც არავის გაუკვირდება მსოფლიოს თუ ოლიმპიური ჩემპიონობა. თავად განსაჯეთ: პოლონელი პაველ ნასტულა, ბრაზილიელი აურელიო მიგელი, ფრანგები გისლენ ლემერი და სტეფან ტრენო, ჰოლანდიელი ბენ სონემანსი, პორტუგალიელი პედრო სოარეში, კორეელი კიმ მინ სუ, რუმინელი რადუ ივანი, ქართველი ივერი ჯიქურაული...როგორია! ამ ბიჭებს არც ტიტული აკლიათ, არც შრომისმოყვარეობა და არც ნიჭი. ერთი რამ კი მართლაც ყველას საერთო აქვს — ზრდილობა და თავდაჭერა. თითქოს ერთ თარგზე მოუჭრიათო — ყველა „ასიანი“ დიდ პატივს სცემს თავის მეტოქეს და მთლად წიხლი რომ ურტყა, აუგს ვერავისზე დააცდენინებ. თუნდაც ნასტულა ავიღოთ. ხუთი წელიწადი ხდება, რაც შეხვედრა არ წაუგია, მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ სადღეისოდ უძლიერესია (და არა მარტო თავის წონაში). სცადეთ ერთი და, ათქმევინეთ, რომ მე სხვებზე გაცილებით ძლიერი ვარო. არაფერი გამოგივათ. მე ორი წელიწადია ვმეგობრობ პაველთან და მისგან სულ ეს მესმის — ამ მომენტისთვის მე უკეთ აღმოჩნდი მომზადებულიო. ასე იყო ევროპის ჩემპიონატის, ოლიმპიადის და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ. მახსოვს, ერთხელ ვკითხე, შენს წონაში მეორე ნომერი ვინ არის-მეთქი. ნასტულამ ზემოჩამოთვლილი ხალხი დაასახელა, თავის თავიც მიაყოლა და თქვა: ესენი ყველანი პირველები არიან, მთავარია, შეჯიბრების დღეს ვინ უკეთ შეხვდება და ღმერთი ვის გადმოხედავს მოწყალე თვალითო. რა ჰქვია ამას? თავმდაბლობა? მეტოქის პატივისცემა? იქნებ, სულაც, თვალთმაქცობა? არ ვიცი. ისე კი, პაველმა მიუნხენში მითხრა: ვერ გამიგია იმ ხალხის, თავის კონკურენტებს რომ ლანძღავენ და არაფრად მიაჩნიათ. განა ასეთთა ჩემპიონობა დასაფასებელია, მათ ხომ არაფრისმაქნისებთან (მათივე თქმით) უწევთ შეხვედრებიო.

აგერ, სოარეში ავიღოთ. პარიზის ტურნირის ფინალში ხუთ კაცს ეჭიდავებოდა: ფრანგ ლემერს, სამ მსაჯს და მაყურებელს. მაგრად გაამწარეს, მაგრამ მაინც მოიგო. შეხვედრის შემდეგ ჯერ ლემერს შეუქო გარჯა, შემდეგ კი მაყურებელს გადაუხადა მადლობა.

მოკლედ, ეს „ასიანები“ მართლაც სხვანაირი ხალხია, მაგრამ ერთ-ერთ მათგანზე ცალკე შევჩერდები. ეს კაცი ამას ნამდვილად იმსახურებს.

## აუ — რელიო: გზა ხუბულურიდან ჯიქურაულამდე

ბრაზილიელი აურელიო მიგელი დიდი ძიუდოისტია. სეულის ოლიმპიადის ჩემპიონია, ატლანტის — ბრინჯაოს პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებულ მედლებს ხომ თვლა არა აქვს. 1997 წელს პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე იყო — ფინალი მსაჯთა გადაწყვეტილებით წააგო ნასტულასთან. საოცარია, მაგრამ ამ 34 წლის კაცის ხელებში ქართული ძიუდოს დიდმა პერიოდმა გაიარა. ახლავე აგიხსნით ყველაფერს. 1983 წელს, ჯერ კიდევ უწვერული მიგელი ტოკიოში, „შორიკის თასის“ პირველ გათამაშებაში შეხვდა სახელოვან თემურ ხუბულურს. პარიზში, ლინცსა და მიუნხენში კი საკონტროლო შეხვედრებში ერკინებოდა ივერი ჯიქურაულს. რამდენმა თაობამ ჩაიარა ხუბულურსა და ჯიქურაულს შორის? მიგელს უჭიდავია კურტანიძესთან, ხახალეიშვილთან, დავითაშვილთან...უფრო ხშირად გამარჯვებული გამოსულა.

მიგელი დღესაც ვარჯიშობს და სიდნეის ოლიმპიადისთვის ემზადება. იმ 21 დღის განმავლობაში, რაც ჩვენმა გუნდმა ევროპაში დაჰყო, საქართველოს და ბრაზილიის ნაკრებები სულ ერთმანეთის მოპირდაპირე ოთახებში ცხოვრობდნენ. ასეთ სიტუაციაში, ძალაუნებურად, ქვასთან მოგიწევს საერთო ენის გამონახვა, მით უმეტეს კი აურელიოსთან, ამ დინჯ, ზრდილ და გაწონასწორებულ კაცთან. ამ ხნის განმავლობაში არ გამიგია მიგელის მიერ თანაგუნდელებისთვის ნათქვამი არათუ უხეში, ხმამაღალი სიტყვაც კი. არადა, ასეთ მოჭიდავეს უფლება აქვს, ნაკრებში პირველობა დაიჩემოს და ყველაფერი თავის ჭკუაზე ატრიალოს. მსგავსი არაფერი ყოფილა. ის კი არა, აურელიო იქით ეკითხებოდა ხოლმე თანაგუნდელებს (რომელთაგან ზოგიერთი შვილად ეკუთვნის), ყველას აზრს მოისმენდა და გადაწყვეტილებაც ისე გამოჰქონდა.

ინტერვიუ აურელიო მიგელთან ჩვეულებრივად (ანუ შევხვდით და ვისაუბრეთ) არ შემდგარა. რასაც ქვემოს წაიკითხავთ, ეს გახლავთ რამდენიმე ამონარიდი ჩვენი ხანგრძლივი საუბრებიდან, რომლებიც ეწყობოდა დარბაზში, სასადილოში, ჭიქა ჩაის დროს და ა.შ. და რომლებშიც ვეხებოდით მრავალ თემას — ოჯახური ყოფით დაწყებული და რონალდოსა და რომარიოს შედარებითი დახასიათებით დამთავრებული.

— იცი, რა იყო ტოკიოში — ჰყვება მიგელი და სახე ებადრება. 18 წლის ბავშვი ვიყავი და უცებ — თემურ ხუბულურს უნდა ვეჭიდავო. იგი უკვე დიდი ჩემპიონი იყო და სპორტიდან მიდიოდა. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ის შეხვედრა მოვიგე. წარმოგიდგენია, რა დამემართებოდა! კურტანიძესთანაც მიჭიდავია. თუ არ ვცდები, ერთხელ მან მომიგო, ერთხელ — მე. კარგი ბიჭია კობა, საერთოდ, მე მხოლოდ კარგ ქართველებს ვიცნობ.

**— თუკი ასეა, ჩამოდი თბილისის საერთაშორისო ტურნირზე...**

— ჩამოვალ, ოღონდ 2000 წელს. მანამდე — არა.

**— ვითომ რატომ?**

— მისმინე. თბილისში 1988 წელს ვიჭიდავე. ოლიმპიადა სექტემბერში იყო და სეულში ჩემპიონი გავხდი. სიდნეიშიც სექტემბერშია ოლიმპიადა. მანამდე ვიჭიდავებ თქვენს ტურნირს და იქნებ კიდევ გავხდე ოლიმპიური ჩემპიონი.

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ სიდნეიში უკვე 37 წლის იქნები...**

— ასაკს თითქმის ვერ ვგრძნობ. ჯანი ისევ მაქვს, მოქნილობა არ დამიკარგავს. ერთია, წონის დაკლება შედარებით მიჭირს. წონითი კატეგორიების შეცვლამ მდგომარეობა შემიმსუბუქა — 95 კგ-ში 15-16 კილოგრამს ვიკლებდი, ახლა მხოლოდ 10 უნდა დავიკლო.

**— ოჯახში არ გეუბნებიან, გეყოფა ჭიდაობაო?**

— არა. ჩემი 5 წლის გოგონა და 3 წლის ვაჟი, სულ შენ უნდა მოიგოო, მეუბნებიან. მეუღლეც ხელს მიწყობს, რომ მაქსიმალურად კარგად ვივარჯიშო და მოვემზადო.

**— ძიუდოს გარდა სხვა საქმე თუ გაქვს?**

— ისეთი სამსახური არა მაქვს, დილას რომ მივიდე, მთელი დღე ოფისში ვიჯდე და მერე წამოვიდე. ვარ ძიუდოს ინვენტარის იაპონური ფირმის „მიცუბოშის“ წარმომადგენელი ბრაზილიაში.

**— მთავრობა არ გეხმარება?**

— არა. ბრაზილიაში ურთიერთობის სხვაგვარი ფორმებია. მე მყავს სპონსორი, ბრაზილიის ბანკი, რომელიც კარგ ფულს მიხდის. ამას პრემიალურებიც ემატება.

**— მოკლედ, კარგად ცხოვრობ...**

— ჩვეულებრივ ბრაზილიელზე კარგად, რიგით ბრაზილიელ ფეხბურთელზე ცუდად. რონალდოზე და ვარსკვლავებზე არ ვლაპარაკობ. ხანდახან დავფიქრდები ხოლმე, პელეს ახლა რომ ეთამაშა, ნეტავ რამდენს მისცემდნენ?

**— შენი ქვეყნის სპორტის მინისტრის ამბავს მე მეკითხები?**

— სხვათა შორის, პელე კარგი მინისტრია. უნარიანი ხელმძღვანელია. ჩვენთვისაც აკეთებს სასიკეთო საქმეებს, მაგრამ ბრაზილიაში ფეხბურთია ნომერი პირველი და ნომერი მეათე სპორტიც. მთელი ყურადღება იქით კენაა.

**— ახალგაზრდა მეტოქეები არ გიტევენ? ადგილის დაკარგვის არ გეშინია?**

— ნაკრებში ადგილის დაკარგვა სულაც არ მინდა, მაგრამ ღირსეული შემცვლელი რომ გამომიჩნდეს, ძალიან გამიხარდება. რა დასამალია და, ბრაზილიურ ძიუდოში ავტორიტეტი მაქვს. ჩემი სიტყვა რაღაცას ნიშნავს. ადრე ნაკრებში სახელითაც ვხვდებოდი. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. მართალი რომ გითხრა, სულ მუშტით გავიტანე ნაკრების კანდიდატთა შერჩევის ახლანდელი წესი. თითქოს ჩემთვის სასიკეთო არ უნდა იყოს, მაგრამ ასე სჯობს.

იანვარში ვატარებთ საერთო-ბრაზილიურ შესარჩევ ტურნირს. აქ მონაწილეობს ყველა, მეც, ოლიმპიური ჩემპიონი კარდოზუც და საერთოდ ყველა, ვისაც ნაკრებში მოხვედრა სურს. წონაში საუკეთესო ექვსეული გაზაფხულზე ერთთვიან შეკრებაზე მიდის. შემდეგ ეწყობა მეორე შესარჩევი ეტაპი: ექვსი კაცი ორ ჯგუფად იყოფა და წრიულად ჭიდაობს. თითო ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გამოდის. ნახევარფინალი სამ მოგებამდე მიმდინარეობს. ფინალში გასულები ხუთ მოგებამდე ერკინებიან ერთმანეთს. გამარჯვებული კი ბრაზილიის ნაკრებში ხვდება და ან ამერიკის, ან მსოფლიოს ჩემპიონატზე მიემგზავრება. ვფიქრობ, ასე უფრო სამართლიანია.

**— ჰო, მაგრამ, შენ ხომ აშკარად ძლიერი ხარ სხვებზე?**

— იმ სხვას შანსი რატომ უნდა წავართვა. ეგებ მიგებს და ის უფრო ღირსია ნაკრებში რომ მოხვდეს.

**— ახლა გულახდილად მითხარი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მსაჯები უსამართლოდ მოგექცნენ თუ არა. მათ ხომ ნასტულას მიაკუთვნეს გამარჯვება.**

— ნასტულა დიდი და ძალიან ჭკვიანი ძიუდოისტია. ოლიმპიადაზე ვაზარის ვუგებდი. დღემდე არ ვიცი, რა მომივიდა. 15 წამი რჩებოდა და ამოსმულის გაკეთება გადავწყვიტე. ნასტულასთან ეს როგორ შეიძლებოდა? ჩამისაფრდა და ვაზარიზე დამაგდო, წინაც გავიდა და მომიგო...არაჩვეულებრივი ნებისყოფა აქვს.

**— კი, მაგრამ, მე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე გეკითხები...**

— შენ უყურე იმ ფინალს?

**— ვუყურე...**

— ჰოდა, ვისაც გინდა, იმას მიაკუთვნე გამარჯვება. ფაქტი კი ის არის, რომ ნასტულა ჩემპიონია და მაგარი ძიუდოისტია...

...პაველ ნასტულასთან მეგობრობის მიუხედავად, იმ შეხვედრაში გამარჯვებას მიგელს მივაკუთვნებდი. ხოლო ზემოთ მოყვანილი სიტყვები აურელიოს ჭეშმარიტ სპორტსმენობას და ვაჟკაცობას ადასტურებს.

**მერაბ რატიშვილი**
**საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი**
**პარიზი-ლინცი-მიუნხენი-თბილისი**

# მთელი არაფერი შერჩა

ინდიან უელსი. ევერტის თასი.
ტარდება ჰარდზე.
საპრიზო 1 250 000 $

**მეოთხედფინალი:** შტეფი გრაფი (3, გერმანია) — ნატაშა ზვერევა (15, ბელარუსი) 6:3, 6:0; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — სანდრა საკიჩი (აშშ) 6:1, 7:5; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — კონჩიტა მარტინესი (5, ესპანეთი) 6:1, 7:5; ვინუს უილიამსი (8, აშშ) — დომინიკ ვან რუსტი (10, ბელგია) 6:4, 6:1.

**ნახევარფინალი:** ლინდსი დევენპორტი — შტეფი გრაფი 6:4, 4:6, 4:2 — ტრავმა.

დევენპორტთან მატჩის შემდეგ შტეფი გრაფს რომ ჰკითხეს, სხეულის დაუშავებელი ნაწილი თუ შეგრჩათო, დიდმა გერმანელმა უპასუხა, არ ვიცი, ალბათ, ჯერ ყველაფერი არ მიტკენია და მეც ეგ მაშინებსო. ინდიან უელსში ბრწყინვალედ მოთამაშე გრაფმა, რომელმაც წინა სამ შეხვედრაში მხოლოდ 8 გეიმი წააგო, ლინდსი დევენპორტთან მატჩის მესამე სეტში მორიგი, ამჯერად ორთავა კუნთის ტრავმა გაიხერხა და რვათვიანი შესვენების შემდეგ ჩოგბურთში ძლივს დაბრუნებული მინიმუმ ორი კვირით ისევ ჩამოშორდება კორტებს.

ინდიან უელსი. აშშ. ჩემპიონთა თასი. ტარდება ჰარდზე.
საპრიზო 2 500 000 $

მიუხედავად იმისა, რომ სისხამი დილა იყო, მაყურებელთა ორი ფავორიტის — ანდრე აგასისა და პატრიკ რაფტერის მატჩზე ტრიბუნები პირთამდე აივსო და ამათაც სავსებით გაამართლეს საინტერესო თამაშის სანახავად მოსულთა იმედები. ულამაზესი გათამაშებებით მდიდარ შეხვედრაში აგასის უმძლავრესი შემოვლებებიც იყო და აზრაგნებიც, რაფტერის აკრობატული ნახტომებიც და ბადესთან დახვეწილი ტექნიკაც, უკანა ხაზზე დუელიც და ზუსტი მიღება-მოწოდებებიც. საბოლოოდ მატჩი არაჩვეულებრივ ფორმაში მყოფმა ამერიკელმა მოიგო 6:3, 3:6, 6:2, თუმცა გამარჯვებას რაფტერიც არანაკლებ იმსახურებდა. ბიორკმანს (5), კაფელნიკოვს (4), ბრუგერას (14) და პიოლინს (15), რომლებიც ასპარეზობას ადრევე გამოეთიშნენ, მერვედფინალში თვით მსოფლიოს პირველი ჩოგანი — პიტ სამპრასიც მიჰყვა, რომელსაც ექს-პირველმა, ავსტრიელმა ტომას მუსტერმა სძლია 7:5, 6:3.

**მერვედფინალი:** ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:2, 7:6 (7:2), პეტერ კორდა (2, ჩეხეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 7:6 (8:6), 6:2; ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) — ჯიმ კურიე (აშშ) 6:2, 6:4; მარსელო რიოსი (7, ჩილე) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 6:3; გრეგ რუზეცკი (6, ინგლისი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:3, 7:5; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:1, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**

# აგასიმ შტეფი გრაფი ინატრა

## ანდრე აგასის ინტერვიუ "TENNIS WEEKLY"-დან



**— ანდრე, სექტემბერში ამერიკის ღია პირველობიდან გამოგდებით პატრიკ რაფტერმა გარკვეულწილად შეაყოვნა შენი ჩოგბურთში დაბრუნება. რაიმე ისეთი თუ გასწავლა იმ მატჩმა, რაც დღეს გამოგადგა?**

— კი, მიმახვედრა, რომ ათამდე კილოგრამის მოკლება მჭირდებოდა (იცინის).

**— რამდენად უკეთ თამაშობ იმ შეხვედრასთან შედარებით?**

— ამის ზუსტად გამოანგარიშება ცოტა ძნელია, მაგრამ, ალბათ, ყველაზე ცოტა, ორასი-სამასი პროცენტით მაინც გავაუმჯობესე თამაში.

**— წინასწარ ადგენ ხოლმე სტრატეგიას თითოეულ ოპონენტთან სათამაშოდ? ვიდეოს ხომ არ იყენებ?**

— მეტოქეთა უმეტესობას ისედაც ვიცნობ, მათთან ადრეც მიპაექრია. რაფტერი და მე შვიდჯერ თუ რვაჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს, ასე რომ, ვერ ვიტყვი, რომ ერთიმეორის თამაშის დამატებითი ნახვა იყოს საჭირო.

**— ანდრე, შურისძიებაზე თუ ფიქრობდი რაფტერთან მატჩის დროს?**

— მართალია, მან ბოლო ორი შეხვედრა მომიგო, მაგრამ მე უფრო იმის ჩვენება მსურდა, როგორ ვუმატე თამაშს, ამისთვის კი იმ ჩოგბურთელის დამარცხებაზე უკეთესი არაფერია, ვინც აქამდე გიგებდა. ისე, გარკვეულწილად მაინც შურისძიება გამოვიდა.

**— ამ ბოლო ხანებში მოწოდებაზე ხომ არ ვარჯიშობდი? ამ მხრივ უფრო უკეთ გამოიყურები, ვიდრე 1995-ში.**

— არა, განსაკუთრებული აქცენტი ამაზე არ გამიკეთებია, მაგრამ თქმა არ უნდა, რომ მოწოდებაზე იოლი ქულების მოპოვებას არაფერი სჯობს. ჯერჯერობით გარკვეული შეზღუდვები მაინც მაწუხებს, მაგალითად, ტრაექტორია არ მივარგა. იმას ვგულისხმობ, რომ, რა თქმა უნდა, შემიძლია 210 კმ-სთ-ით მივაწოდო, მაგრამ მაშინ კვადრატში ვერ ვაგდებ (იცინის). თანაც ჩემს ჩოგანზე სიმები ისეა დაჭიმული, უკანა ხაზზე თამაშისთვის, მიღებისთვის რომ იყოს გამოსადეგი, მისით 230-ით ის ველური ინგლისელი რუზეცკიც კი ვერ მოაწვდის.

**— დღეს 198-ით დაარტყი, რეკორდი რამდენია?**

— მგონი, 205.

**— შეიძლება, ამ კითხვას უკვე უპასუხე ავსტრალიაში ან სხვაგან, მაგრამ მაინც გკითხავ: შარშან, როცა ცუდად ასპარეზობდი, თამაშის სურვილი არ გაგქრობია?**

— იცი, როდესაც გარკვეულ დონეზე თამაშს, მოგებებს ხარ ჩვეული და უეცრად წაგებას იწყებ. ზოგჯერ იმით პასუხობ, რომ საკმარისად აღარ ვარჯიშობ, რითაც ერთ გაჭირვებას მეორეს უმატებ. შეიძლება იქამდეც მიხვიდე, რომ ყოველი შემდეგი მატჩი წინაზე უარესად ითამაშო, ეს კი ყველაფრის სურვილს გიკლავს. ერთი შეხვედრის მოგება საქმეს ვერ შველის, რადგან ჩემთვის წარმატებაზე საუბარი ტურნირზე გამარჯვებას ნიშნავს. ახლა კი ყველაფერი პირიქით ხდება. თამაში დიდ სიამოვნებას მანიჭებს, რადგან თითოეული მატჩის, თითოეული ტურნირის შემდეგ სულ უფრო ვუმატებ. ეს დიდი სტიმულია.

**— ანდრე, რას ნიშნავს შენთვის მაყურებელთა მხარდაჭერა?**

— გულახდილად რომ ვთქვა, იმდენად მსურდა ჩოგბურთში დაბრუნება, რომ უამისოდაც ვითამაშებდი. მაგრამ როდესაც გრძნობ, რომ ხალხს შენზე გული შესტკივა, ამას არაფერი სჯობს. ყველა სპორტსმენს ვუსურვებდი ასეთ მხარდაჭერას, ეს ხომ ფრთებს გასხამს და გაიძულებს, უკეთ ითამაშო.

**— ინდიან უელსში შენ ყოველთვის იყავი მაყურებელთა ფავორიტი, მაგრამ ახლა კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას ხომ არ გრძნობ? მე ვიცი, რომ აქ ყველა გისურვებს გამარჯვებას.**

— ეს მხარდაჭერა მთელი სეზონის განმავლობაში მდევს და არა მარტო ინდიან უელსში. როდესაც მაყურებელი ხედავს, რომ მართლაც ბევრი იშრომე უფსკრულისგან თავის დასაღწევად და მათთვის სიამოვნების მისანიჭებლად, ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ ახლა ყველაზე მეტად ის გამოწვევები განმაწყობს საბრძოლოდ, რომელთაგან ბევრი ჯერაც წინაა.

**— ახლა რა არის შენი მიზანი?**

— ჰარდისა და თიხნარის სეზონებში ისე ვითამაშო, რომ დიდი ხლემის ტურნირის მოგების რეალური პრეტენდენტი გავხდე.

**— არ გინდა, სლემის ტურნირი ახლავე ტარდებოდეს, შენ ხომ საკუთარ ძალებში ძალიან ხარ დარწმუნებული?**

— არა, თვითრწმენა მაშინ უფრო შემემატება, სლემის ტურნირები რომ მოახლოვდება. მე ჯერ კიდევ ვუმატებ.

**— ნუთუ არ გსიამოვნებს, ის სკეპტიკოსები რომ გააჩუმე, „ანდრე ვერასდროს დაბრუნდებაო", რომ გაიძახოდნენ?**

— ეს გულთან ახლოს არც მიმიტანია, მე ხომ საკუთარი სურვილით დავბრუნდი და არა ვინმესთვის რაიმეს დამტკიცების მიზნით.

**— მნიშვნელოვანი მატჩისთვის როგორ ემზადები? რაიმე განსაკუთრებული რიტუალი ხომ არა გაქვს?**

— არა, უბრალოდ, კარგად ვვარჯიშობ და ცოტას ვჭამ.

**— რას?**

— მოსანელებლად იოლ კერძს, მაგალითად, პიურეს.

**— ფორმის დასაბრუნებლად რას აკეთებდი?**

— ბევრს ვთამაშობდი, ვვარჯიშობდი და დანა-ჩანგალს ნაკლებად ვხმარობდი.

**— ვარჯიშის დეტალებს ხომ არ დააკონკრეტებდი?**

— ასე საათნახევარს კორტზე ვატარებდი დარტყმების დასამუშავებლად, ორიოდე საათს კი დარბაზში, ტრენაჟორებთან. ამ უკანასკნელს მერე და მერე მეტი დრო დავუთმე, რადგან თამაში რომ გავაუმჯობესე, ფიზიკურად მაინც სავალალო დღეში ვიყავი.

**— ამჟამად რაიმე გაწუხებს?**

— მხოლოდ ის, რომ მეუღლესთან ხშირად მიხდება განშორება.

**— დაოჯახებული კაცის ცხოვრებაზე რას იტყვი?**

— შესანიშნავია.

**— ბრუკი (*შილდსი, აგასის მეუღლე*) უქმეებზე შენი თამაშის სანახავად არ ჩამოვა?**

— არ ვიცი, მაგრამ გპირდები, რომ შენ პირველი ...არა, მეორე იქნები, ვინც ამას შეიტყობს (იცინის). იმ მე მეტყვის, მე — შენ.

**— გმადლობთ. რომელ ჩოგბურთელთან შეხვედრა გსურს ყველაზე მეტად?**

— მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით მოთამაშე შტეფი გრაფთან.

**— კაცებიდან?**

— პიტ სამპრასთან. ისე, თუ ისიც მაღალ ქუსლებზე იქნება, წინააღმდეგი არ ვიქნები (იცინის).

**— მოდი, შტეფის დავუბრუნდეთ. ორივენი მსგავს სიტუაციაში იმყოფებით, ისიც და შენც დიდ ჩოგბურთს უბრუნდებით.**

— გასულ კვირაში მართლაც ბევრი გვქონდა საერთო — 49-ენი ვიყავით კლასიფიკაციაში. შტეფი დიდი სპორტსმენია, რომელმაც თავისი საქმე უზადოდ იცის. მთავარი ისაა, მართლა უნდა თუ არა მას დაბრუნება. ძალიან მინდოდა მისი თამაშის ნახვა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

**— დაახასიათე შენი ახლანდელი თამაში სამი სიტყვით.**

— რატომ მაინცდამაინც სამით?

**— თავში რაც მოგივა, ის თქვი.**

— ძალიან, ძალიან კარგი.

**— რას აკეთებ ხანგრძლივი გადაფრენების დროს?**

— ესე იგი, თვითმფრინავით მგზავრობისას?

**— დიახ.**

— საიდან მოგდით თავში ასეთი კითხვები?

**— ხან მე ვცდილობ, ხანაც ჩემი ბოსი.**

— მძინავს, ვჭამ, ჩოგბურთს ნამდვილად არ ვთამაშობ.

**— კითხვებიც ამოიწურა.**

— მაგისთვის დიდი მადლობა.



# მაკლარენს საქმეს გაურჩევენ

სეზონის პირველ, ავსტრალიურ რბოლაში ჰაკინენის გამარჯვებას სკანდალი მოჰყვა. საქმე ის გახლავთ, რომ „მაკლარენის" პილოტებმა რბოლამდე მოილაპარაკეს, ვინც პირველი შევა მოსახვევში, საბოლოო პირველობაც იმას დარჩესო. რბოლის დროს მომსახურე პერსონალის შეცდომის გამო ლიდერ ჰაკინენს (სწორედ ის შევიდა პირველ მოსახვევში პირველი) ბოქსებში დამატებით შევლამ მოუწია და პირველ პოზიციაზე კულჰარდი აღმოჩნდა. მას დაუყოვნებლივ აცნობეს, შეგვეშალა, ჰაკინენი ჩვენ ვაცდუნეთო და მანაც ფინიშამდე ორი წრით ადრე, როგორც შეთანხმებულები იყვნენ, პირველობა ფინელს დაუთმო. თანაც ამ დროს ეს წყვილი უახლოეს მდევარს ერთი წრით უსწრებდა.



**სკანდალური ჯენტლმენობა: კულჰარდმა ჰაკინენი გაატარა**

ამ ფაქტის გამო მელბურნული რბოლის ორგანიზატორებმა ფიას შესჩივლეს, პილოტები კი შეთანხმდნენ და ეს მათ გუნდის ინტერესების გამო გააკეთეს, მაგრამ ამნაირმა შემთხვევებმა შესაძლოა მაყურებელს რბოლებზე გული აუყაროსო. ორგანიზატორებს პრესამაც კვერი დაუკრა და რბოლას კომიკურიც კი უწოდა.

ამ ყოველივეს ფია სასწრაფოდ გამოეხმაურა და განაცხადა, გუნდების ხელმძღვანელთა საქმეა, რომელ პილოტს მიენიჭება უპირატესობა და რომელს არა, ეს გუნდური ტაქტიკის ნაწილია და რაც ავტოსპორტი არსებობს, მას მერე ასეაო. მოკლედ, გუნდების შინაურ საქმეში ჩარევის უფლება არ გვაქვს და ვერც რაიმე სანქციებს დავაკისრებთ „მაკლარენსო". თუმცა, ისიც ითქვა, ამ საკითხს 18 მარტს მოტოსპორტის საერთაშორისო საბჭო განიხილავსო.

ავსტრალიის დიდი პრიზის კორპორაციის თავმჯდომარე რონ უოლკერი კი ჯიუტად იმეორებს, გუნდების ხელმძღვანელებს უფლება არა აქვთ, გადაწყვიტონ გამარჯვებულის ვინაობა და ფიამ აქ თავისი სიტყვა უნდა თქვასო. •

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ლონდონელი ბუკმეკერებიც, რომლებმაც უამრავი საპროტესტო წერილი მიიღეს იმათგან, ვინც ფსონს ჩავიდა კულჰარდის გამარჯვებაზე. ბუკმეკერთა თავკაცმა უილიამ ჰილმა განაცხადა, აბა, ერთი იმ ხალხს დაეკითხეთ, ვინც თავის რჩეულად კულჰარდი დაასახელა და ნახავთ, როგორი უკმაყოფილონი არიან. მაგრამ მათ პროტესტით „მაკლარენს" უნდა მიმართონ, რადგან ჩვენ ფსონების მიღებისას რასაკვირველია არ ვიცოდით, რაზე შეთანხმდნენ პილოტები, იმ ხალხმა კი, ვინც ფსონს ჩამოდის, ზუსტად უნდა იცოდეს, რაზე დებს ფულსო.

ამ განცხადებას ბუკმეკერებმა საქმეც მოაყოლეს — ისინი მომავალში ფსონებს მიიღებენ არა მარტო ცალკეული პილოტების სახელზე, არამედ გუნდებზეც. უკვე გამოცხადდა კიდეც, რომ ბრაზილიის დიდ პრიზზე ჰაკინენისა და კულჰარდის შანსები თანაბრად — 13-8 არის შეფასებული, „მაკლარენისა" — 3-1, „ფერარის" — 9-2, „უილიამსის" — 3-1.

# ფერარი: ზოგი რამ წესრიგში მერ არის

წლევანდელი სეზონის პირველ რბოლაში „მაკლარენის" პილოტებმა აშკარად დაჩაგრეს მეტოქეები. არადა, მანამდე შეჯიბრების ფავორიტად მიხაელ შუმახერი და „ფერარი" ითვლებოდნენ. ცხადია, დაგაინტერესებთ ამ გუნდის წარმომადგენელთა აზრი რბოლამდეც და რბოლის შემდეგაც.

კვალიფიკაციაში შუმიმ მე-3 სასტარტო ადგილი მოიპოვა, ირვინი კი მერვე გახლდათ და ფერარელებს სანერვიულო თითქოს არაფერი ჰქონდათ. ორივე ბოლიდი მშვენივრად „დარბოდა", თუმცა მიხაელი პირველ რიგში მაინც ვერ „გამოიჭიმა". მაგრამ, ჩვენი პილოტების სასტარტო პოზიციები გამარჯვებაზე ფიქრის საშუალებას გვაძლევსო — განაცხადა „ფერარის" სპორტულმა შეფმა ჟან ტოდტმა.



**შუმი პირველ რბოლაში თამაშგარეთ დარჩა**

პილოტებიც იმედიანად იყვნენ.

შუმახერი: „მე ველოდი, რომ კვალიფიკაციაში პირველ სამეულში მოვხვდებოდი. მოხარული ვარ, რომ ზამთრის განმავლობაში შევძელით ბოლიდის კარგად მომზადება. ტესტებმა დაგვანახა, რომ „მაკლარენი" ძალიან სწრაფია, ასე რომ, მისი პილოტების წარმატება მოსალოდნელიც იყო. ჩვენ ოდნავ ჩამოვრჩებით მათ, რადგან რამდენიმე კომპრომისულ ცვლილებას მივმართეთ მანქანის გამძლეობის გასაუმჯობესებლად, ამიტომაც არ გამიკვირდება, თუ ხვალ ვერ გავიმარჯვებ, თუმცა პოდიუმზე კი ავალ. ჩვენ შეიძლება „მაკლარენის" უკან აღმოვჩნდეთ, მაგრამ სხვებზე წინ კი ვიქნებით".

ირვინი: „მე კვლავ ძრავის პრობლემები მაფიქრებს, მაგრამ მათ რბოლამდე მოვაგვარებთ, ამიტომაც მშვიდად ვარ. ამასთან, მეტოქეთა ნახევარზე წინ გახლავართ და ეს, ცხადია, მაიმედებს".

რბოლა შუმიმ კარგად დაიწყო და მესამე პოზიციასაც ინარჩუნებდა, სანამ ძრავმა არ უმტყუნა და მე-5 წრეზე კოკპიტიდან ბოქსებში არ გადაინაცვლა. ირვინმა კი ფინიშის ხაზი მეოთხემ გადაკვეთა და გუნდს სამი ქულა შესძინა. რბოლის შემდეგ კი ასპარეზობა ასე შეფასდა:

ჟან ტოდტი: „მიხაელს ძრავთან დაკავშირებული პრობლემები გაუჩნდა, თუმცა ამ დროს მესამე იყო და მაკლარენელთა გარდა ყველა დანარჩენ მეტოქეს უსწრებდა. ედიმ კი შესანიშნავად ჩაატარა რბოლა, თუმცა პიტ-სტოპის შემდეგ ადგილიდან დაძვრისას ძრავის მაღალი ბრუნვების გამო დროულად ვერ ჩაირთო პირველი გადაცემა და ამან ალბათ სამეულში მოხვედრის შანსი წაართვა. პირველ რბოლაში გამარჯვებულებთან ესოდენ დიდი ჩამორჩენის შესამცირებლად საკმაო გარჯა მოგვიწევს".

ედი ირვინი: „სტარტის შემდეგ ფრენცენსა და ფიზიკელას შორის გავიჩხირე. გერმანელზე უფრო სწრაფი კი ვიყავი წრეზე, მაგრამ სწორ მონაკვეთებზე „უილიამსი" მასწრებდა. ძალიან კარგია, რომ „უილიამსთან" გაჯიბრების შანსი მომეცა და, ვფიქრობ, ჩვენი ბოლიდი უფრო სწრაფია, არც „მაკლარენთან" ჩამორჩენა მგონია ისეთი დიდი, როგორიც დღეს ჩანს. „გუდიარმა" კი შესანიშნავი საბურავები მოგვიმზადა, რამაც რბოლის ერთი პიტ-სტოპით ჩატარების საშუალება მოგვცა. ბოდიში მინდა მოვუხადო ჰაკინენს, რადგან შევაფერხე იგი. ცისფერ ალმებს კი ვხედავდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ისინი ჩემთვის იყო განკუთვნილი, მე ვერ ვხედავდი „მაკლარენს" სარკეში. კმაყოფილი ვარ ჩემი მანქანით და ვფიქრობ, რომ შეგვიძლია „მაკლარენის" და „უილიამსის" დამარცხება".

მიხაელ შუმახერი: „ჩემი ძრავი მე-5 წრეზე გაფუჭდა, როდესაც ტემპერატურამ უეცრად იმატა. ძნელი სათქმელია, ზუსტად რა მოხდა, ყველაფერს დეტალური შემოწმება გაარკვევს. მანამდე კი ჩვენი დრო წრეზე საკმაოდ კარგი იყო და გული მწყდება, რომ ასე ადრე გამოვეთიშე რბოლას. ჩვენ ბოლიდის მომზადების და საბურავების შერჩევის სწორი სტრატეგია შევარჩიეთ და იმედი მაქვს, რომ ბრაზილიაში უკეთ გამოვალთ, თანაც იმ რბოლისთვის ახლებური საბურავებიც გვექნება".

როგორც ხედავთ, „სკუდერიას" წარმომადგენლები საკმაოდ სალად აფასებენ სიტუაციას და სამომავლოდ ნაკლის გამოსწორების იმედიც აქვთ. შემდეგი რბოლა კი 29 მარტს სან პაულუში მოეწყობა და ვნახავთ, შეძლებენ თუ არა იტალიელები „მაკლარენთან" მიახლოებას.

**ალეკო ჟაგუკიანი**

# მეფე ცოცხალია, გაუმარჯოს მეფეს!

## უეინ გრეცკი სამყაროს გასაოცებლად დაიბადა



**უეინ გრეცკი**

დაიბადა 1961 წლის 26 იანვარს

1979 წლიდან თამაშობს ნჰლ-ში: „ედმონტონ ოილერსი“ (1979-88), „ლოს ანჯელეს კინგსი“ (1988-96), „სენტ ლუის ბლუზი“ (1996)

1996-97 წლების სეზონიდან „ნიუ იორკ რეინჯერსში“ გამოდის

სტენლის თასის ოთხგზის (1984, 1985, 1987, 1988) და ნჰლ-ის 60-ზე მეტი რეკორდის მფლობელი, რომელთა შორისაა: კარიერაში 879 გოლი, 1890 პასი, 2769 ქულა, ერთ სეზონში 92 გოლი, 165 პასი და 215 ქულა, 50 ჰეთ-ტრიკი და ბევრი სხვა.

1997 წლის 7 მარტს გაიტანა მე-1000 გოლი ნჰლ-ში (პლეი-ოფის 122 შაიბის ჩათვლით).

თუკი მავანთათვის ფეხბურთი პელეა, ხოლო კალათბურთი მაიკლ ჯორდანი, ჰოკეის თავგადაკლულ ქომაგთათვის ერთადერთი სახელია უზენაესი — უეინ გრეცკი. სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული ჰოკეისტის რეკორდებსა და მიღწევებზე იმდენი დაწერილა, მათი გამეორება, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია. უეინს უკვე უწოდეს „დიადი“ და ეს მართლაც ასეა — საეჭვოა, უახლოეს ათწლეულში და, საერთოდაც, ვინმემ შეძლოს მის რეკორდებთან მიახლოებაც კი. იმ ოცი წლის განმავლობაში, რაც გრეცკიმ ყინულზე დაჰყო, იგი ყოველთვის პირველი გახლდათ, თუმც მის შთამბეჭდავ კარიერაში ისეც მომხდარა, მისთვის ეჭვის თვალით შეუხედავთ და უსუსურობაც დაუბრალებიათ — სიძნელეების დაძლევა არ ძალგიძსო. ეს ბევრისთვის ნაკლებად ცნობილი ფაქტებია, არადა, ამითაც შეიცნობა გრეცკი, როგორც ჰოკეისტი და პიროვნება.

უეინმა ყმაწვილობაშივე აალაპარაკა ჰოკეის სამყარო. რუსეთიდან ემიგრირებულთა ოჯახში დაბადებულმა (დედა პოლონელი ჰყავს, მამა — ბელარუსი) სამი წლიდან მოირგო ციგურები და იმ დროიდან ჰოკეი, ფაქტობრივად, მისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად იქცა. იგი თითქოს საგანგებოდ მოევლინა ქვეყნიერებას, რათა თავისი საოცარი მიღწევებით გაეოცებინა სპეციალისტები. ჯერ კიდევ 9 წლის იყო, როცა ორ ასაკობრივ ჯგუფში სცადა ძალა (კანადაში ძალიან მაღალ დონეზეა ბავშვთა ჰოკეი და ნებისმიერი ასაკის ბავშვებისთვის ტარდება შეჯიბრებები), და ორივეში საუკეთესო გახლდათ. ალბათ, ბევრისთვის სიურპრიზი იქნება ის ფაქტი, რომ გრეცკიმ თავისი კარიერა მცველის ამპლუაში (!) დაიწყო. თუმცა ეს ხელს არ უშლიდა, ერთ თამაშში 3-4 გოლი გაეტანა და თანატოლთაგან გამორჩეულიყო. ერთხელ მისი გუნდი ბოლო პერიოდში (თანაც ეს ფინალური შეხვედრა იყო) 0:5 აგებდა, მაგრამ უეინმა ზედიზედ ექვსი შეაგდო და თავისიანებს გამარჯვება მოუტანა. სულ ორ საათში კი თავისი მეორე გუნდის ღირსების დასაცავად 60 კილომეტრის გავლა არ დაიზარა. 13 წლის გრეცკიმ ერთ სეზონში 378 (!) შაიბა გაიტანა, მისი თამაშის საცქერლად მონრეალიდან და ტორონტოდანაც კი ჩადიოდნენ ჟურნალისტები.

16 წლის უეინი უკვე ოცწლიანთა გუნდში თამაშობდა, მიუხედავად იმისა, რომ არც სიმაღლით გამოირჩეოდა და ვერც ღონით დაიკვეხნიდა. მაგრამ პირველივე მატჩში აიძულა მეტოქეები, მის გასაჩერებლად საგანგებო ტაქტიკა შეემუშავებინათ. 1978-ში 18 წლის გრეცკი WHA-ს (მსოფლიო ჰოკეის ასოციაცია) გუნდში მიიწვიეს. უნდა ითქვას, რომ მაშინ ნჰლ და მჰა, რომელიც გაცილებით გვიან შეიქმნა, ერთმანეთს ეტოქებოდნენ და მათ შორის არსებული შეთანხმების თანახმად, 20 წლამდე ჰოკეისტები არც ერთ მათგანს არ უნდა აეყვანა. მაგრამ მჰა-მ, რომელიც ვერ უძლებდა ნჰლ-ის კონკურენციას და რამდენიმე წელიწადში შეუერთდა კიდეც მას, არად ჩააგდო ეს მოლაპარაკება და გრეცკი „ედმონტონ ოილერსში“ ჩარიცხა. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ „მენავთობეებმა“, მჰა-ს კიდევ სამ გუნდთან ერთად, ნჰლ-ში ამოყვეს თავი. სხვათა შორის, მჰა-ში 18 წლის ვუნდერკინდი ლეგენდარულ გორდი ჰოუსა (იგი მაშინ 51-ისა გახლდათ) და მის ვაჟიშვილ მარკთან ერთად თამაშობდა სამეულში. დიდი ჰოუ არ მალავდა თავის აღფრთოვანებას უნიჭიერესი ჰოკეისტით, მაგრამ რას იფიქრებდა, რომ ეს გამხდარი ბიჭუნა მის რეკორდებს დაამხობდა და უპირველესის ტიტულსაც ჩამოართმევდა.

გრეცკის პირველ ნაბიჯებზე დიდ ჰოკეიში ერთადერთი სიტყვა თუ ითქმის — განუმეორებელი. პირველ ოთხ სეზონში მან ლიგის ყველა რეკორდი განაახლა, მაგრამ კრიტიკოსებს ქება მაინც ვერ დასტყუა. ერთ-ერთი გაზეთის მიმომხილველი წერდა: „რეგულარულ ჩემპიონატში უეინი ნამდვილად საუკეთესოა, მაგრამ სტენლის თასზე, სადაც ნამდვილი ბრძოლა იწყება, იგი იბნევა და მეტოქის ზეწოლაც ვერ უძლებს“. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ედმონტონი 80-იანების დასაწყისშივე ლიგის დებიუტანტიდან ფავორიტად იქცა, პლეი-ოფში „მენავთობეებს“ არაფერი გამოსდიოდათ. ზედიზედ რამდენიმე გავარდნის შემდეგ, 1983 წელს, პირველივე რაუნდში „ოილერსმა“ ფინალს მიაღწია, მაგრამ იქ აილენდერსმა და მისმა შეუდარებელმა ლიდერმა ბრაიან ტროტიემ გაანადგურა. მომდევნო სეზონში ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში. გრეცკის არც ახლა წაუვიდა თამაში — უაღრესად დაძაბული 3 მატჩის შემდეგ მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი პასი იყო. ცხადია, ყოველივე ეს უარყოფითად იმოქმედებდა უეინზე, მაგრამ იგი ემოციებს არ აჰყოლია. გადამწყვეტი მეოთხე შეხვედრა გამოდგა. მე-2 წუთზე გრეცკი მეკარესთან პირისპირ დარჩა და, როგორც იქნა, ნავსი გატეხა. აქედან დაიწყო — ამის შემდეგ მას ველარავინ შეაჩერებდა, პარტნიორებმაც გამოიღეს ხელი და ედმონტონმა, ბოლოს და ბოლოს, მიაღწია საწადელს.



გრეცკი — ყველასგან გამორჩეული

განგება, შეიძლება ითქვას, ყოველთვის სწყალობდა უეინს, ოცი წლის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ მიიღო მძიმე ტრავმა, მაგრამ მის კარიერას მთლად ულრუბლოსაც ვერ უწოდებ. 1988 წელს, სტენლის თასის ოთხგზის მფლობელ გრეცკის, რომელსაც დიდების მწვერვალიდან თითქოს ვერავინ ჩამოაგდებდა, ბედმა მწარედ დასცინა — ედმონტონის პატრონმა პიტერ პოკლინგტონმა იგი საგანგებოდ გაყიდა, რათა თავისი კრიზისული ფინანსური მდგომარეობა გამოესწორებინა. ამან გრეცკის კარიერის მეორე ნახევარს მოაკლო პირვანდელი ბრწყინვალება. სპორტსმენი, რომელიც მხოლოდ გამარჯვებისთვის ილვწოდა, აღმოჩნდა გუნდში, რომელიც პლეი-ოფში მოხვედრაზე ოცნებასაც კი ვერ ბედავდა. თვით სახელოვანმა მარსელ დიონმა, რომელმაც თითქმის მთელი კარიერა ლოს ანჯელესში გაატარა, ვერ შეძლო, „მეფეები“ ლიდერთა შორის დაემკვიდრებინა. ვერც გრეცკიმ შეასრულა ეს ამოცანა. თუმცა ერთხელ უეინმა თითქმის შეუძლებელი შეძლო — 1993 წელს „კინგს“ თასის ფინალამდე მიაღწევინა. გადამწყვეტ სერიაში კი კარგად ორგანიზებულ და დისციპლინიან მონრეალთან მარტო ვერაფერს გახდა.

გრეცკი ლოს ანჯელესში მეტად ველარ ალზევდა. არადა, ვინ იცის, კიდევ რა სიურპრიზებით განგვაცვიფრებდა, „ოილერსში“ რომ დარჩენილიყო. სხვათა შორის, უეინის წასვლით „მენავთობეთა“ ერაც დამთავრდა, მაგრამ მის მიერ ჩაყრილი საფუძველი იმდენად მტკიცე გამოდგა, რომ 1990 წელს ედმონტონმა კიდევ ერთხელ შეძლო თასის მოპოვება.

და მაინც, გრეცკი დღემდე ამშვენებს ლიგას და 37 წლის ასაკშიც კი ერთ-ერთი საუკეთესოა. მართალია, ძველებურად ველარ გააქვს, მაგრამ მისი საოცარი პასები უმისამართოდ არც ახლა იკარგება. უეინის ფენომენი კვლავაც აღელვებს სპეციალისტებს. მართლაც, ძალიან ძნელია ახსნა, როგორ უძლებს ფიზიკურად არცთუ მძლავრი ჰოკეისტი იმ უმძიმეს ყოველდღიურ ჭიდილს, რასაც ნჰლ ჰქვია — იგი ხომ დიდი სისწრაფით, უძლიერესი დარტყმითა და გამაოგნებელი დრიბლინგით არ გამოირჩევა. ვფიქრობთ, გრეცკის წარმატებების საიდუმლო მისი უდიდესი შრომისმოყვარეობა და წინათგრძნობის საოცარი უნარია. მხოლოდ მას შეუძლია იწინასწარმეტყველოს, სად იქნება შაიბა ამა თუ იმ მომენტში და გამოიცნოს პარტნიორის ადგილმდებარეობა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ უეინი არცთუ მოძრავია, იგი მუდამ უსწრებს მოვლენებს და შაიბაც თითქოს თვითონ პოულობს მას.

ამ ლეგენდარულ სპორტსმენზე საუბარი, ალბათ, ორი მნიშვნელოვანი ფაქტორით უნდა დავასრულოთ.

კარიერის პიკმიღწეულ გრეცკის თურმე ერთი იდეა არ ასვენებდა. სპორტსმენმა, რომელსაც იმ დროისთვის ჩემპიონატში 92 გოლი და 212 ქულა (!) დაეგროვებინა, დაიჩემა, რა იქნება, ყველა მატჩში ერთი ქულა მაინც რომ მოვიპოვოო. ახლა, როცა ყოველდღიური ერთი-ორი „მშრალი“ ანგარიში და დაახლოებით 5-გოლიანი საშუალო შედეგიანობა რეალობად იქცა, ეს ყოვლად წარმოუდგენელია, მაგრამ მაშინაც, 1983-84 წლების სეზონში, ამაზე ვერავინ იფიქრებდა. უეინი კი მაინც აკეთებდა თავის საქმეს, ყოველი თამაშის მიმოხილვა ასე იწყებოდა: „გუშინ გრეცკიმ ქულა მიითვალა“... დადგა 50-ე მატჩის ჯერიც. ვანკუვერში გრეცკი ძალიან არ უყვარდათ, თანაც მასპინძლებმა იცოდნენ, მხარი რომ სტკიოდა და მასზე ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს.



რა იცოდა გორდი ჰოუმ, რომ ეს კნაჭა ბიჭი უპირველესის ტიტულს ჩამოართმევდა

ვერაფერი დააკლეს — უეინმა 2 გოლითა და 2 პასით გაიგრძელა შთამბეჭდავი სერია, თუმცა დაძაბულობამ და ფიზიკურმა ტკივილმა თავისი ქნა და მომდევნო შეხვედრაში ეს სერია შეწყდა. შემდგომ ჰოკეისტი იხსენებდა: „მე ამ სერიის მონა ვიყავი, არც ერთი თამაშის ჩატარება ან გამოტოვება არ შემეძლო აუღელვებლად. ალბათ, ამას ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობდი“.

მეორე მოვლენას კი პირველისგან 15 წელი აშორებს. სულ ახლახან, ნაგანოში, გრეცკიმ კიდევ ერთხელ გააოცა ყველა. ცხადია, მისი ოთხიოდე პასით არავინ დარჩებოდა კმაყოფილი, მაგრამ მისმა მონდომებამ და ახალგაზრდულმა ჟინმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი ყველგან იყო — დაცვა იქნებოდა, მოწინააღმდეგეთა შებოჭვა თუ ეგრეთ წოდებული „ფორჩეკინგი“. სამწუხაროდ, მას სათანადოდ ვერავინ დაეხმარა და, ალბათ, იმის თქმაც ზედმეტია, რომ ნახევარფინალში კანადის დამარცხების შემდეგ გრეცკიზე უფრო განაწყენებული და გულნატკენი არავინ იყო.

გვჯერა, რომ დიდ უეინს ჯერ კიდევ არ უთქვამს საბოლოო სიტყვა და ჩვენც არაერთხელ გავხდებით მისი არაჩვეულებრივი თამაშისა და დიდი მიღწევების მოწმენი, მით უმეტეს, რომ ჰოკეის ცოცხალ ლეგენდას 1999 წლამდე აქვს კონტრაქტი რეინჯერსთან.

**სამველ ლარიბიანი**


იყიდება

თეთრი, გამჭვირვალე

ორგანული მინა

სისქით 3, 4, 5, 6 მმ.

ზომით: 180x120 სმ და 120x90 სმ

ფასი შეთანხმებით

ტელეფონი: 95-22-56

38-60-88 (საღამოს საათებში)


## რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 მარტი

### პიტსბურგი 4:1 კალგარი

### ანაჰაიმი 1:3 ტორონტო

„იხვებს“ ვერც ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის 43-ე გოლმა უშველა. ტორონტოს ლიდერმა, შვედმა მატს სუნდინმა ამას ორი შაიბით (სულ — 27) უპასუხა.

### კოლორადო 3:2 სენტ ლუისი

დღის მთავარ შეხვედრაში მასპინძლებმა შეძლეს გათამამებული „ბლუზმენების“ შეჩერება. „ეველანშის“ ლიდერმა პეტერ ფორსბერგმა 3 ზუსტი პასი მიითვალა (აქედან 2 კამენსკიმ (21) გამოიყენა) და 81 (22+59) ქულით, ფაქტობრივად, იაგრის ერთადერთ კონკურენტად იქცა. „ეველანშის“ მეკარე რუა კარიერაში 376 მოგებით ლიდერობს მოქმედ გოლკიპერთა შორის.

### ოტავა 5:3 ფლორიდა

„სენატორებმა“ 4 შაიბა შეაგდეს რიცხვმრავლობაში. გუნდის ლიდერმა, რუსმა იაშინმა (2+1, 27) და ლატვიელმა ჟოლტოკმა (8) დუბლი გააზერხეს, ერთიც მცველმა კრავჩუკმა დაამატა.

### მონრეალი 2:2 ვანკუვერი

სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ და პაველ ბურეს მე-40 გოლის შემდეგ 2:0 იგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ველარ შეინარჩუნეს მონრეალელთა დაშავებული კაპიტნის დამფუსის ნაცვლად მოთამაშე სკოტ ტორნტონმა 2 (1+1) ქულა დააგროვა.

### რეინჯერსი 5:3 სან ხოსე

სან ხოსეს თავის ისტორიაში ვერც ერთხელ მოუგია რეინჯერსისთვის (+0=1-12). მეორე პერიოდის 28-წამიან ინტერვალში უეინ გრეცკიმ (18, ხუთი გოლი 4 მატჩში) და ადამ გრეივზმა გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი.

### ტამპა 0:2 ედმონტონი

12 მარტი

### ლოს ანჯელესი 1:2 ტორონტო

ტორონტო ინარჩუნებს პლეი-ოფში მოხვედრის შანსს.

### ფინიქსი 5:4 დალასი

მასპინძლები 2:4 აგებდნენ, მაგრამ ზედიზედ სამჯერ შეაგდეს და 31 იანვრის შემდეგ პირველად გაიმარჯვეს. „კოიოტმა“ ნუმინენმა 3 (1+2) ქულა მიითვალა, მისმა პარტნიორმა კარნიმ კი ჩიკაგოდან გადასვლის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა.

### ბოსტონი 2:5 კალგარი

### კაროლინა 0:2 ნიუ ჯერსი

ნიუ ჯერსიმ უკვე მე-15 წუთისთვის მოითავა საქმე, მერე კი ჩვეულად „ხაფანგებით“ შებოჭა მეტოქე და წარმატების არანაირი შანსი არ დაუტოვა. მეკარე ბროდოს ანგარიშზე მე-7 „შათაუტია“.

### მონრეალი 4:1 რეინჯერსი

მონრეალელი ბიუროს დუბლს კანადელთა პლეიმეიკერმა საკუ კოივუმ უმცირესობაში გატანილი შაიბა დაამატა, ხოლო გრეცკი ამჯერად მშრალზე დარჩა.

### ფილადელფია 3:2 ვანკუვერი

ლინდროსის არყოფნის მიუხედავად, ფილადელფიამ მესამე პერიოდში მკვეთრად უმატა და ფორბსისა და ლეკლერის (40) გოლების შემდეგ გამარჯვება ირგუნა. ვანკუვერს კი პლეი-ოფში გასვლის თეორიული შანსიღა დარჩა.

### დეტროიტი 3:0 ჩიკაგო

შაიბები: შენაჰანი (25), კოზლოვი (21), აიზერმანი (16)

„მშრალი“ ანგარიშით გამარჯვებამ დეტროიტის თავკაცი ბოუმენი სათანადოდ არ გაახარა, მან თავისი გუნდი მაინც გააკრიტიკა. მკაცრი მწვრთნელის ქება მხოლოდ სერგეი ფიოდოროვმა (2 პასი), იგორ ლარიონოვმა (2 პასი) და მეკარე კრის ოსგუდმა (კარიერაში მე-20 „შათაუტი“) დაიმსახურეს.

### აილენდერსი 1:2 ვაშინგტონი

ორი სლოვაკი სუპერფორვარდის, აილენდერსელი პალფისა (1 პასი) და ვაშინგტონელი ბონდრას პაექრობაში ამ უკანასკნელმა იმარჯვა — მან 2 გოლი გაიტანა, გუნდს ზედიზედ მესამედ გაამარჯვებინა და 41 შაიბით სნაიპერთა სიაში მე-2 ადგილზე აინაცვლა.

### ბუფალო 3:1 სან ხოსე

შეუდარებელი ჰაშეკი (38 მოგერიება) ძალიან ახლოს იყო მე-10 „შათაუტთან“, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 20 წამით ადრე მისი კარი ვეტერანმა ჯონ მაკლინმა დალაშქრა.

**სამველ ლარიბიანი**

## ლიგის ლიდერები

**ბომბარდირები** (სულ ცოტა, 39 მატჩი)

| მოთამაშე | გუნდი | მატჩი | სულ | საშუალოდ |
|---|---|---|---|---|
| მაიკლ ჯორდანი | ჩიკაგო | 60 | 1770 | 28,6 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 39 | 1057 | 27,1 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 61 | 1608 | 26,4 |
| მიჩ რიჩმონდი | საკრამენტო | 64 | 1519 | 23,7 |
| გლენ რობინსონი | მილუოკი | 56 | 1306 | 23,3 |
| გლენ რაისი | შარლოტი | 62 | 1413 | 22,8 |
| კრის უებერი | ვაშინგტონი | 53 | 1192 | 22,5 |
| დევიდ რობინსონი | სან ანტონიო | 56 | 1244 | 22,2 |
| ანტუან უოლკერი | ბოსტონი | 62 | 1376 | 22,2 |
| შარიფ აბდურ-რაჰიმი | ვანკუვერი | 60 | 1331 | 22,2 |
| **მოხსნა** | | | | |
| დენის როდმანი | ჩიკაგო | 60 | 897 | 15,0 |
| ჯეისონ უილიამსი | ნიუ ჯერსი | 60 | 819 | 13,7 |
| ჩარლზ ბარკლი | ჰიუსტონი | 57 | 679 | 11,9 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 62 | 737 | 11,9 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 39 | 443 | 11,4 |
| დიკემბე მუტომბო | ატლანტა | 61 | 691 | 11,3 |
| ტაირონ ჰილი | მილუოკი | 52 | 572 | 11,0 |
| დევიდ რობინსონი | სან ანტონიო | 56 | 610 | 10,9 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 61 | 642 | 10,5 |
| ანტუან უოლკერი | ბოსტონი | 62 | 640 | 10,3 |
| **პასი** | | | | |
| როდ სტრიკლენდი | ვაშინგტონი | 64 | 692 | 10,8 |
| ჯეისონ კიდი | ფინიქსი | 62 | 566 | 9,1 |
| ჯონ სტოქტონი | იუტა | 43 | 382 | 8,9 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 62 | 532 | 8,6 |
| მარკ ჯექსონი | ინდიანა | 62 | 523 | 8,4 |
| სტივენ მარბერი | მინესოტა | 62 | 518 | 8,4 |
| ბრევინ ნაითი | კლივლენდი | 60 | 495 | 8,3 |
| აივერი ჯონსონი | სან ანტონიო | 61 | 498 | 8,2 |
| ტიმ ჰარდევეი | მაიამი | 63 | 507 | 8,1 |
| დეიმონ სტუდემაიერი | პორტლენდი | 57 | 455 | 8,0 |
| **ჩაჭრა** | | | | |
| ბრევინ ნაითი | კლივლენდი | 60 | 157 | 2,6 |
| მუკი ბლეილოკი | ატლანტა | 52 | 132 | 2,5 |
| დუგ კრისტი | ტორონტო | 58 | 142 | 2,5 |
| ტერელ ბრენდონი | მილუოკი | 40 | 95 | 2,4 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 62 | 141 | 2,3 |
| **დაფარება** | | | | |
| დიკემბე მუტომბო | ატლანტა | 61 | 209 | 3,4 |
| შონ ბრედლი | დალასი | 45 | 153 | 3,4 |
| მარკუს კემბი | ტორონტო | 47 | 153 | 3,3 |
| თეო რეთლიფი | დეტროიტი | 63 | 199 | 3,2 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 62 | 163 | 2,6 |

**თამაშიდან სროლები**

| | | | ჩაგდებული | ნასროლი | % |
|---|---|---|---|---|---|
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 39 | 417 | 723 | 0,58 |
| ალონზო მურნინგი | მაიამი | 41 | 279 | 504 | 0,55 |
| ვინ ბეიკერი | სიეტლი | 62 | 497 | 914 | 0,54 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 62 | 501 | 923 | 0,54 |
| დიკემბე მუტომბო | ატლანტა | 61 | 306 | 570 | 0,54 |
| **სამქულიანები** | | | | | |
| დეილ ელისი | სიეტლი | 62 | 101 | 214 | 0,47 |
| სტივ ნეში | ფინიქსი | 61 | 67 | 151 | 0,44 |
| კრის მულინი | ინდიანა | 62 | 67 | 152 | 0,44 |
| მეტ ბალარდი | ჰიუსტონი | 55 | 85 | 193 | 0,44 |
| რეჯი მილერი | ინდიანა | 62 | 117 | 268 | 0,44 |
| **საჯარიმოები** | | | | | |
| კრის მულინი | ინდიანა | 62 | 128 | 138 | 0,93 |
| ჯეფ ჰორნაჩეკი | იუტა | 60 | 112 | 137 | 0,90 |
| რეი ალენი | მილუოკი | 61 | 243 | 274 | 0,89 |
| კრისტიან ლეიტნერი | ატლანტა | 57 | 260 | 294 | 0,88 |
| კევინ ჯონსონი | ფინიქსი | 30 | 112 | 128 | 0,88 |


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge


NBA — რეგულარული ჩემპიონატი

# ჩიკაგოელებს რქები მოამტვრიეს

11 მარტი

**ბოსტონი 105:110 ატლანტა**

**ბოსტონი: უოლკერი (24), ანდერსონი (19)**
**ატლანტა: სმიტი (26)**

სტუმრებს მოაგებინა კრისტიან ლეიტნერმა (12 ქულა, 8 მოხსნა), რომელმაც 10 ქულა და 7 მოხსნა ბოლო მეოთხედში გაუხერხა თავისიანებს.

**შარლოტი 85:78 ნიუ იორკი**

**შარლოტი: რაისი (22), მეისონი (21)**
**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (25)**

ნიუ იორკმა იმდღევანდელი მასპინძლები შარშან გამოაგდო პლეი-ოფიდან. შარლოტელთა შურისძიებას 24 ათასი კაცი დაესწრო.

**ფილადელფია 88:86 ვაშინგტონი**

**ფილადელფია: აივერსონი (32)**
**ვაშინგტონი: უებერი (34+12 მოხსნა)**

ვაშინგტონს მატჩის გადარჩენა შეეძლო, მაგრამ თავი შეირცხვინა კალბერტ ჩინიმ. მან მატჩის დასასრულამდე 1,9 წამით ადრე ააცილა.

**კლივლენდი 95:83 მილუოკი**

**კლივლენდი: ილგაუსკასი (18)**
**მილუოკი: კარი (16)**

**დეტროიტი 122:91 ინდიანა**

**დეტროიტი: ჰილი (23+12 მოხსნა)**
**ინდიანა: დევისი (14)**

ცენტრალური დივიზიონის ბოლოსწინა ადგილზე გაჩხერილმა დეტროიტმა შავი დღე დააწია აღმოსავლეთის ერთ-ერთ ლიდერს. ჰილისა და უილიამსის გარდა ვეტერანმა ჯო დუმარსმაც გამოიდო თავი (18 ქულა, 11 მეორე მეოთხედში) და თავის დამრიგებელ ელვინ ჯენთრის ათქმევინა, ეს კაცი მუდმივ ნომერს იმსახურებსო.

**იუტა 110:95 საკრამენტო**

**იუტა: მელოუნი (25)**
**საკრამენტო: უილიმსონი (21), რიჩმონდი (21)**

მელოუნს თითო-თითო მოხსნა-პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე. მისმა იუტამ კი ზედიზედ მერვედ მოიგო.

**გოლდენ სტ. 84:113 მინესოტა**

**გოლდენ სტეიტი: მარშალი (17)**
**მინესოტა: გარნეტი (22)**



იუტა — საკრამენტო. კარლ მელოუნი (32) ვერავინ შეაჩერა

**ლეიკერსი 121:107 პორტლენდი**

**ლეიკერსი: ონილი (33), ფოქსი (20)**
**პორტლენდი: უოლესი (20)**

ორი დიდი ცენტრის — შავი ონილისა და თეთრი საბონისის (17 ქულა) დუელი ზანგმა მოიგო, მისმა ლეიკერსმა კი ზედიზედ მეხუთედ იმარჯვა.

12 მარტი

**პორტლენდი 95:92 მინესოტა**

**პორტლენდი: საბონისი (28+20 მოხსნა)**
**მინესოტა: მიტჩელი (21)**

პორტლენდ-მინესოტას შეხვედრა მასპინძელთა ლიტველმა ცენტრმა არვიდას საბონისმა მოიგო. მან სეზონში ყველაზე მეტი — 20 მოხსნა მიითვალა და ბოლო წამებზე, როცა მისი გუნდი 91:92 აგებდა, ორქულიანი ჩააგდო, შემდეგ კი მეტოქეებს ბურთი მოუხსნა და 7,6 წამით ადრე ჩაუტენა.

**კლიპერსი 85:108 ლეიკერსი**

**კლიპერსი: როჯერსი (16)**
**ლეიკერსი: ონილი (32), ჯონსი (23), ფიშერი (21+11 მოხსნა)**

ლოსანჯელესურ დერბიში კლიპერსის 16-ათასიან დარბაზ „ანაჰეიმ არენაში" 18 500 კაცი მივიდა და გვარიანი ღრიანცელიც აუტეხეს სტუმრებს, მაგრამ რად გინდა, შაკილ ონილს და მის კომპანიას ბევრი ვერაფრით შეუშალეს ხელი. ონილს კარგად დაეხმარნენ ჯონსი და ფიშერი. ამ უკანასკნელმა 21 ქულითა და 11 მოხსნით კარიერის რეკორდები დაამყარა.

**დენვერი 98:93 ვანკუვერი**

**დენვერი: ალექსანდერი (21)**
**ვანკუვერი: მეკი (19)**

როგორც იქნა, ეშველა წყალწაღებულ დენვერს, თუ ამას შველა ჰქვია. მან შეწყვიტა 14-მატჩიანი წაგებების სერია და სეზონში სულ მეექვსედ გაიხარა გამარჯვებით.

**სან ანტონიო 97:86 საკრამენტო**

**სან ანტონიო: რობინსონი (29+11 მოხსნა), დანკანი (24+10 მოხსნა)**
**საკრამენტო: რიჩმონდი (22)**

**ჰიუსტონი 115:104 ნიუ ჯერსი**

**ჰიუსტონი: დრექსლერი (33)**
**ნიუ ჯერსი: კასელი (32+14 პასი), კიტლზი (27)**

ნიუ ჯერსიმ გააგრძელა წაგებებით სვლა. ჰიუსტონთან მარცხი მისთვის ზედიზედ მეშვიდე იყო. დრექსლერს, რომელიც მასპინძლებიდან ყველაზე შედეგიანი იყო, 16 ქულითა და 17 მოხსნით კარგად წაეხმარა ბებერი ცენტრი ჰაკიმ ოლაჯუონი. მას 4 მოხსნა აკლია, ლიგის ისტორიაში მესამე რომ გახდეს (ქარიმ აბდულ ჯაბარისა და უილტ ჩემბერლენის შემდეგ), ვისაც კარიერაში 24 ათას ქულაზე, 12 ათას მოხსნაზე და ორნახევარ ათას პასზე მეტი გაუკეთებია.

**მაიამი 97:74 კლივლენდი**

**მაიამი: მურნინგი (14)**
**კლივლენდი: ანდერსონი (16)**

**დალასი 104:97 ჩიკაგო**

**დალასი: ფინლი (32), სებალოსი (25+13 მოხსნა)**
**ჩიკაგო: ჯორდანი (26), კუკოჩი (22)**

სენსაცია! საცოდავმა დალასმა გააბითურა ხუთგზის ჩემპიონი ჩიკაგოელი ხერები, თანაც როგორ! 19-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ ბოლო მეოთხედში თავი გამოიდო სედრიკ სებალოსმა, რომელმაც 25 ქულით სეზონის რეკორდი დაამყარა. აქედან 11 ბოლო 2,16 წუთში გაუხერხა გუნდს. ეს პერიოდი მეტად დრამატულად წარიმართა. 16,1 წამით ადრე სებალოსმა ჩატენა და ოთხ ქულამდე შეამცირა სხვაობა 86:90. აქ ჯორდანი ორიდან ერთ საჯარიმოს აგდებს. ჰუბერტ დევისის ზუსტი სროლის შემდეგ სხვაობა სამი ქულაა, მერე 3,9 წამით ადრე კვლავ სებალოსი აგდებს სამქულიანს და ანგარიშს ათანაბრებს 91:91. ოვერტაიმში კი ჩიკაგომ ვერაფერი მოუხერხა გუნდს, რომელსაც, ჰიუსტონელი ბარკლის თქმით, სტუდენტებიც კი მოუგებდნენ.

**ირაკლი ფირაშვილი**

### ევროლიგა

გაიმართა დამატებითი, მესამე მატჩები იმ გუნდებს შორის, რომელთაც ორ შეხვედრაში ვერ გაარკვიეს უძლიერესი.

**ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია) — მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) 68:65; ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 88:76; ალბა (ბერლინი, გერმანია) — პაოკი (სალონიკი, საბერძნეთი) 104:71**

### ევროთასი

მეოთხედფინალი. განმეორებითი მატჩები

**სტეფანელი (მილანი, იტალია) — ვილერბანი (საფრანგეთი) 62:70 (პირველი მატჩი 67:58); ბეობანკა (ბელგრადი, იუგოსლავია) — ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) 54:59 (65:78); შლიონსკი (ვროცლავი, პოლონეთი) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 61:61 (58:82); სამარა (რუსეთი) — ავტოდორი (სარატოვი, რუსეთი) 110:89 (65:92)**

*ნახევარფინალში ხვდებიან: ჟალგირისი — ავტოდორი, სტეფანელი — პანათინაიკოსი*

### რადივოე კორაჩის თასი

ნახევარფინალი. განმეორებითი მატჩები

**შოლე (საფრანგეთი) — ს.რ. ბელგრადი (იუგოსლავია) 49:81 (49:81); ტელემარკეტი (რომი, იტალია) — მარჩელო (ვერონა, იტალია) 72:70 (82:96)**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 44 | [illegible] | [illegible] |
| ნიუ იორკი | 35 | 27 | 56,5 |
| ნიუ ჯერსი | 33 | 31 | 51,6 |
| ვაშინგტონი | 33 | 31 | 51,6 |
| ორლანდო | 32 | 30 | 51,6 |
| ბოსტონი | 29 | 33 | 46,8 |
| ფილადელფია | 22 | 39 | 36,1 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ჩიკაგო | 46 | 17 | 73,0 |
| ინდიანა | 43 | 19 | 69,4 |
| შარლოტი | 39 | 23 | 62,9 |
| ატლანტა | 37 | 24 | 60,7 |
| კლივლენდი | 33 | 30 | 52,4 |
| მილუოკი | 29 | 32 | 45,2 |
| ტორონტო | 13 | 48 | 21,3 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
| იუტა* | 45 | 16 | 73,8 |
| სან ანტონიო | 43 | 20 | 68,3 |
| მინესოტა | 33 | 30 | 52,4 |
| ჰიუსტონი | 32 | 31 | 50,8 |
| ვანკუვერი | 15 | 46 | 24,6 |
| დალასი | 14 | 49 | 22,2 |
| დენვერი | 6 | 58 | 9,4 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| სიეტლი* | 47 | 15 | 75,8 |
| ლეიკერსი* | 44 | 18 | 71,0 |
| ფინიქსი | 41 | 21 | 66,1 |
| პორტლენდი | 35 | 26 | 57,4 |
| საკრამენტო | 26 | 39 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 48 | 22,6 |
| კლიპერსი | 13 | 49 | 21,0 |

* *უკვე გასულია პლეი-ოფში*

## ჰარდევეიმ სეზონი დაასრულა

„ორლანდო მეჯიქის" ლიდერმა ანფერნი ჰარდევეიმ გუშინ განაცხადა, რომ სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. ოთხგზის ოლსტარელმა ჰარდევეიმ ამ სეზონში მხოლოდ 19 მატჩი ჩაატარა. ოლსტარის შემდეგ მას დეკემბერში მარცხენა ქუსლის ტრავმა გაუმიზეზდა. გარდა ამისა, საკმაოდ სერიოზული მუხლის ტრავმაც ჰქონდა. ჰარდევეი რამდენიმე ექიმს გაესინჯა და ყველამ ერთი და იგივე დასკვნა გამოიტანა. მის გუნდს კი უჭირს. ჰარდევეის გარდა ორლანდოს რონი სეიკლიც დააკლდა, ამათ გარეშე კი ორლანდოს ზედიზედ მეხუთე პლეი-ოფი თითქმის განწირულია.


**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29